

ნ. აბესაძე

გრამატიკის საკითხები
XIX საუკუნის
ქართულ ჰერიოდულ გამოცემებში

წინასიტყვაობა

XIX საუკუნის ქართულ პერიოდულ გამოცემებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა ენის საკითხებს. სპეციალური სტატიები და შენიშვნები ენის შესახებ გვხვდება გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „ცისკარში“ (1852—1853; 1857—1875), „საქართველოს მოამბეში“ (1863), „დროებაში“ (1866—1885), „მნათობში“ (1869—1872), „კრებულში“ (1871—1873), „ივერიაში“ (1877—1906), „მწყემსში“ (1883—1910), „თეატრში“ (1881—1890), „კვალში“ (1893—1904), „მოამბეში“ (1894—1905), „ცნობის ფურცელში“ (1896—1906), „აკაკის კრებულში“ (1897—1900). მასალა მრავალფეროვანია შინაარსისა და ხასიათის მიხედვით. იბეჭდებოდა წერილები ზოგადი ენათმეცნიერების, გრამატიკის, ორთოგრაფიის, სალიტერატურო ენის, ლექსიკა-ტერმინოლოგიისა და სხვა საკითხებზე.

სამოციან წლებში ქართულ პერიოდულ გამოცემებში სპეციალური გრამატიკული ხასიათის წერილები შედარებით იშვიათად გვხვდება. სამაგიეროდ სალიტერატურო ენის საკითხები არის ფართო მსჯელობის საგანი. გრამატიკის ზოგი საკითხიც ამ ხანებში სწორედ სალიტერატურო ენის საკითხებთან დაკავშირებით დაისვა.

ქართულ ჟურნალ-გაზეთებში განსაკუთრებით გაცხოველდა ინტერესი გრამატიკის საკითხებისადმი ოთხმოციან წლებში. ამ დროიდან უფრო მეტად გვხვდება კვლევითი ხასიათის სპეციალური წერილები, იბეჭდებოდა რეცენზიები ქართულ გრამატიკებზე.

გრამატიკის საკითხები აინტერესებდა ქართველ პედაგოგებს, მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. ქართული პერიოდული გამოცემები თითქმის ერთადერთ ასპარეზს წარმოადგენდა გრამატიკის საკითხებზე მსჯელობის გასაშლელად.

ჩვენმა გრამატიკოსებმა (დ. ყიფიანმა, ს. ხუნდაძემ, მ. ჯანაშვილმა, დ. კარიჭაშვილმა, პ. კვიციანიძემ) თავიანთი შეხედულებ-

ბები პირველად პრესის ფურცლებზე გამოთქვეს. ქართულ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებულია ქართველურ ენათა შედარებითი კვლევის ცდებიც. ამ მხრივ აღსანიშნავია პ. ჭარაიას და მ. ჯანაშვილის წერილები. სახელთა ბრუნებისა და ზმნის უღვლილების საკითხებზე საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვეს პრესის ფურცლებზე ი. გოგებაშვილმა, კ. დოდაშვილმა და სხვ.

ქართულ პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი გრამატიკული ხასიათის წერილები ანგარიშგასაწევია გრამატიკის ცალკეულ საკითხთა კვლევის ისტორიის თვალსაზრისით. ზოგი მათგანი გათვალისწინებულია სპეციალურ ლიტერატურაში და სათანადოდაც არის შეფასებული. ზოგ ავტორს (ი. ჭავჭავაძეს, ი. გოგებაშვილს, ა. წერეთელს, მ. ჯანაშვილს) სპეციალური გამოკვლევებიც მიეძღვნა.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია მხოლოდ პრესის მასალა, რომელიც საკითხების მიხედვითაა დაჯგუფებული. განხილულია სახელთა ბრუნების, თანდებულების, ზმნის უღვლილებისა და სინტაქსის საკითხები. პრესაში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა, მათ შორის გრამატიკოსთა, შეხედულებებსაც ამ საკითხებთან დაკავშირებით ვეხებით. შედარებით უფრო დაწვრილებით შევეხეთ იმ ავტორებს, რომელთაც მხოლოდ პერიოდულ პრესაში გამოთქვეს თავიანთი გრამატიკული შეხედულებები და ცალკე გრამატიკული ნაშრომი არ გამოუქვეყნებიათ. იმდროინდელი ქართული გრამატიკული ლიტერატურა მხოლოდ შედარების მიზნითაა გამოყენებული.

4

I. გრამატიკის საგნის საკითხი XIX საუკუნის ჰეროდულ ჰრესაში

XIX საუკუნის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი მასალების მიხედვით შეიძლება გაირკვეს, თუ როგორ ესმოდათ გრამატიკის მნიშვნელობა იმდროინდელ ქართველ მოღვაწეებს და რამოთხოვნილებებს უყენებდნენ მას.

გრამატიკის საგნის, მიზანდასახულობისა და საჭიროების შესახებ ჯერ კიდევ სამოციანი წლების პრესაში წარმოებდა საკმაოდ ფართო მსჯელობა.

რა არის გრამატიკა? რას შეისწავლის იგი? როგორი უნდა იყოს გრამატიკა? ეს კითხვები ბუნებრივად დაისვა მაშინვე, როგორც კი ახალი გრამატიკის შედგენის საჭიროების საკითხი დადგა. იმ დროისათვის ჩვენში ქართული ენის რამდენიმე გრამატიკა დაიბეჭდა, მაგრამ უფრო სრულყოფილი გრამატიკის შედგენისა და გამოცემის აუცილებლობა მაინც მწვავედ იგრძნობოდა.

სამოციანი წლების ქართულ პრესაში გრამატიკის ზოგი საკითხი სალიტერატურო ენის საკითხებთან დაკავშირებით წამოიჭრა. ახალი გრამატიკის საჭიროებაც პირველ რიგში სალიტერატურო ენის ნორმების დადგენის მოთხოვნილებით იყო ნაკარნახევი, რამდენადაც სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით კანონიერი ფორმების დადგენა, ტრადიციული გაგების თანახმად, გრამატიკის ძირითად ამოცანას შეადგენდა.

4. გასული საუკუნის პირველი ნახევრის ქართული გრამატიკები ანტონ კათალიკოსის გრამატიკის მიხედვით იყო შედგენილი. ეს უკანასკნელი კი არსებითად ფილოლოგიურ გრამატიკას წარმოადგენდა¹ და გრამატიკის ტრადიციულ პრინციპებს ემყარებოდა: გრამატიკა მხოლოდ სამწერლობო ენით იფარგლებოდა, ენობრივ

¹ არნ. ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ, ენიკის მოამბე, II, 1937, გვ. 22.

მოვლენებს აღწერდა და ისტორიულ თვალსაზრისს არ იცავდა. ანტონის მომდევნო გრამატიკოსებიც გრამატიკის საგნის, მიზანდასახულობისა და შედგენილობის საკითხში ტრადიციულ გაგებას იზიარებდნენ. გრამატიკას ოდენ პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა. ტრადიციის მიხედვით, გრამატიკა სწორად წერისა და სწორად მეტყველების ხელოვნებად ცხადდებოდა.

ანტონ კათალიკოსის გაგებით, გრამატიკა „არს შემძლებლობა მართლ-უბნობად და წესიერ წერად“². ასევე ესმით გრამატიკის საგანი მის მომდევნო გრამატიკოსებს.

ი. ქართველიშვილის მიხედვით, „ღრამმატიკა არს ჰსწავლა ელთმძღუნჲსლი კანონიერისა უბნობისა და მართლწერისადმი“³.

გ. ფირალოვის სიტყვით, „ღრამმატიკაჲ არს განოცდილება კანონიერად ხმარებისათჳს. ენისა ვითარცა საუბარსა შინა, ეგრეთვე წერასა შინაცა“⁴.

ს. დოდაშვილის განმარტებით, „ქართული ღრამმატიკა ასწავებს კანონიერსა უბნობასა და წერასა ქართულად“⁵. ასეთსავე განსაზღვრას იძლევა პლ. იოსელიანიც⁶.

ქართული ენის სხვა გრამატიკებშიც ამგვარივე აზრია გამოთქმული⁷.

გრამატიკა ნორმატულ დისციპლინას წარმოადგენდა. იგი მართლწერისა და მართლმეტყველების წესებს ადგენდა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ორთოგრაფია გრამატიკის ერთ-ერთ დარგად მიიჩნდათ. გრამატიკა შეიცავდა ეტიმოლოგიას (ახლანდელი მორფოლოგია), სინტაქსსა და მართლწერას. ზოგიერთ ქართულ გრამატიკაში პროსოდის საკითხებსაც განიხილავდნენ.

იმდროინდელ ქართულ გრამატიკებში ძველ ქართულ ენას განიხილავდნენ. ქართული გრამატიკა ამართლებდა და აკანონებდა ხელოვნურ ორთოგრაფიულ ნორმებს, რომლებიც ანტონის სკოლის წყალობით გავრცელდა მაშინდელ სამწერლობო ქართულში.

² ქართული ღრამმატიკა, თბილისი, 1885, გვ. 1.

³ ქართული ღრამმატიკა, [თბილისი, 1825], გვ. 1.

⁴ თუთ მასწავლებელი, სანკტპეტერბურლი, 1820, გვ. 22.

⁵ შემოკლებული ქართული ღრამმატიკა, ტფილისი, 1830, გვ. 1.

⁶ პირულ-დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა, თფილისი, გამოცემა II, 1851, გვ. 5.

⁷ გა ი თ ხ ი ს მიხედვით, „ღრამმატიკა არს სწავლა თჳსებათათჳს და ჳმარებათა ასოთა“ (ღრამმატიკა, კრემენჩუკი, 1789, გვ. 1); ვ ა რ ლ ა მ ე რ ი ს თ ა ვ ი ს მიხედვით, «Грамматика есть наука правильно говорить и писать» (Краткая грузинская грамматика, С.-Пб., 1802, გვ. 5).

ჟურნალ „ცისკარშიც“ ამგვარი სამწერლო ენა გაბატონდა. ეს იყო „სამი სტილის“ თეორიის თანახმად შემუშავებული მაღალი სტილის ხელოვნური ენა.

არსებული გრამატიკებისაგან საგრძნობლად განსხვავდებოდა დ. ჩუბინაშვილის გრამატიკა⁸, რომელიც 1855 წ. გამოიცა. თავის დროზე აღინიშნა, რომ ეს გრამატიკა ძირითადად ახალი სალიტერატურო ენის სახელმძღვანელოა⁹. ამ ნაშრომში ავტორმა ქართული ანბანის გამარტივების საკითხიც წამოჭრა, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია ანტონის სკოლის მიმდევრებში.

• 1857 წ. „ცისკარის“ მეხუთე ნომერში დაიბეჭდა რეცენზია დ. ჩუბინაშვილის გრამატიკის შესახებ. რეცენზიის ავტორი ანტონის თეორიას იცავდა. ავტორი დ. ჩუბინაშვილის გრამატიკას ფუქ შრომად მიიჩნევდა და მოითხოვდა ანტონის გრამატიკის შემოღებას: „ვისაც სურს ნამდვილს ქართულს ენაზედ ღრამმატიკის გამოცემა, აიღოს ანტონ კათალიკოზის ღრამმატიკა და იქითგან შეადგინოს... იმაზე უჩინებულესი არა იქნება რა... დაიბეჭდოს იგი ღრამმატიკა და ისწავლებოდეს სასწავლებელში... ანტონ კათალიკოზის ღრამმატიკა არის სწორედ საძირკველი ჩქნის მშენიერის ქართულის ენისა“¹⁰. —

რეცენზენტის აზრით, გრამატიკოსმა უნდა განიხილოს შემდეგი საკითხები: „1) რაედენი მოუცია ბუნებასა ჩქნთს ხმა, გამოხატვისათჳს სიტყუათა. 2) ვითარ შეუერთებია მას ესე ხმანი შედგენისათჳს მარცუალთა. 3) ვითარ შედგენილან მარცუალთაგან სიტყუანი, რომელთათჳსაც განუწესებიათ სხუა და სხუა გუარი სახე (ქორმა) მნიშვნელობისამებრ გამოხატვისა (ეტიმოლოლია) და 4) რომლისა სჯულით ადრევ სწორეთ განუსაზღვრავთ შეერთება სხუა და სხუათა სიტყუათა, რათა შედგენილ იქმნენ პირველ დაწყებითნი აზრნი შეერთებულთა სიტყუათა და პერიოდნი (სინტაქსისი)“¹¹, და, დასასრულ, ნართლწერა, რომელიც, ავტორის სიტყვით, უპირველესი საპირობებაა ყოველი ენისა.

⁸ Д. Чубинов. Краткая грузинская грамматика, С.-Пб., 1855.

⁹ А. Чагарели, О грамматической литературе грузинского языка, С.-Пб., 1873, გვ. 46.

¹⁰ ღრამმატიკა უფ. ჩუბინოვისა, დაბეჭდილი ს. პეტერბურღში, „ცისკარი“, 1857, № 5, გვ. 45.

¹¹ იქვე, გვ. 40.

როგორც ჩანს, რეცენზიის ავტორი გრამატიკის დანიშნულების საკითხშიც ძველი გრამატიკოსების თვალსაზრისზე დგას. მისი აზრით, გრამატიკის ძირითადი მიზანი მართლწერის საკითხების მოგვარებაა. გრამატიკა შედგება ეტიმოლოგიისა, სინტაქსისა და მართლწერისაგან. ასეთი იყო ტრადიციულად გრამატიკის შედგენილობა და ავტორიც მას იცავს. ეტიმოლოგია შეისწავლის სიტყვათა აგებულებას, ფორმებს, სინტაქსი კი—სიტყვათა შეერთებას, შესიტყვებას.

რეცენზენტის გაგებით, ენა არ იცვლება. გრამატიკული კანონები და წესები ერთხელ და სამუდამოდ დადგენილია, უცვლელია. ამიტომაც, რომ რეცენზენტი თავგამოდებით იცავს ანტონის გრამატიკას და მას ქართული ენის საძირკვლად მიიჩნევს.

ანტონ კათალიკოსის გრამატიკას, მართალია, დიდი დამსახურება აქვს ქართული ენის შესწავლა-გამოკვლევაში და გარკვეული ადგილი უჭირავს ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში, მაგრამ ეს გრამატიკა ვერ გამოდგებოდა სასკოლო პრაქტიკაში, მძიმე და უკიდურესად ხელოვნური ენა ძნელად გასაგებს ხდიდა და ხდის მას სპეციალისტებისათვისაც კი.

ახალი გრამატიკის საჭიროების საკითხი წაშოკრა ალ. ორბელიანმა ცნობილ წერილში¹², რომელიც სალიტერატურო ენის საკითხებს ეხებოდა. იმ დროისათვის ანტონის მიერ დანერგული სამგვარი სახის ენის საჭიროება უკვე სადავო შეიქნა. „სალიტერატურო ერთი ენის საკითხი დღის წესრიგში დაისვა“¹³. ანტონის თეორიის მიმდევარი ალ. ორბელიანიც კი გრძნობდა სამი სახის ენის უხერხულობას და წერასა და ლაპარაკში ერთი ენის შემოღებას მოითხოვდა. ასეთ ენად მას მიაჩნდა ძველი ქართული საერო მწერლობის ენა¹⁴. ავტორი საჭიროდ ცნობდა, რომ ამ ენისათვის შემოკლებული, სწორი ქართული გრამატიკა შედგენილიყო. ეს საქმე ბაქარ ქართლელს (დიმ. ყიფიანს) უნდა ეთხოვოსო.

¹² ალ. ორბელიანი, ქართული უბნობა ანუ წერა, „ცისკარი“, 1860, № 6.

¹³ არნ. ჩიქობავა, ახალი სალიტერატურო ქართული ენის წარმოქმნისათვის, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 1950, გვ. 023.

¹⁴ ივ. გიგინეიშვილი, ილია ქავკავაძე და ახალი ქართული სალიტერატურო ენა, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 69, 1958, გვ. 52.

აღ. ორბელიანი გრამატიკას ნორმატულ მოთხოვნებებს უყენებს, გრამატიკამ მრავალ ფორმათა და სიტყვათაგან უნდა უკეთესი აარჩიოსო.

ავტორი „შემოკლებული“, „სწორი“ ქართული გრამატიკის შედგენას მოითხოვდა და არა ანტონის გრამატიკის უცვლელად გამოცემასა და დამკვიდრებას, როგორც ამას დ. ჩუბინაშვილის გრამატიკის რეკენზენტი ქადაგებდა. მაგრამ ასეთი მოთხოვნა გრამატიკის შესასწავლი ობიექტის შეცვლას გულისხმობდა: გრამატიკის საგანი ძველი ქართული საეკლესიო ენა კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ის საშუალო, დარბაისლური ენა (resp. ძველი საერო მწერლობის ენა), რომლის შემოღებასაც მოითხოვდა ავტორი.

აღ. ორბელიანის წინადადება ერთი სალიტერატურო ენის შემოღების შესახებ. საესებით გაიზიარა დ. ბაქრაძემ, მაგრამ არ დაეთანხმა მას გრამატიკისა და ენის ურთიერთობის საკითხში, რაზედაც საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა: გრამატიკის კანონებით ენის სწავლა ისევე შეუძლებელია, როგორც ლოგიკა—მსჯელობისაო¹⁵. XI—XII სს. არ იყო ქართული გრამატიკა დაწერილი, მაგრამ რუსთაველის, ჩახრუხაძისა და სხვათა ნაწერებში ენისა და მისი კანონების საწინააღმდეგო არათყარიაო. ავტორი დასძენს: ჩვენ ვერ დავუბრუნდებით „ვეფხისტყაოსნის“ ენას, ვინაიდან ერი წინ წავიდა, ენა განვითარდა, „წარმატებაში შევიდაო“.

დ. ბაქრაძის მსჯელობა გრამატიკის შესახებ ზოგმა მისმა თანამედროვემ ისე გაიგო, თითქოს იგი საერთოდ უარყოფდა გრამატიკის საჭიროებას. სინამდვილეში იგი ცუდად შედგენილი გრამატიკის წინააღმდეგი იყო. საყურადღებოა მისი მსჯელობა ქართული გრამატიკის შესახებ:

„გრამატიკა შემოვიდა ჩქნში პირტსლად მეთვრამეტე საუკუნეში და პირველ გრამატიკოსად აღმოგჩნდა ანტონი პირველი, განბრწყინებული მალალის ნიკითა და დიდი მაშტრალი; მისის მეცადინეობით სხოლასტიკის გავლენას გაეხსნა გზა საქართულოსა“¹⁶. სხვა ქართველი გრამატიკოსების—ს. დოდაშვილის, პ. იოსელიანისა და დ. ჩუბინაშვილის შესახებ დ. ბაქრაძე აღნიშნავს,

¹⁵ დ. ბაქრაძე, წიგნი მიწერილი თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისადმი შესახებ მისის „ქართულის უბნობისა ანუ წერისა“, „ცისკარი“, 1860, № 8, გვ. 326.

¹⁶ იქვე.

რომ „თუ იმათი კანონები არ არიან ქართულის ენის თესებაზედ დამყარებულნი. არ შეგვიძლია არა ვსთქუათ, რომ ამ მაშურალთ ამო შრომა დაუღდათ, თუ ვიფიქრებთ, რომ იმათ კანონებს არავინ კითხულობს გარდა ახალ მოსწავლეთა ყრმათა, რომელთაც იძულებით აკითხებენ და რომელნიც მეორესვე დღეს ივიწყებენ, მსგავსად რომელთაჲმ ფრთოვანთა!“¹⁷

დ. ბაქრაძეს კარგად ესმოდა, რომ ასეთი გრამატიკის კანონების მხოლოდ გახეივრებას არავითარი საარგებლობის მოტანა არ შეუძლია. მხოლოდ გრამატიკით მშობლიური ენის შესწავლა არ შეიძლება, თუნდაც ეს გრამატიკა კარგად იყოს შედგენილი. მშობლიური ენის დასაუფლებლად, დ. ბაქრაძის აზრით, საჭიროა „ცხოველი საზოგადო დარბაისლური ენის“ შესწავლა და „ყურადღებით კითხვა იმ მწერალთა, რომელნიც შეიცავენ უკეთესს საზოგადო საუბარსა“¹⁷.

დ. ბაქრაძე ითვალისწინებს ენის ისტორიულ განვითარებას. იგი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ გრამატიკის კანონები ენის თვისებებს უნდა გამოხატავდნენ, მხოლოდ გრამატიკის საშუალებით ენის პრაქტიკულ დაუფლებას კი შეუძლებლად თვლიდა, ძველ საფუძველზე და ძველ კანონებზე შედგენილ გრამატიკას უნაყოფო შრომად მიიჩნევდა.

ანტ. ფურცელაძემ მართებულად მიიჩნია დ. ბაქრაძის შეხედულება გრამატიკისა და ენის ურთიერთობის შესახებ. დაეთანხმა მას, უგრამატიკოდაც შეიძლება მშობლიური ენის კარგად შესწავლაო. „უფ. ბაქრაძის გასამართლებლად ვიტყვი, რომ იმის სიტყვებში ღრმა ჰაზრი ძვეს... იმისთანა კაცები იყვნენ და არიან კიდევ, რომელნიც ჰგონებდნენ, რომ ღრამმატიკის სწავლით ენა ისწავლებაო და ამ მიზეზით ყველა მოსწავლეს პირველადვე ღრამმატიკას მიაჩერებდნენ ხელში და ათ-ათ წელიწადობით ზედ აკვნესებდნენ, მაგრამ... ღრამმატიკის გახეივრებით და ცოდნით ენას ვერ ისწავლი“¹⁸.

ანტ. ფურცელაძე ცნობდა ენის განვითარებას, ენა იცვლება და ყოველი მისი ცვლილება არის ახალი მასალა გრამატიკისათვისო, გრამატიკაც იცვლებაო. ავტორის სიტყვით, ყოველი მეც-

¹⁷ დ. ბაქრაძე, წიგნი მიწერილი თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისადმი შესახებ მისის „ქართულის უბნობისა ანუ წერისა“, „ცისკარი“, 1860, № 8, გვ. 327.

¹⁸ ულოლიკო [ანტ. ფურცელაძე], ორიოდ სიტყვა უ. დავით ყიფიანის სტატიანზედ „გრამმატიკის შესამუშავებელ მასალაებად“, „ცისკარი“, 1863, № 9, გვ. 76.

ნიერება, ისევე როგორც ხელოვნება, დროთა ვითარებაში წინ მიდის, „მიეცემა სისრულეს“, ახალ-ახალ მასალებს იძენს და, „რადგანაც ღრამმატიკა არის ერთი ამათგანი, ან ხელოვნება, ან მეცნიერება, დროის განმავლობით ესეც მიეცემა ცვლილებას“¹⁸, ე. ი. ენის ცვლილებები გრამატიკაში აისახებაო.

ანტონის სკოლის მიმდევრები არ ცნობდნენ ენის განვითარებას. შათი ანტიისტორიული თვალსაზრისი ნათლად გამოვლინდა ცნობილ პოლემიკაში, რომელიც გაიმართა „ცისკარის“ ფურცლებზე ი. ჭავჭავაძესა და ძველ თაობას შორის.

ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძის რადიკალურ შეხედულებებს სალიტერატურო ენის საკითხებზე ძველმა თაობამ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია. ილიას დიდ დაბრკოლებათა გადალახვა მოუხდა ახალი ქართული სალიტერატურო ენის დასამკვიდრებლად და ორთოგრაფიული რეფორმის გასატარებლად. ჟურნალ „ცისკარში“ ილიას სტატიის წინააღმდეგ დაიბეჭდა წერილები, რომლებშიც კონსერვატიულად განწყობილი ძველი თაობის წარმომადგენლები ხელოვნურ ორთოგრაფიულ ნორმებს იცავდნენ. ისინი ძველი ნორმების დასაცავად ანტონის თეორიას მიმართავდნენ, არ ითვალისწინებდნენ ენის ცვლასა და განვითარებას, დოგმატურად იღებდნენ ანტონის მიერ დადგენილ კანონებს, თავგამოდებით იცავდნენ ენისა და გრამატიკის საკითხებში ტრადიციულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით „არ არსებობს გარკვეული ენა გარკვეულ ისტორიულ პირობებში, არც გრამატიკა ამ კერძო ისტორიული მონაცემების შემსწავლელი; ის ლაპარაკობს საერთოდ ენისა და გრამატიკის შესახებ. გრამატიკა ამ გაგებით ნორმატიული დისციპლინაა, რიტორიკასთან ერთად ის გვასწავლის, როგორ უნდა მოვიხმაროთ ენა“²⁰.

ყველაზე მკვეთრად ძველი თვალსაზრისი ბ. ჯორჯაძის წერილებშია გამოთქმული. ბ. ჯორჯაძის გაგებით, ენა უცვლელია. უცვლელია მასში მოქმედი კანონები. „ბუნებით მომზადებულთა სიტყუათათჳს ადრევე დადებულ არიან კანონნი, რომელნიცა არიან მართალნი და რომელთაცა გამოცჳულა დიდი გმობა უნდა იყოს“²¹.

¹⁸ ულოლიკო [ანტ. ფურცელაძე], ორიოდე სიტყვა უ. დავით ყიფიანის სტატიაზედ „გრამმატიკის შესამუშავებელ მასალებად“, „ცისკარი“, 1863, № 9, გვ. 74.

²⁰ არნ. ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ, ენიმკის მოამბე, II, 1937, გვ. 22.

²¹ ბ. ჯორჯაძე, თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ, „ცისკარი“, 1861, № 5, გვ. 35.

ასე წერდა ბ. ჯორჯაძე ილიას საპასუხოდ. ასეთ მარადიულ კანონებად ბ. ჯორჯაძეს ანტონის მიერ დადგენილი წესები მიაჩნდა.

პოლემიკაში ძველი თაობის წარმომადგენელთა სქოლასტიკას მკვეთრად დაუპირისპირდა ი. ჭავჭავაძის დიდი ერუდიცია და ღრმა მეცნიერული აზრატენება. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, თუ რა თეორიულმა საენათმეცნიერო კონცეფციებმა პოვეს გამოხატულება ამ პოლემიკაში²².

ი. ჭავჭავაძე იმდროინდელი ენათმეცნიერების მოწინავე შეხედულებებს ეყრდნობოდა. ენის განვითარება ამოსავალი დებულებაა მისთვის, ენა „იზრდება და ვითარდება“, ახალი ენა ძველს არ ჰგავს, ცვალებადია მასში მოქმედი კანონები. ამიტომ ენის ცვლასა და განვითარებაში ხშირად ხდება, რომ „კანონები ერთ დროს საპირონი, სხვა დროს უფარგისნი არიან ხოლმე“²³.

ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისი ისტორიზმის პრინციპზეა აგებული, ისტორიზმის პრინციპის აღიარება კი, როგორც ცნობილია, გადამწყვეტია ენის ბუნების მეცნიერული გაგებისათვის.

ი. ჭავჭავაძემ ცოცხალ ხალხურ მეტყველებაზე გაანახვილა ყურადღება. აღნიშნა, რომ კანონები თვით ენაში უნდა დაიბნოს, ცოცხალ ხალხურ მეტყველებას უნდა გაეწიოს ანგარიში. „ენას კანონს თვითვე ენა აძლევს და არა რაიმე თეორეტიკა“. „ხალხია ენის კანონის დამდები“, — წერდა ილია თავის პასუხში²⁴.

ენის ცვლასა და განვითარებას აღრევეც აღიარებდნენ ქართულ პრესაში, მაგრამ მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფცია პირველად ილიამ მოგვცა და ისტორიზმის პრინციპი დანერგა.

ი. ჭავჭავაძის მიერ წამოყენებულ დებულებათა მიხედვით ახლებურად გაშუქდა გრამატიკის რაობა და დანიშნულება, ეს კი ანტონის სკოლის მიმდევართა ტრადიციულ გაგებას რადიკალურად უპირისპირდებოდა. ი. ჭავჭავაძის შეხედულებათა მიხედვით გრამატიკის შესწავლის ობიექტიც უნდა შეცვლილიყო: ცხადი გახდა, რომ სამწერლო ენასთან ერთად ანგარიში უნდა გასწეოდა ცოცხალი ხალხური მეტყველების ფაქტებსაც.

გრამატიკის შესახებ სპეციალური წერილი²⁵ დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის მიერ დაარსებულ ეურნალ „საქართველოს მოამბეში“.

²² არნ. ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე ენის შესახებ, ენიმკის მოამბე, II, 1937.

²³ ი. ჭავჭავაძე, პასუხი, „ცისკარი“, 1861, № 6, გვ. 221.

²⁴ იქვე, გვ. 227.

²⁵ დავ. ყიფიანი, რიგიანი ქართული გრამატიკის შესამუშავებელ მასალებად, „საქართველოს მოამბე“, 1863, № 3.

წერილის ავტორი დავ. ყიფიანი ილიას დებულებებით ხელმძღვანელობს, საგულისხმო შეხედულებებს გამოთქვამს ზოგადენათმეცნიერულ საკითხებზე (ენის რაობის, ენის საზოგადოებრივი არსის და სხვ. შესახებ) და გრამატიკის ძირითად საკითხებზე ჩერდება.

• დავ. ყიფიანი ახალი გრამატიკის შედგენას გადაუდებელ ამოცანად თვლის. სანამ ეს საქმე მოგვარდებოდეს, საქიროდ ცნობს გაარკვეოს რა არის-გრამატიკა, რა დანიშნულება აქვს მას და რა სარგებლობა მოაქვს.

ავტორის აზრით, გრამატიკოსმა უნდა იცოდეს ენის კანონები და „იმათი რიგზე დაწყობილობით ენის სრული წესიერება წარმოადგინოს. რომა ენის ხმარებაში თუ უთანხმოება მოხდა რამე, გრამმატიკამ მაშინვე წესიერი და საფუძვლიანი თანხმობა მისცეს“²⁶, ენის ყოველი კანონი საფუძვლიანად უნდა იყოს დასაბუთებული.

ავტორს არ აკმაყოფილებს გრამატიკის საგნის ის გაგება, რომელიც მაშინდელ ქართულ გრამატიკებშია და ახალ განსაზღვრას იძლევა. „გრამმატიკა არც სწავლაა (მეცნიერება, НАУКА), არც ხელოვნებაა, როგორც ჩვენი გრამმატიკები ამბობენ, არც შემძლებლობა რისამე, როგორც ანტონ კათალიკოსი ამბობს,— წერდა დავ. ყიფიანი, — გრამმატიკა ენის კანონების რიგზე დაწყობილი კრებაა“²⁷.

ავტორი გრამატიკას პრაქტიკულ მოთხოვნილებებს უყენებს. მან უნდა დააწესოს, თუ ენის მრავალგვარ ფორმათაგან რომელია კანონიერი, და თავისი მსჯავრი დასდოს; ენის ფორმათა მოწესრიგებაში გრამატიკას გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნისო.

დავ. ყიფიანი გრამატიკას სამოქალაქო კანონებს უდარებს: გრამატიკა კანონმდებელიაო. როგორც სამოქალაქო კანონები ამყარებს წესიერებას საზოგადოების ცხოვრებაში, აწესრიგებს მოქალაქეთა მოქმედებას, ასევე გრამატიკა წესიერებას ამყარებს ენის ფორმათა ხმარებაში, მოქალაქეობრივ უფლებას ანიჭებს ენის მართებულ ფორმებს. სამოქალაქო კანონები ეყრდნობა მეცნიერებას, რომელსაც იურისპრუდენცია ეწოდება, გრამატიკა კი—ენის მეცნიერებას, ფილოლოგიას.

დავ. ყიფიანი ისტორიზმის თვალსაზრისზე დგას, აღიარებს, რომ ენის განვითარებას თავისი კანონზომიერება ახასიათებს: „ენა

²⁶ დავ. ყიფიანი, რიგიანი ქართული გრამმატიკის „შესამუშავებელ მასალებად, „საქართველოს მოამბე“, 1863, № 3, გვ. 72.

²⁷ იქვე

იცვლება, წარმატებაში შედის და ამ წარმატებასა და ცვლილებას თავისი ბუნებითი კანონი აქვსთ, რომლის წინააღმდეგობაც ფუქია. სხვა და სხვა ისტორიული ცხოვრების დროსა გრამმატიკულ ფორმებსაც, ე. ი. ენის სიტყვებსა და იმათი ცვლებების ხმარებასა სხვა და სხვა კანონიერება და წესიერება უნდა ჰქონდესთ და აქვსთ კიდევცა, მაშასადამე სხვა გრამმატიკაცა²⁸, — ამბობს ჩვენი ავტორი. რამდენადაც დროთა ვითარებაში იცვლება ენის ფორმები, უნდა იცვლებოდეს გრამატიკაც.

ავტორის სიტყვით, გრამატიკის ყოველ წესს თავისი ისტორიული გარჩევა უნდა ჰქონდეს, „ენის სრული, ქეშმარიტი ცნობისათვის გრამმატიკა ისტორიული უნდა იყოს... ამგვარი გრამმატიკა არის ჩვენი ახალი დროების მოთხოვნილება“²⁹.

* დავ. ყიფიანის მოთხოვნით გრამატიკის საგანი ახალი ქართული სალიტერატურო ენა უნდა იყოს. „გრამმატიკა თუ გზინდა, ძველ ენას უნდა თავი მივანებოთ და ახალი ენიდამ უნდა ამოვიპოვოთ კანონები. ძველ ენას უნდა მივჰსცეთ იმ გრამმატიკისათვის ისტორიული მნიშვნელობა“³⁰.

გრამატიკის დარგობლივი შედგენილობის მხრივ დავ. ყიფიანი ტრადიციას მისდევს. იგი აცხადებს: გრამატიკაში „სისტემა, დაწყობილება“ ერთი და იგივე აქვთ ჩვენს გრამატიკოსებს და ჩვენც მათ გაეყვებითო: ჯერ იქნება ასოების შესახებ მსჯელობა, მერმე სიტყვის ნაწილები (მეტყველების ნაწილები) განიხილება, რაც გრამატიკის პირველ ნაწილს შეადგენს. მეორე ნაწილში „გაიშინჯება მართო სხვა და სხვა დაწყობილება სიტყვებისა, კონსტრუქცია... კონსტრუქციის შემდეგ იქნება მართლწერა და ფრაზაში სიტყვების სხვა და სხვა კილოზე ხმაურობა“. როგორც ჩანს, დავ. ყიფიანის მიხედვით, გრამატიკაში უნდა განიხილებოდეს მორფოლოგია, სინტაქსი და მართლწერა.

დავ. ყიფიანის შეხედულებები გრამატიკის შესახებ მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

1. „გრამმატიკა ენის კანონთა რიგზე დაწყობილი კრებაა“.
2. გრამატიკის დარგებია: მორფოლოგია, სინტაქსი და მართლწერა.

²⁸ დავ. ყიფიანი, რიგიანი ქართული გრამმატიკის შესამუშავებელ მასალებად, „საქართველოს მთაბზე“, 1863, № 3, გვ. 84.

²⁹ იქვე.

³⁰ იქვე, გვ. 87.

3. გრამატიკა ცოცხალ, ხალხურ ენას შეისწავლის, ძველ ენას მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

4. გრამატიკა ნორმატული დისციპლინაა.

5. ენის კანონიერი ფორმების დასადგენად გრამატიკა ენის განვითარებას უნდა ითვალისწინებდეს და ენის შესახებ მეცნიერებას უნდა ეყრდნობოდეს.

6. ენის სრულყოფილად შესწავლასათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ გრამატიკას. ისტორიული გრამატიკაც გადამწყვეტ პასუხს უნდა იძლეოდეს სალიტერატურო ენის ნორმათა საკითხებზე.

დავ. ყიფიანმა განავითარა ი. ჰაეკავაძის თეორიული შეხედულებები ენის შესახებ. ავტორის მსჯელობაში გრამატიკის შესახებ განსაკუთრებით ფასეულია ისტორიზმის პრინციპის დაცვა და ისტორიული გრამატიკის საჭიროების საკითხის დაყენება. ისტორიულ გრამატიკას ავტორი უნდა უპირისპირებდეს აღწერით გრამატიკას, რომელიც ნორმატული ხასიათისა უნდა იყოს. ავტორი მიიწვევს სცილდება ძველი გრამატიკის ფარგლებს და ნეცნიერული გრამატიკის გაგებას უახლოვდება. ხოლო ყურადღების გამახვილება გრამატიკის ნორმატულობაზე ახალი სალიტერატურო ენის იმდროინდელი მდგომარეობით იყო გამოწვეული.

ახალი ქართული გრამატიკის შედგენის საჭიროების საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დაისვა ოთხმოციან წლებში. პრაქტიკულ მოთხოვნებთან ერთად გრამატიკის შედგენის აუცილებლობას თეორიული ინტერესებიც განსაზღვრავდა. არსებული ქართული გრამატიკები უკვე აშკარად აღარ აკმაყოფილებდა საზოგადოებას, ახალი გრამატიკის შედგენა დღის წესრიგში დადგა. *

1878 წელს გაზეთი „დროება“ ათავსებს ცნობას, რომ რაფ. ერისთავმა შეადგინა ქართული გრამატიკის სქემა. იქვე შემდეგია ნათქვამი: „ქართულს ენაზედ რამდენიმე გრამატიკა არის დაწერილი, მაგრამ ყველა ერთობ ძველებია, არც ერთი არ აკმაყოფილებს ახლანდელ ქართული ენის მოთხოვნილებას. ამის გამო სასურველია და ძალიან საჭიროცაა, რომ ერთი ხეირიანი ქართული გრამატიკა გამოიცესო“²¹.

უფრო გვიან დ. კარიჭაშვილი ეურნალ „თეატრში“ წერდა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს მეცნიერული გრამატიკაო. დ. კარიჭაშვილი გრამატიკას პრაქტიკული მიზნებისთვისაც მოითხოვდა:

²¹ „დროება“, 1878, № 196, გვ. 2.

ახალი გრამატიკის შედგენა და გამოცემა აუცილებელია მწერლობაში ერთგვარი ენის დაცვისათვის²².

იმავე ეურნალში მოთავსებული იყო ცნობა: ქუთაისში შემდგარა წრე, რომელიც გრამატიკის საკითხებზე მუშაობს²³.

1881 წელს „ივერიაში“ დაიბეჭდა ნ. მთვარელი შვილის ვრცელი წერილი გაიოზ რექტორის შესახებ²⁴. წერილში გაიოზის ცხოვრება და მოღვაწეობაა აღწერილი და მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა გაიოზის გრამატიკის დახასიათებას.

• გრამატიკის საკითხებით დაინტერესებული იყვნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები და მწერლები. 1879 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ გრამატიკებს ადგენენ ი. გოგებაშვილი, პ. უმიკაშვილი და დ. ჯანაშვილი²⁵. გაზეთი შენიშნავს, რომ უკეთესი იყო სამივე პირი შეკრებილიყო, გამოეკვლია, ჩვენი ენის კანონები და ყველას ერთი გრამატიკა გამოეცა, ვიდრე ცალ-ცალკე გრამატიკები შეედგინათო. ამ ავტორთა გრამატიკები არ გამოქვეყნებულა²⁶.

1882 წ. გამოიცა დიმიტრი ყიფიანის გრამატიკა²⁷, რომელსაც სხვა ავტორთა გრამატიკებიც მოჰყვა. •

ქართულ ეურნალ-გაზეთებში იმ ხანებში დაბეჭდილ წერილებსა თუ რეცენზიებში გრამატიკის საგანსაც ეხებიან. ხაინტურესო შეხედულებები გამოთქვეს ი. გოგებაშვილმა, მ. ნასიძემ, მ. ჯანაშვილმა, დ. კარიჭაშვილმა, პ. კარაიამ, ს. ხუნდაძემ და სხვებმა.

დ. ყიფიანის გრამატიკის გამოსვლასთან დაკავშირებით გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა ცნობილი პედაგოგის მ. ნასიძის

²² დეკანოზიძე [დ. კარიჭაშვილი]. ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია, „თეატრი“, 1887, № 12.

²³ ხ. კიკინაძე, ორი საგრამატიკო შენიშვნის განო, „თეატრი“, 1886, № 11, გვ. 118.

²⁴ ნ. მთვარელი შვილი, თელავის სემინარია და პირველი მისი რექტორი გაიოზ ნაცელიშვილი, „ივერია“, 1881, № 10.

²⁵ „დროება“, 1879, № 146, გვ. 3.

²⁶ ი. გოგებაშვილის ხელნაწერი გრამატიკა დაცულია საქართველოს სსრ ლენინგრებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ი. გოგებაშვილის პირადი არქივის ფონდი, № 74. ეს გრამატიკა შეისწავლა შ. ლლონტმა ი. მისი ქართული ენის გრამატიკისა და მისი სწავლების საკითხები ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში, სოხუმი, 1953.

²⁷ დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, სანკტ-პეტერბურლი, 1882.

წერილი³⁸. ეს წერილი სახელთა ბრუნებისა და ზნის უღვლილ-
ზასთან ერთად გრამატიკის საგანსაც ეხება.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს გრამატიკის პრაქტიკულ
საჭიროებაზე. რომ ენის მცოდნე შეგნებულ მცოდნედ ჩაითვალოს,
საჭიროა იცოდეს მან ენის კანონები, საჭიროა იცოდეს ენა გრა-
მატიკულად, წერს ავტორი. მ. ნასიძის შეხედულებით, ნამდვილი,
სწორი ქართული ენის შესასწავლად და დასაუფლებლად გრამატი-
კა ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს. გრამატიკა ენის შესას-
წავლი საშუალებაა, ამავე დროს იგი ენის შეგნებულ ცოდნას
გვაძლევს.

მ. ნასიძის განმარტებით, გრამატიკა არის „კრება ენის კა-
ნონთა“. ეს კანონები ენაშია მოცემული და მათი აღმოჩენა გრა-
მატიკის მოვალეობააო, აცხადებს ავტორი. ამით ავტორმა გარკვე-
ვით აღნიშნა ენის კანონების ობიექტურობა. გრამატიკის შემდგე-
ნელი ენის კანონებიდან უნდა ამოდიოდესო. სხვაგან მ. ნასიძე
წერს, რომ გრამატიკის საგანს „ენა, სიტყვა და მისი ფორმები
შეადგენენ“³⁹.

მართებულად შენიშნავს მ. ნასიძე, რომ ყოველი ენის გრა-
მატიკას ზოგადი თვისებებიცა აქვს და კერძოც. იგი წერს, რომ
ის, რაც ზოგადია, ქართულში კარგადაა გარკვეული, ხოლო გრა-
მატიკის კერძო საკითხები არ არის მოგვარებული ან სხვა ენების
მიხედვით არის გადაწყვეტილიო.

მ. ნასიძეს მეტყველების ნაწილები, წინადადების ტიპები,
წინადადების წევრები „ზოგადი“ გრამატიკის კუთვნილებად მიაჩ-
ნია. ეს საკითხები, მ. ნასიძის მიხედვით, ერთნაირად წყდება ყველა
ენაში, მათ შორის ქართულშიც⁴⁰. ამგვარი გაგება იმ დროს მიღე-
ბული იყო და ექვს არ იწვევდა.

მ. ნასიძის მიხედვით, ქართული ენის გრამატიკამ უნდა გა-
მოაელინოს ქართული ენის კონკრეტული მოვლენები, ქართული
ენისავე მიხედვით უნდა დადგინდეს ქართული ენის კანონები;
მაგრამ უცხო ენების გავლენას მ. ნასიძეც ვერ ასცდა.
იგი ვერ მიჯნავს ზოგადსა და კერძოს, პრაქტიკულ კვლე-
ვა-ძიებაში ლალატობს თავის პრინციპს — ქართულის ბუნებრივ

³⁸ მ. ნასიძე, ორი საგრამატიკო საგანი, „ივერია“, 1886, №17, 18.

³⁹ პაატა [მ. ნასიძე]. ქართული გრამატიკა (ეტიმოლოგია, სინტაქსი)
თბილისი და გამოცემული თ. ჟორდანიასაგან, „ივერია“, 1893, № 53, გვ. 3.

⁴⁰ იქვე.

ფორმებს რუსული ენის გრამატიკის მიხედვით აფასებს და უხეშ შეცდომებს უშვებს.

მ. ნასიძის შეხედულებები და მცდარი მეთოდოლოგია სამართლიანად გააკრიტიკა ი. გოგებაშვილმა.

დიდი პედაგოგი გრამატიკას თეორიულ მეცნიერებად თვლიდა და გრამატიკის შედგენა მეტად საპასუხისმგებლო საქმედ მიიჩნდა. ი. გოგებაშვილი ითვალისწინებდა, რომ ქართული გრამატიკის საკითხები იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ შესწავლილი. ამიტომ იყო, რომ იგი გრამატიკის შემდგენელისაგან დიდ სიფრთხილესა და წინდახედულობას მოითხოვდა:

„ჩვენი გრამატიკა, როგორც თეორიული მეცნიერება, ძალიან ნაკლებად არის შეწუშავებული და მოგაგონებთ დაბურულს და გაუვალს ტყესა. მოდი აქა და ნუ იხმარ სიფრთხილეს და წინდახედულობასა“. „გრამატიკა ფილოსოფიაა ენისა, და როგორც მოგეხსენებათ, ყოველ-გვარი ფილოსოფია ითხოვს კარგს ცოდნას, გონების-გახსნილებას და საგანში ღრმად ჩაკვირებას“. „წინდახედულობა, სიფხიზლე... მიუცილებლად საჭიროა ყველასათვის, ვინც კი კისრულობს ქართულის გრამატიკის შედგენას და გამდიდრებას ჩვენი ფილოლოგიურის ლიტერატურისას“⁴¹.

ი. გოგებაშვილმა სწორად ახსნა მ. ნასიძის უმართებულო დასკვნების მიზეზები, სამართლიანად შენიშნა, რომ მ. ნასიძის პრინციპული ხასიათის შეცდომები ქართული ენის კონკრეტული მოვლენების შეფასებისას კვლევის მცდარი მეთოდიდან გამომდინარეობდა. მ. ნასიძემ ქართული გრამატიკის ზოგიერთი საკითხის გადაჭრა რუსული ენის გრამატიკის მიხედვით მოინდომა. ამაზე მიუთითებდა ი. გოგებაშვილი: „თითქმის ყველა შეცდომა ბატონ ნასიძისა წარმოსდგება იქითგან, რომ მას სათვალეებად გაუკეთებია რუსულის ენის ფორმები და ისე დაუწყვია შინჯვა დედა-ენის აგებულობისა... ასეთივე დაბნევა, ასეთივე მარცხი მოელის ყველას, ვინც ქართულის ენის შენობის შესწავლისათვის და გრამატიკის შედგენისათვის ქვა-კუთხედად არ დასდებს მის საგრამატიკო ანალიზს... და დაიწყებს ნაკერაობასა უცხო ენების მიხედვით“⁴².

⁴¹ ი. გოგებაშვილი, საგრამატიკო შენიშვნა, „ივერია“, 1886, № 25, გვ. 1.

⁴² ი. გოგებაშვილი, დაბრწყვებული ბრუნვები, „ივერია“, 1886, № 52, გვ. 3.

ი. გოგებაშვილი გადაქარბებულად და გაზვიადებულად მიიჩნეოდა მ. ნასიძის მოსაზრებას გრამატიკის როლის შესახებ ენის შესწავლაში. მას კარგად ესმოდა, რომ საუკეთესო საშუალება დედანის შესასწავლად და დასაუფლებლად ცოცხალი ხალხური მეტყველება და მხატვრული ლიტერატურაა. „უმთავრესი და საუკეთესო ღონისძიება ენის შესწავლისათვის გახლავთ: ხალხის გონების ნაწარმოები, პოეზია და სიტყვა-კაზმული პროზა—ერთის სიტყვით ლიტერატურა. ლიტერატურა არის ერთად-ერთი ცხოველი წყარო ენის სიმდიდრის შეთვისებისათვის“⁴³. ამ საკითხში ი. გოგებაშვილი დიდი რუსი პედაგოგის კ. უშინსკის შეხედულებას იზიარებდა⁴⁴.

ი. გოგებაშვილი გრამატიკას დამხმარე საშუალებად თვლიდა ენის პრაქტიკულად დაუფლების საქმეში. „გრამატიკა არის მხოლოდ დამხმარებელი ღონისძიება, რომელიც სარჩულად დაედება პრაქტიკულს ცოდნას“⁴⁵. მაგრამ ამით ი. გოგებაშვილი ოდნავადაც არ ამცირებდა გრამატიკის მნიშვნელობას. იგი გრამატიკის შედგენას მეტად სერიოზულ საქმედ მიიჩნეოდა. გრამატიკა „უნდა იყოს შედგენილი ცოდნით და მარჯვედ და იპყრობდეს უტყუარს კანონებს ენისასა“,—წერდა ი. გოგებაშვილი.

ი. გოგებაშვილმა თავისი თეორიული შეხედულებები პრაქტიკული საქმიანობით გაამართლა. დიდ სიფრთხილესა და წინდახედულობას იჩენდა ენობრივი ფორმების შეფასებისას, იგი ქართული ენის ბუნებიდან ამოდიოდა, ქართული ენის თვისებებს ეყრდნობოდა და ისტორიულ პერსპექტივასაც ითვალისწინებდა.

მ. ნასიძისადმი მიმართულ საპასუხო წერილში ი. გოგებაშვილმა სავსებით ჩამოყალიბებული შეხედულებები გამოთქვა გრამატიკის შესახებ. ი. გოგებაშვილის მიხედვით, გრამატიკა თეორიული დისციპლინაა, იგი ფილოსოფიაა ენისა. გრამატიკა დამხმარე საშუალებას წარმოადგენს ენის დაუფლებისათვის. გრამატიკის საგანი ცოცხალი ენა უნდა იყოს, ამ ენაში უნდა დაიძებნოს გრამატიკის კანონები. გრამატიკის მკვლევარმა უნდა კარგად გამოიძიოს ენის კანონები, იგი საკუთარი ენის თვისებებიდან უნდა

⁴³ ი. გოგებაშვილი, საგრამატიკო შენიშვნა, „ივერია“, 1886, № 25, გვ. 1.

⁴⁴ ივ. ქავთარაძე, იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენა, თბილისი, 1956, გვ. 50.

⁴⁵ ი. გოგებაშვილი, საგრამატიკო შენიშვნა, „ივერია“, 1886, № 25, გვ. 1.

ამოდიოდეს და არა უცხო ენათა გრამატიკების მიხედვით აფასებდეს თავისი ენის კონკრეტულ მოვლენებს.

ი. გოგებაშვილმა სწორად შეათასა გრამატიკის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. იგი ენობრივ მოვლენათა კვლევისას მეთოდოლოგიურად გამართლებული პრინციპებით ხელმძღვანელობდა.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ოთხმოციანი წლებიდან გრამატიკა მეცნიერულ დისციპლინადაა აღიარებული ქართულ პრესაში.

მ. ჯანაშვილი ა. ცაგარლის ცნობილ შრომაზე⁴⁶ დაყრდნობით გარკვევით აღნიშნავდა, რომ თანამედროვე საფეხურზე გრამატიკის გაგება, გრამატიკის საგანი და მიზანდასახულობა არსებითად განსხვავდება გრამატიკის ძველი გაგებისაგან. მ. ჯანაშვილის წერილში⁴⁷ პოპულარულადაა მიმოხილული ქართული გრამატიკული ლიტერატურა; აღნიშნულია, რომ, თუ წინა საფეხურზე გრამატიკა „ხელოვნებას“ წარმოადგენდა და მართლწერისა და მართლუბნობის კანონებსა და წესებს ადგენდა, ამ საუკუნიდან გრამატიკა მეცნიერულ გზას დაადგა და „ენის ზრდისა და განვითარების კანონებს“ იძლევა.

დ. კარიჭაშვილი ერთ-ერთ რეცენზიაში⁴⁸ შენიშნავდა, რომ გრამატიკა არ შეიძლება არ ჩავთვალოთ მეცნიერულ შრომად. დ. კარიჭაშვილი სწორედ ამაზე ამახვილებდა ყურადღებას და გრამატიკის შემდგენელისაგან მეცნიერულ მეთოდს, კრიტიკის უნარსა და სიფრთხილეს მოითხოვდა. ავტორი მიუთითებდა: გრამატიკოსმა მართლწერის კანონები ენის თვისებებზე უნდა ააგოს და დასკვნებიც იქიდან გამოიყვანოს.

დ. კარიჭაშვილის რეცენზიის გამო ჟურნალ „მწყემსში“ ვრცელი წერილები⁴⁹ დაიბეჭდა. წერილები ტენდენციურია და მკაცრი ტონითაა დაწერილი. ავტორი დ. კარიჭაშვილს ირონიით „სერიოზულ“ ენათმეცნიერს უწოდებს. იგი ცდილობს დაამტკი-

⁴⁶ А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка. С.-Пб., 1873.

⁴⁷ ესაზ [მ. ჯანაშვილი], მოკლე ისტორია ქართულ ენის გრამატიკისა, „ივერია“, 1889, № 9, გვ. 3.

⁴⁸ დ. დეკანოზიძე [დ. კარიჭაშვილი], ქართული სწორმეტყველება, „თეატრი“, 1888, № 15.

⁴⁹ „სერიოზული“ ენათმეცნიერი, „მწყემსი“, 1889, № 14; ღრამატიკა მეცნიერება თუ ხელოვნება, „მწყემსი“, 1889, №№ 15—16, 17, 18.

ცოს, რომ გრამატიკა მეცნიერება არ არის და ამის მტკიცებას ანდომებს ჟურნალის მთელ გვერდებს.

ავტორი დიონისე თრაკიელის გრამატიკას იმოწმებს და აღნიშნავს, რომ ეს პირველი გრამატიკა პრაქტიკული მიზნით დაიწერა, მისი შედგენის მიზანი პრაქტიკული იყო და არა მეცნიერული. გრამატიკაში დადგენილია წესი და კანონი, რომლის ახსნა არაა საჭირო, ეს არც ევალება გრამატიკის ავტორს. გრამატიკა რომ მეცნიერება იყოს, მას თავისი ისტორია ექნებოდაო. მეცნიერულ წიგნში წამოყენებულია გადაუჭრელი საკითხები, რაც არ შეიძლება იყოს გრამატიკაში. „გრამატიკა კრებაა საუბრის კანონებისა“. გრამატიკის პრაქტიკული მიზანი ჰქონდა იმთავითვე, პრაქტიკული მიზანი აქვს ახლაც; ესაა წერისა და ლაპარაკის სწორი კანონების დადგენა. გრამატიკა ფაქტების აღწერას სჯერდება, ეს კი მეცნიერებაა ვერ დააკმაყოფილებსო.

ავტორის მიხედვით, „ჩვეულებრივი“ გრამატიკა არ არის მეცნიერება; მეცნიერული შეიძლება იყოს მხოლოდ ისტორიული გრამატიკა და შედარებითი გრამატიკა. ენის მეცნიერულ, თეორიულ ცოდნას იძლევა ენათმეცნიერება. გრამატიკა მხოლოდ მასალებს აძლევს ენათმეცნიერებას, რომელიც სარგებლობს გრამატიკით. ასეთია ავტორის მსჯელობა გრამატიკის შესახებ.

როგორც ჩანს, „ჩვეულებრივი“ გრამატიკაზე მსჯელობისას ავტორს მხედველობაში აქვს აღწერითი სასკოლო გრამატიკა, რომელსაც ძველი ფილოლოგიური გრამატიკის მოთხოვნილებებს უყენებს. გრამატიკის მიზანი პრაქტიკულია: იგი სწორი წერისა და საუბრის წესებს ადგენს.

ავტორის მიხედვით, აღწერით გრამატიკას მხოლოდ ნორმატიული დანიშნულება აქვს, იგი საუბრის კანონებს იძლევა. ავტორი ამიტომ არ ცნობს მას მეცნიერულ გრამატიკად. წერილის ავტორი აღწერით სასკოლო გრამატიკას, როგორც არამეცნიერულს, უპირისპირებს მეცნიერულ გრამატიკებს—ისტორიულსა და შედარებითს. ამგვარი დაპირისპირება არ არის მართებული. აღწერითი ნორმატიული გრამატიკაც მეცნიერულ თვალსაზრისს უნდა ემყარებოდეს. „სასკოლო გრამატიკა, რა მოცულობითაც იქნება მასში აღებული ენობრივი მასალა, უნდა იყოს ზუსტად მეცნიერული“⁵⁰. პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტისას გრამატიკა მეცნიერულ დასაბუთებას უნდა იძლეოდეს.

⁵⁰ არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I, თბილისი, 1946, გვ. 72.

ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული წერილებიდან ირკვევა, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გრამატიკის საგანს, მიზანდასახულობასა და დანიშნულებას პრესაში სათანადო ყურადღება ექცეოდა და იმდროინდელი დონის შესაფერისად იყო გაშუქებული.

ქართული პრესის მასალა ნათლად მოწმობს გრამატიკული აზროვნების წინსვლასა და განვითარებას ჩვენში, გრამატიკის მეცნიერული გაგების მომწიფებას, ახალი გრამატიკის გამოცემის აუცილებლობის, გრამატიკის საკითხების დამუშავების საჭიროების შეგნებას.

სამოციან წლებში გრამატიკის ძველი ტრადიციული გაგება ახალმა გაგებამ შეცვალა. ეს უკანასკნელი განსხვავდებოდა როგორც შესწავლის საგნის, ისე თვალსაზრისის მიხედვით. წამოყენებული იყო ახალი მოთხონილებები: აღიარებულ იქნა ისტორიულობის პრინციპი, გრამატიკის საგნად ახალი სალიტერატურო ენა და ცოცხალი ხალხური მეტყველება გამოცხადდა. ამით საგრძნობლად გაფართოვდა შესასწავლი საგანი—გადაწყვეტი მნიშვნელობა მიეცა ცოცხალ ხალხურ მეტყველებას.

გრამატიკის ახალი გაგება გრამატიკას კვლევით, თეორიულ-შემეცნებით მნიშვნელობას ანიჭებს და დღევანდელი აღწერითი მეცნიერული გრამატიკის გაგებას უახლოვდება.

დავ. ყიფიანისა და მ. ნასიძის წერილებში, აგრეთვე ჟურნალ „მწყემსში“ დაბეჭდილ წერილებში, მოცემულია გრამატიკის ახალი განსაზღვრა, რომლის მიხედვით გრამატიკა „ენის კანონების კრებად“ ცხადდება. ამგვარი განსაზღვრა ზოგადი ხასიათისაა, მასში არ ჩანს გრამატიკის არსებითი მხარე, მისი შესწავლის ობიექტი. მაგრამ იმ ხანებში ამ საკითხის სწორი გადაწყვეტა არც იყო მოსალოდნელი.

მაშინდელ პრესაში გამოთქმული ახალი თვალსაზრისის მიხედვით, ენის ნორმების დაწესება გრამატიკის ძირითადი მიზანი კი არ არის, როგორც ეს ძველ გრამატიკოსებს მიაჩნდათ, არამედ მისი ერთ-ერთი დანიშნულებათაგანია.

გრამატიკას უკვე თეორიულ, მეცნიერულ დისციპლინად აღიარებენ, თუმცა ზოგ ავტორს ეს ჯერ კიდევ სადავოდ მიაჩნდა.

II. სახელთა ბრუნების საკითხები

• სახელთა ბრუნების სისტემა ქართულში მარტივია. ბრუნება ერთია ქართულში: ერთნაირი დაბოლოება მოუდის ყველა სახელს, ბრუნვის ნიშანი ერთია მხოლოდობითსა და მრავლობით რიცხვში. მიუხედავად ასეთი სიმარტივისა გასული საუკუნის ქართულ გრამატიკებში ბრუნვათა რაოდენობისა და ფორმების საკითხი არ იყო ერთნაირად გადაჭრილი⁵¹. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ბრუნვათა რაოდენობის საკითხი კამათის საგანიც კი გახდა ქართულ პრესაში. არ იყო საბოლოოდ დადგენილი ბრუნვათა რაოდენობა.

• მ. ნასიძის წერილი „ორი საგრამატიკო საგანი“⁵² ძირითადად ბრუნვათა რაოდენობის საკითხს ეხება. ამ თვალსაზრისით განიხილავს ავტორი ანტონის, ს. დოდაშვილის, პლ. იოსელიანის, დ. ჩუბინაშვილის გრამატიკებს და, დასასრულ, ჩერდება დ. ყიფიანის გრამატიკაზე, რომელშიც ბრუნვათა რაოდენობის საკითხი საგრძობლად გამარტივებული სახითაა მოცემული.

• დ. ყიფიანის გრამატიკაში⁵³ ბრუნვათა რაოდენობა ოთხამდეა დაყვანილი. წარმოდგენილია მხოლოდ სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი და მოთხრობითი ბრუნვები. მოქმედებითი, მიმართულებითი და წოდებითი თანდებულებიან ბრუნვებად არის მიჩნეული და ბრუნვათა რიგში არ არის შეტანილი. ბრუნვათა შორის აღარ გვხვდება აგრეთვე ზოგიერთი ფორმა (შემასმენლობითი, დაწყებითი...), რომლებიც ზოგ ქართულ გრამატიკაში ბრუნვებად იყო მიჩნეული.

⁵¹ ი. ცერცვაძე, ბრუნვათა საკითხი XVIII და XIX სს. ქართველ გრამატიკოსებთან, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბილისი, 1956.

⁵² „ივერია“, 1886, №16 17, 18.

⁵³ დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, სანქტ-პეტერბურლი, 1882.

დ. ყიფიანის აზრით, მოქმედებითი (კაციით) ან -თურთ თანდებულებიანი სახელობითია, ან -თანა თანდებულებიანი მიცემითი; წოდებითი იგივე სახელობითია -თ თანდებულის დართვით.

მ. ნასიძე ბრუნვათა რაოდენობის კვლევისას ძირითადად დ. ყიფიანის თვალსაზრისზე დგას, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ბრუნვათა რიცხვში შეაქვს წოდებითიც. დაწყებით და მოქმედებით ბრუნვებზე მსჯელობისას მ. ნასიძე იმეორებს დ. ყიფიანის მოსაზრებებს, სხვა ფორმების შესახებ კი იგი საკუთარ შეხედულებებსაც გამოთქვამს.)

დ. ყიფიანს მიმართულებითი ბრუნვის ფორმა (დ. ყიფიანის ტერმინით—ცვლილებითი), ისევე როგორც „კაცისას“ ფორმა, ზმნიზედად მიაჩნია. მ. ნასიძე ცდილობს უფრო „მტკიცე“ საბუთები დაუძებნოს ამ მოსაზრებას და კითხვის მეთოდს მიმართავს. მ. ნასიძის მიხედვით, სიტყვები კაცისას, კაცად საგანს არ აღნიშნავს, ესენი ზმნიზედებია და არა არსებითი სახელი: „კაცისას“ უპასუხებს კითხვაზე სად? და ადგილს აღნიშნავს. ამ კითხვაზე, მ. ნასიძის აზრით, მხოლოდ ზმნიზედა უპასუხებს. ასეთივე მნიშვნელობა აქვს სიტყვებს ქალაქად, სოფლად. ადგილს უნდა გამოხატავდეს, მ. ნასიძის აზრით, „კაცად“ ფორმაც.

ი. გოგებაშვილთან კამათისას მ. ნასიძე მსჯელობს მოქმედებითი ბრუნვის შესახებ და ცდილობს დაანტიკოს, რომ იგი თანდებულებიანი ბრუნვაა, რისთვისაც ოთხთავის ქართული და რუსული ტექსტების შედარებას მიმართავს.

მ. ნასიძე უდარებს რუსული თანდებულებიანი მოქმედებითის ფორმას «с существами» ქართულ ფორმას „მოწაფითურთ“. მ. ნასიძის მსჯელობა ასეთია: „მოწაფითურთ“ ფორმა შედგება მოწაფი სახელობითი ბრუნვისაგან (ე გადაიქცა ი-დ კეთილზმოვანებისათვის) და თურთ თანდებულისაგან. ეს უკანასკნელი რუსული წინდებულის -ს ბადალია. რუსულ მოქმედებითი ბრუნვის ნიშანს (ам), მ. ნასიძის მიხედვით, ქართულში არა აქვს შესატყვისი. ამის საფუძველზე ავტორი დაასკვნის, რომ ქართულში მოქმედებითი ბრუნვა არ არის. მ. ნასიძე რუსული ოთხთავის. იოანეს თავში მოცემულ უთანდებულო მოქმედებითებს («отцем», «мною») უდარებს ქართული ოთხთავის ტექსტის შესაბამის ფორმებს („მამისა თანა“, „ჩემ მიერ“) და შენიშნავს, რომ რუსული მოქმედებითი ბრუნვა (отцем) ქართულმა ნათესაობითი ბრუნვით გამოხატა (მამისა თანა). „იგივე მოქმედებითი ბრუნვა мною მეორე შემთხვევაში კიდევ გამოხატა ასე: ჩემ+მიერ: სად არის, რა გაკირე-

ბისათვისლა შეინახა ამის დამწერმა ქართული მოქმედებითი ბრუნვა, უკეთუ იგი არსებობს. ამავე ადგილას ეს სიტყვები შეიძლება შევცვალოთ ასე: მამით, ჩემისა თანა ანუ ჩემით. ნუთუ აქ „თ“ არ არის შემოკლებული თანდებული თანა?“—ასე წერდა მ. ნასიძე⁵³.

როგორც ვხედავთ, ავტორი მცდარ მეთოდოლოგიურ პოზიციაზე დგას, ვერ იძლევა ფორმების სწორ ანალიზს და დასკვნებსაც მცდარს აკეთებს.

შემასმენლობითი ბრუნვის უარყოფისას მ. ნასიძე იზიარებს დ. ყიფიანის დასაბუთებებს, რომ ეს ბრუნვა სახელობითს ჰგავს და იმავე კითხვაზე უპასუხებს, რომელზედაც სახელობითი; მაგრამ ეს საბუთი მ. ნასიძეს საკმარისად არ მიაჩნია შემასმენლობითის გასაუქმებლად. „იტალიურს ენაშიაც თურმე შემასმენლობითი ბრუნვა ყოველთვის ჰგავს სახელობითს, მაგრამ იმათ არ დაუნახავთ საკიროდ იგი გაუქმებინათ“⁵⁴,—წერს იგი. მ. ნასიძის მიხედვით, შემასმენლობითი დიდ სამსახურს ეწევა წინადადებათა სინტაქსურად განხილვის დროს, მაგრამ ჩვენი ენის თვისება ისეთია, რომ შემასმენლობითი აქაც უქმობს. რუსულში ქვემდებარე მარტო სახელობით ბრუნვაშია, ქართულში—სახელობითში, მიცემითსა და მოთხრობითში. მ. ნასიძის თქმით, შემასმენლობითი ბრუნვა აუცილებელია ზოგიერთ ენაში საქვემდებარო ბრუნვისაგან გასარჩევად. მ. ნასიძე სხვა ენებში შემასმენლობითი ბრუნვის არსებობას სინტაქსური საკიროებით ხსნის.

მ. ნასიძე არ ეთანხმება დ. ყიფიანს წოდებითი ბრუნვის გაუქმებაში; ამასთან დაკავშირებით იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ წოდებითში **თ** არ არის თანდებული. მისი თქმით, თანდებულს აქვს ცხადი მნიშვნელობა და ნიშნავს მოქმედების მიმართულებას. **თ**-ს მ. ნასიძე ბრუნვის ნიშნად თვლის. წოდებითის -**გ** ნიშანს ავტორი ფონეტიკურ ნიშნად ხსნის (**თ**→**გ**: დედაგ).

ამგვარად, **ქ**მ. ნასიძის აზრით, ბრუნვა ხუთია ქართულში:

სახელობითი —**კაც**
ნათესაობითი —**კაც**-ისა
მიცემითი —**კაც**-სა
მოთხრობითი —**კაც**-მა
წოდებითი —**კაც**-ო

⁵³ მ. ნასიძე, ბ.ს იაკობ გოგებაშვილს პასუხად, „ივერია“, 1886, № 41, გვ. 2.

⁵⁴ მ. ნასიძე, ორი საგრამატიკო საგანი, „ივერია“, 1886, № 17, გვ. 3.

1 მ. ნასიძე ყურადღებას ამახვილებს თანდებულიან ბრუნვებზე, სახელდობრ, თანდებულიან მიცემითზე (სახლში, ბაღში, კლდეზე, ბანზე). ამ ფორმებს მ. ნასიძე ზმნიზედად მიიჩნევს, რადგან მიუგებს კითხვაზე საღ? მეორე მხრით, მ. ნასიძისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბრუნვის ნიშანს;

მ. ნასიძის წერილში წარმოდგენილი ბრუნვათა რაოდენობა, რა თქმა უნდა, არ შეეფერება ქართულის ბრუნვათა სისტემას: ბრუნვათა რიცხვში არ არის შეტანილი ქართულისათვის დამახასიათებელი ბრუნვები—მიმართულებითი და მოქმედებითი.

მიმართულებითი ბრუნვა ზმნიზედადაა გამოცხადებული. ამ ფორმის ძირითად ფუნქციად მ. ნასიძეს მარტო ადგილის ჩვენება მიაჩნია, ძირითად კითხვად—საღ? მ. ნასიძეს შეუნიშნავი დარჩა მიმართულებითი ბრუნვის ძირითადი ფუნქციები. იგი მხოლოდ იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რაც ამ ბრუნვას იშვიათი გამო-ნაკლისის სახით შემოარჩენია. როგორც ცნობილია, ახალ ქართულში მიმართულებითი ბრუნვა ამ კითხვას (საღ? საით?) ჩვეულებრივ არ იგუებს⁵⁶.

(მოქმედებითი ბრუნვა მ. ნასიძემ თანდებულიან ბრუნვად მიიჩნია: ბრუნვის ნიშნის თანხმოვანი ელემენტი -თ-ურთ თანდებულს მიაკუთვნა. ბრუნვის ნიშნის ნაწილი თანდებულის ნაწილად ჩათვალა და მოქმედებითი ბრუნვაც გამორიცხა ბრუნვათა რიგიდან.)

• შემასმენლობით ბრუნვას მ. ნასიძე საშარტლიანად უარყოფს. იგი ცდილობს სინტაქსურ საფუძველზე ახსნას მისი უქმობა ქართულში, მაგრამ ამას ვერ ახერხებს. იგი ვერ ჩასწვდა ქართული ბრუნების სპეციფიკას, ვერ მიხვდა, რომ შემასმენლობითი ბრუნვა არ ეგუება ქართული ენის ბუნებას, რომ მოთხრობითი ბრუნვის არსებობა თავისთავად გამორიცხავს შემასმენლობითი ბრუნვის (აკუზატივის) შესაძლებლობას ქართულში. •

თანდებულიანი მიცემითი (სახლში, ხეზე) ზმნიზედად გამოაცხადა ჩვენმა ავტორმა. ამოსავალი პრინციპი, ერთი მხრით, კითხვის მიყენება ჩანს, მეორე მხრით კი, ბრუნვის ნიშნის დაკარგვა. ავტორი ვერ ითვალისწინებს, რომ ბრუნვის ნიშნის გაქრობა ამ ფორმებში ფონეტიკური მიზეზით ხდება.

⁵⁶ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმო-გებისა და ისტორიისათვის, ენიშნის მოამბე, I, 1937, გვ. 13.

მ. ნასიძეს არ გაუმახვილებია ყურადღება ქართული ბრუნების სპეციფიკურობაზე, ბრუნების სისტემის სიმარტივეზე. წრავლობითის წარმოებაზე არაფერი უთქვამს.

ბრუნვათა საკითხის განხილვისას მ. ნასიძე რუსული ენის მიხედვით მსჯელობს და ამის საფუძველზე უმართებულო დასკვნები გამოჰყავს. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ მან მოქმედებითი ბრუნვა თანდებულიან სახელობითად გამოაცხადა.

განხილული წერილი მ. ნასიძისა პოლემიკის საგანი გახდა გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე. ამ წერილს გამოეხმაურა ი. გოგებაშვილი⁵⁷, რომელმაც სამართლიანად გააკრიტიკა მ. ნასიძის შეხედულებები ბრუნვათა შესახებ.

ი. გოგებაშვილი ეყრდნობა ქართული ენის მონაცემებს და თვალსაჩინო მაგალითების ჩვენებით ამტკიცებს, რომ მოქმედებითი ბრუნვის თანხმონითი ელემენტი **თ** ბრუნვის ნიშნის ნაწილია და არა „თურთ“⁵⁸. თანდებულის ნაშთი, როგორც ეს მ. ნასიძეს ეგონა. ამის დასამტკიცებლად მას შემდეგი საბუთები მოჰყავს:

1. მოქმედებითი ბრუნვის ფორმაში **-თ** „თურთ“ თანდებულის ნაშთი რომ იყოს, მაშინ მის მაგივრად შეიძლებოდა გვეხმარა მისი სრული სახე (თურთ) სიტყვის მნიშვნელობის შეუცვლელად. ისევე, როგორც იხმარება **-ში** და **-ზე** თანდებულების სრული სახე, **შინა** და **ზედა**, რაც აზრს არ უცვლის სიტყვას. **თ-**ს ნაცვლად **თურთ** თანდებულის ხმარება კი სიტყვის მნიშვნელობას ცვლის.

2. **თ** რომ თანდებულის ნაშთი იყოს, იგი აღარ დაირთავდა სხვა თანდებულს ისევე, როგორც არ ირთავს თანდებულებს **-ში**, **-ზე** თანდებულდართული ფორმები: მოქმედებით ბრუნვას კი შესანიშნავად ერთვის თანდებულები **-გან**, **-თურთ** (კაციოგან, კაციოთურთ)⁵⁹.

3. თანდებული „თურთ“ ერთვის მოქმედებით ბრუნვას და არა სახელობითს. ამას ადასტურებს იმ სახელთა ფორმები, რომელთაც მოქმედებით ბრუნვაში ერთი ხმოვანი გამოაკლდებათ (რულუქცია ზოსდით). მაგ.: მგელი — მგლითურთ, მღვდელი — მღვდლითურთ. ვამბობთ და ვხმარობთ მგლითურთ, მღვდლითურთ და არა მგელითურთ, მღვდელითურთ, წერს ავტორი და დაასკვნის:

⁵⁷ ი. გოგებაშვილი, საგარეოპოლიტიკო შენიშვნა, „ივერია“, 1886, №16, 25, 26.

⁵⁸ თავდაპირველად ი. გოგებაშვილსაც თანდებულად მიაჩნდა თურთ ნაცვლად ურთ-ისა.

⁵⁹ „კაციოთურთ“ ფორმაში **თ** თანდებულს ეკუთვნის ი. გოგებაშვილის მიხედვით, ხოლო ბრუნვის ნიშნისეული **თ** ფონეტიკურ ნიადაგზე დაიკარგა.

„მაშასადამე, „ცხადზედ უცხადესია“, რომ თანდებული „თურთ“ თხოულობს არა სახელობითს ბრუნვასა, არამედ მოქმედებითსა და მხოლოდ მას ეთანხმება“⁶⁰.

წოდებითის შესახებ ი. გოგებაშვილი აღნიშნავს: „ახლა თ წარმოადგენს ნამდვილი ბრუნვის დაბოლოებას და სხვა არაფერსა, ისე მოკლედ და კოხტად ებმის ბოლოზედ ყოველს სახელსა და ისეთს განსაკუთრებულს მნიშვნელობას აძლევს მას, რომ წოდებითის ბრუნვის არსებობას ფიქრიც არა აქვს, თუნდაც რომ მას უარჰყოფდეს დიდი ავტორიტეტი“⁶¹. ი. გოგებაშვილის ვარაუდით, წოდებითი ბრუნვის ნიშანი წარმოშობით ან „თქო“ ზმნის ნაწილია, ან შორისდებულა.

სავსებით მართებულია ი. გოგებაშვილის მსჯელობა ცვლილებითი, ე. ი. მიმართულებითი ბრუნვის შესახებ. მ. ნასიძესთან პოლემიკაში ი. გოგებაშვილმა აღნიშნა, რომ ცვლილებით ბრუნვაში დასწულ საბელთაგან მხოლოდ ზედშესრული (ზედსართავი—ნ. ა.) იქცევა ზმნიზედად⁶²: „სახელი-არსებითი ბოლოზედ იბამს მარცვალს (ად) არა იმიტომ, რომ გადაიქცეს ზმნისზედად (ეს შეუძლებელია), არამედ იმისათვის, რომ მიიღოს სახე ერთის თავის ბრუნვისა“⁶³. მაგალითისათვის მოჰყავს ორი წინადადება: „სალომე ცეკვავს მ შ ვ ე ნ ი ვ რ ა დ, თოვლი იქცა წყლად“. პირველ წინადადებაში მ შ ვ ე ნ ი ვ რ ა დ მიუგებს კითხვაზე—როგორ? და შეადგენს სახეს მოქმედებისას (გარემოებას), მეორეში სახელია და შემავსებელი სიტყვაა წინადადებაში. აქვე ი. გოგებაშვილი მიუთითებს, რომ არსებით სახელთაგან ზმნიზედა მიიღება ფუძის გაორკეცების გზით: მთა-მთა, გზა-გზა, წყალ-წყალ...

ი. გოგებაშვილს მიმართულებითი ბრუნვის არსებობის მნიშვნელოვან საბუთად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ამ ბრუნვას აქვს საკუთარი თანდებული -მდე, -მდინ, „რომელიც მას ემსახურება და შველის, როცა ბრუნვას უქირდება მარტო საკუთარი დაბოლოებით გამოჰხატოს აზრი“⁶⁴.

⁶⁰ ი. გოგებაშვილი, დაბრწყვებული ბრუნვები, „ივერია“, 1886, № 50, გვ. 3.

⁶¹ ი. გოგებაშვილი, საგრამატიკო შენიშვნა, „ივერია“, 1886, № 26, გვ. 3.

⁶² აქ ისე უნდა გავიგოთ, რომ ზედსართავი ზმნიზედის ფუნქციებს კისრულობს და გარემოებას გამოხატავს.

⁶³ ი. გოგებაშვილი, საგრამატიკო შენიშვნა, „ივერია“, 1886, № 26, გვ. 1.

⁶⁴ ი. გოგებაშვილი, დაბრწყვებული ბრუნვები, „ივერია“, 1886, № 58, გვ. 3.

ი. გოგებაშვილი დაასკვნის, რომ ცვლილებითი (მიმართულე-ბითი—ნ. ა.) „შეადგენს ნამდვილ, თვითმყოფელს ბრუნვასა“.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს მართლწერის საკითხზე. იგი აღნიშნავს, რომ ამ ფორმაში უნდა იწერებოდეს დ და არა თ დაბოლოება. „მიუცილებლად საქიროა ცვლილებითი ბრუნვა ყოველთვის ბოლოვდებოდეს მარცვლით ად და იწერებოდეს: კულ, მდინარედ, კალოდ, ოქროდ, მიწად და არა კულთ, მდინარეთ, კალოთ, ოქროთ, მიწათ და სხვ.“⁶⁵

ი. გოგებაშვილი მართებულად მსჯელობს „მეზობლისას“ უორმის შესახებ. ამ ფორმას დ. ჩუბინაშვილი ჩვეულებრივ ბრუნვათა შორის მოიხსენიებს, დ. ყიფიანი მას ზმნიზედად მიიჩნევდა. ზმნიზედად მიაჩნდა იგი მ. ნასიძესაც იმ საბუთით, რომ ეს ფორმა ადგილს გამოხატავს და უპასუხებს კითხვაზე—სად? ამ კითხვაზე კი, მ. ნასიძის აზრით, მიოლოდ ზმნიზედა მიუგებს.

რამ მიიყვანა მ. ნასიძე იმ დასკვნამდე, რომ, თუ სიტყვა ნიშნავს ადგილს, იგი უთუოდ ზმნიზედაა?—კითხულობს ი. გოგებაშვილი და თვითონვე უპასუხებს: რუსულმა გრამატიკამ. რუსულში „მარტო ზმნიზედას შეუძლიან თავისთავად გამოხატოს ადგილი და სახელს კი ახოლოდ თანდებულის შეწყვენით“⁶⁶.

ი. გოგებაშვილმა დაასაბუთა მ. ნასიძის შეხედულებათა მცდარობა და უჩვენა ამ შეცდომის მიზეზიც: ეს არის ქართული ენის თვისების, მისი ბუნების ახსნა რუსული გრამატიკის მიხედვით. ი. გოგებაშვილმა კარგად იცის, რომ ყოველ ენას თავისი განსაკუთრებული თვისებები აქვს, ამიტომ მოითხოვს, რომ ქართული ენის კანონები, მისი თვისებები ქართულის ზედმიწევნითი შესწავლის საფუძველზე აიხსნას და არა უცხო ენათა გრამატიკის ყალიბების გადმოღების გზით. მას გათვალისწინებული აქვს ის შედეგი, რომელიც მოჰყვება მშობლიური ენის უმართებულო განხილვას: „თუ რუსული ალაბით ვზომეთ ქართული ენა, ნამდვილს ბაბილონის ენათა არეყვას მოვახდენთო“⁶⁷,—წერდა ი. გოგებაშვილი.

ი. გოგებაშვილი არ თვლის „მეზობლისას“ ფორმას ზმნიზედად და დაჟოუკიდებელ ბრუნვადაც არ მიიჩნევს.

„თუ „მეზობლისას“ არის ცალკე ბრუნვა, მაშ ანგვარივე ცალკე ბრუნვები იქმნებიან შემდეგი ფორმები: მეზობლისანი,

⁶⁵ ი. გოგებაშვილი ი, საგრამატიკო შენიშვნა, „ივერია“, 1886, № 26, ვვ. 2.

⁶⁶ იქვე.

⁶⁷ იქვე.

მეზობლისაგან, მეზობლისათა, მეზობლისაო. საქმე ის არის, რომ ეს ფორმა გახლავთ ერთ-გვარი რთული, ორ-კეცი ბრუნვა, რომელიც შეადგენს ქართული ენის ერთს განსაკუთრებულს თვისებასა. ჩვენს ენაში ნათესაობითს ბრუნვას აქვს მნიშვნელობა ზედშესრულისა და იბრუნვის ისე, როგორც დასაბამითი სახელი. სახელი უფლისა, სახელსა უფლისასა, სახელითა უფლისათა, სახელო უფლისაო, სახელნი უფლისანი და სხვ. ეს თვისება ნათესაობითის ბრუნვისა დიდს სამსახურს გვიწევს და, სხვათა-შორის, გვაძლევს შეძლებას მოკლედ მოვსქრათ ჩვენი აზრი... განოღის, რომ „მეზობლისას“ არის მიცემითი ფორმა ნათესაობითის ბრუნვისა და ერთი სიტყვით ჰხატავს ორი სიტყვის აზრსა: მეზობლის სახლში. ზმნისზედას კი აქ არავითარი ხელი არა აქვს“⁶⁸.

როგორც ვხედავთ, ი. გოგებაშვილმა სავესებით მართებულად შენიშნა, რომ ეს ფორმა (მეზობლისას) არის ნანათესაობითარი, რომ ნათესაობითი ფორმის ხელახალი ბრუნება დამახასიათებელია ქართული ენისათვის.

ი. გოგებაშვილმა ამ წერილში განსაზღვრა ბრუნვათა რაოდენობა ქართულში, აღნიშნა, რომ ქართულში არის შვიდი ბრუნვა: სახელობითი (პატარა კაცი), ნათესაობითი (პატარა კაცისა), მიცემითი (პატარა კაცსა), მოთხრობითი (პატარა კაცმან), მოქმედებითი (პატარა კაცით), ცვლილებითი (პატარა კაცად) და წოდებითი (პატარა კაცო).

ამრიგად, ი. გოგებაშვილმა დაამტკიცა, რომ მოქმედებითი და მიმართულებითი ბრუნვები თავისთავადი, მართალი ბრუნვებია ქართულში, და კანონიერი ადგილი მიუჩინა მათ სხვა ბრუნვათა შორის, დაადგინა ბრუნვათა რაოდენობა ქართულში (ბრუნვათა რაოდენობა დღესაც ასევეა წარმოდგენილი ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებში). ი. გოგებაშვილი კარგად ერკვევა ქართული გრამატიკის საკითხებში, იცნობს ქართული ენის თავისებურებებს, მეთოდოლოგიურად სწორ პოზიციასე დგას.)

ი. გოგებაშვილი სხვა წერილებშიც ვამოთქვამს თავის მოსაზრებებს ქართული ენის შესახებ და ბრუნების საკითხებსაც ეხება. მისი შეხედულებით, ბრუნების სიმარტივეს ქართულში ქმნის გრამატიკული სქესის უქონლობა, მრავლობითი რიცხვის წარმოების პრინციპი და ის ფაქტი, რომ ერთნაირი ბრუნვის ნიშნები მოუღის ყოველგვარ სახელს, ე. ი. რომ ერთი ბრუნებაა.

⁶⁸ ი. გოგებაშვილი, საგრამატიკო შენიშვნა, „ივერია“, 1886, № 26, გვ. 3.

სახელთა ბრუნების საკითხი გაშუქებულია კ. დოდაშვილის წერილებშიც. თავის წერილებში კ. დოდაშვილი ძირითადად ზმნაზე ამხვილებდა ყურადღებას, მაგრამ სახელთა ბრუნების საკითხიც არ დაუტოვებია უყურადღებოდ.

კ. დოდაშვილი საკმაოდ კარგად ერკვეოდა ქართული გრამატიკის სიკითხებში. მისი გრამატიკული ხასიათის წერილები იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში—„ივერიაში“, „ველსა“ და „მოამბეში“. ქართული ფონეტიკის საკითხებს კ. დოდაშვილმა სპეციალური წერილიც კი მიუძღვნა⁶⁹.

საკმაოდ ვრცელ წერილში „ახალი გზა-კვალი ქართული გრამატიკის კვლევა-ძიებისა“⁷⁰ კ. დოდაშვილი შეეცადა ახლებურად დაესვა ქართულში სახელთა ბრუნებისა და ზმნის უღვლილების საკითხები. ავტორმა წამოაყენა დებულება, რომ ქართულში სახელისა და ზმნის ფორმები ელემენტთა „ასხმა-აქინძეისა“ საფუძველზეა აგებული. „აგგლომერაცია ელემენტებისა“ ანუ ელემენტების „ასხმა-აქინძეა“, ავტორის აზრით, ქართული ენის უმთავრეს თვისებას შეადგენს.

კ. დოდაშვილის მიხედვით, ქართულში ერთი და იგივე ელემენტები, აფიქსები, სხვადასხვა ფუნქციისანი არიან. ავტორი ყურადღებას ამხვილებს ქართული ბრუნების სისტემაზე, აღნიშნავს, რომ ქართულში ბრუნება (ავტორის ტერმინით—კანკლედობა) ერთია. ავტორის მიხედვით, ამოსავალია ის ფაქტი, რომ ყველა სახელს სახელობითში ერთი ნიშანი -ი უნდა ჰქონოდა. „ეს ერთიანობა დამაბოლოვებელის ნიშნისა სახელობით ბრუნვაში საზოგადოდ ყველა კანკლედობას აერთებს და მაშასადამე აბათილებს იმ აზრს ჩვენის გრამატიკოსებისას, ვითომც რამდენიმე კანკლედობა არსებობდეს ქართულს გრამატიკაში“⁷¹,—წერდა კ. დოდაშვილი.

ავტორი უსაყვედურებს ჩვენს გრამატიკოსებს, რომლებიც „ტემის“ დამაბოლოებელ ნიშნებს სიტყვის დაბოლოებად მიიჩნევენ სახელობით ბრუნვაში და ამის საფუძველზე ქართულში რამდენიმე ბრუნებას გამოყოფდნენ.

⁶⁹ К. Д о д а ш в и л и, К и в е р и й с к о й ф о н е т и к е, С М О М П К, в ы п. 41, 1910.

⁷⁰ „მოამბე“, 1894, № 4, 6.

⁷¹ კ. დოდაშვილი, ახალი გზა-კვალი ქართული გრამატიკის კვლევა-ძიებისა, „მოამბე“, 1894, № 4, გვ. 112.

ქ. დოდაშვილი აღნიშნავს, რომ ბრუნვათა საკითხი სხვადასხვაგვარადაა გადაწყვეტილი ქართული გრამატიკოსების მიერ. იგი ასახელებს რვა ფორმას და განოყოფს ბრუნვის ნიშნებს:

სახელობითი	მამა (ი)	კაც-ი	ი
ნათესაობითი	მამა-სი	კაც-სი	სი
		კაც-ის	
მიცემითი	მამა-სა	კაც-სა	სა
მოთხრობითი	მამა-მან	კაც-მან	მან
მოქმედებითი	მამა-თი	კაც-თი	თი
		კაც-ით	
ცვალებადი	მამა-(ა)დ	კაც-ად	ად
ხმობითი	მამა-ო	კაც-ო	ო
შემასმენლობითი	როგორც	სახელობითი.	

ამათგან, ქ. დოდაშვილის აზრით, ბრუნვაა შვიდი. მაგრამ ავტორი შემასმენლობითს კი არ გამოორიციხავს ბრუნვათა წყობისაგან, არამედ მოთხრობითს.)

ბრუნვათა რიგი ასე აქვს წარმოდგენილი: სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, შემასმენლობითი, მოქმედებითი, ხმობითი და ადგილობითი (ცვალებადი).

ქ. დოდაშვილი ჩერდება თითოეულ ბრუნვაზე, ბრუნვის ნიშნებზე და ზოგჯერ ბრუნვის ფუნქციასაც ეხება. წერილში ბრუნვის ნიშანთა ეტიმოლოგიის ცდებიც არის.

სახელობითი ბრუნვის ნიშანია -ი. იგი წარმოდგება იხ ნაცვალსახელისაგან და მას „დიდი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა აქვს“. ამავ ელემენტს გამოყოფს ავტორი იგი ნაცვალსახელში, რომელსაც ასე შლის: ი-გი. ავტორის თქმით, „ი იმატებს მარცვლებს ჭი, მან, გიგე, გიგემან“⁷².

სახელობითი ბრუნვის ნიშნის ი-ს დაკარგვა ხმოვანფუძიან სახელებში ენის განვითარებისა და გაუმჯობესების შედეგია, ქ. დოდაშვილის აზრით. ავტორი იმოწმებს ხალხური მეტყველების მაგალითებს: დედაი, მამაი, სოკოი. ავტორის ფიქრით, სახელობითში ი დაბოლოება უნდა ჰქონოდა აგრეთვე თანხმოვანფუძიან ადამიანთა საკუთარ სახელებსაც და მისი დაკარგვა უნდა აიხსნას

⁷² ქ. დოდაშვილი, ახალი გზა-წვალი ქართული გრამატიკის კვლევა-ძიებისა, „მომავლ“, 1894, № 4, გვ. 114.

„ჩქარის გამოთქმის სურვილით: ალვისახარ, ვარდისახარ, ნესტან-
დარეჯან, აეთანდილ“⁷².

მიცემითი ბრუნვის ნიშნად ავტორი სა ელემენტს გამოყოფს.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად კ. დოდაშვილს სი ელემენტი
მიიჩნია. თანხმოვანფუძიან სახელებში -ის დაბოლოებას ავტორი
კეთილხმოვანებით ხსნის, ამოსავალია სი.

მოთხრობითი ბრუნვა წარმოადგენს იმავე სახელობითს,
ოლონდ მან ნაცვალსახელის დართვით. ავტორის თქმით, ეს ბრუნვა
სინტაქსური საკიროებითაა შემოღებული ქართულში და შემასმენ-
ლობითი ბრუნვით არის შეპირობებული: „ენას თავის განვითარე-
ბის დროს საკიროდ უცვნია სახელობით ბრუნვაში არსებითი სა-
ხელისათვის მოგმატებინა ნაცვალ-სახელი მან იმ შემთხვევაში,
როდესაც წინადადებაში ზნნას მოსდევს შემასმენლობითი ბრუნვა...
ეს არის სინტაქსური შემოღება და სრულიადაც არ შეადგენს ეს
ფორმები ცალკე ბრუნვას“⁷³.

მოქმედებით ბრუნვაში ავტორი გაარჩევს დადებითსა და
უარყოფით ფორმებს: მაგ., „კოვზით“, „უკოვზოთ“. ანრივად,
ავტორი მიმართულებითი ბრუნვის ფორმას მოქმედებით ბრუნვად
მიიჩნევს. ამ ფორმაში („უკოვზოთ“) ო სიტყვაწარმოებითი სუფიქ-
სის აოსებობას ფონეტიკურ ნიადაგზე ხსნის: *ო-ს* ადგილზე მის გა-
ჩენას *უ-ს* გავლენას ნიაწერს და ასიმილაციის შედეგად მიიჩნევს.

ცვალებადი (ჩვენი ტერმინოლოგიით — მიმართულებითი)
ბრუნვის ძირითად ფუნქციად კ. დოდაშვილსაც ადგილის ჩვენება
მიიჩნია. ეს ბრუნვა მიუყვებს კითხვაზე — სად? „ფრინველად“ ფორ-
მაშიც ავტორი ადგილის გამოხატვაა ხედავს. ამიტომ, ავტორის
აზრით, ტერმინი „ცვალებადი“ არ შეეფერება ამ ბრუნვას, ვინაი-
დან იგი არავითარ ცვლილებას და გარდაქმნას არ გამოხატავს.
ამ ბრუნვის აღსანიშნავად ავტორი „ადგილობითს“ ამჯობინებს.
მიმართულებითი ბრუნვის ფორმაზე მსჯელობისას კ. დოდაშვილი
ისეთსავე მეთოდს მიმართავს, როგორსაც მ. ნასიძე. მას მოჰყავს
წინადადებაში ეს ფორმა, მისი შინაარსის ახსნას ცდილობს და
ამის მიხედვით არკვევს ამ ბრუნვის რაობას.

ხმობითი (ჩვენი ტერმინოლოგიით — წოდებითი) ბრუნვა ბო-
ლოვდება -ო-ზე. ავტორი აღნიშნავს, რომ ხმოვნებს საზოგადოდ

⁷² კ. დოდაშვილი, ახალი გზა-კვალი ქართული გრამატიკის კვლევა-
ძიებისა, „მომამბე“, 1894, № 4, გვ. 116.

დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულში ადგილის, დროის, რაოდენობისა და ვითარების გამოსახატავად. საილუსტრაციოდ მოჰყავს შემდეგი მაგალითები:

ამდენი, ემდენი, იმდენი
ასრე, ესრე, ისრე
ამოდენა, ენოდენა, იმოდენა
აგრე, ეგრე, იგრე

როგორც ჩანს, ავტორს შეუნიშნავი არ დარჩენია ეს ფორმები, რომლებიც ხმოვნებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს ხმოვნები, როგორც ამჟამად ცნობილია, სხვადასხვა პირთან სიახლოვეს გამოხატავენ ნაცვალსახელებში (იგი, ეგე; ისი, ესე) ⁷⁴.

კ. დოდაშვილს ქართული ენის თავისებურებად ელემენტთა „აგგლომერაცია“ მიაჩნია და მოითხოვს, რომ ქართული გრამატიკა შეიცავდეს ელემენტების სწავლებას, გვიჩვენებდეს, თუ რა ელემენტს რა ადგილი უჭირავს ელემენტთა „ასხმა-აკინძვაში“. ამ პრინციპით ხელმძღვანელობს იგი ბრუნვათა საკითხის განხილვისას და ბრუნვის ნიშნებსაც ამის საფუძველზე გამოყოფს. მაგალითად, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად ამის მიხედვით -სი მიიჩნია, ამავე ელემენტად თვისი კ. დოდაშვილი სი- თავსართსაც სიტყვაში სი-მამრი. მიცემითი ბრუნვის ნიშნად გამოყოფს -ხა-ს (კაც-ხა). ამავე ელემენტად მიიჩნევს ხა- სიტყვაწარმოებით პრეფიქსსაც (ხა-კაცე).

კ. დოდაშვილი ამ შემთხვევაში ბრუნვის ნიშანთა და სიტყვაწარმოებითი თავსართების მატერიალურ ერთგვარობაზე დამყარებით მსჯელობს და ღათ ერთნაირ წარმომავლობას უნდა გულისხმობდეს. მართალია, იგი ვერ სწვდება ენობრივ მოვლენათა სიღრმეს, მაგრამ საკითხის დასმა ბრუნვის ნიშანთა და სიტყვაწარმოებითი პრეფიქსების ერთნაირი წარმომავლობის შესახებ საყურადღებო ფაქტია. ჩვენში გრამატიკული საკითხების კვლევა-ძიების იმდროინდელი დონის მიხედვით არც შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო ბრუნვის ნიშანთა გენეზისის საკითხი. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ ქართული ენის შესწავლის თანამედროვე საფუძველზე, ქართველურ და მთის კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლის შედეგად, რაც მყარი მეცნიერული თეორიით არის გამაგრებული. დღეს ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ქართულში ბრუნვის თანხმოვნითი ელემენტები

⁷⁴ ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა. ნ და ხ ფენებისათვის ქართველურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 1—2, 1941, გვ. 194.

კლას-კატეგორიის ნიშნისგან წარმოდგება. ასეთივე წარმოშობისაა სახელთა საწარმოებელი თავსართების თანხმოვნებიც⁷⁵.

კ. დოდაშვილი ცდილობს გაარკვიოს ქართული ენის თავისებურებები და ამის საფუძველზე გააშუქოს სახელთა ბრუნების საკითხები, მაგრამ ამას ვერ ახერხებს და მძიმე შეცდომებს უშვებს: ქართულისათვის დამახასიათებელი, სპეციფიკური ბრუნვა, მოთხრობითი არ შეაქვს ბრუნვათა რიგში, სამაგიეროდ ქართულში არარსებულ შემასმენლობით ბრუნვას უყოყმანოდ ათავსებს სხვა ბრუნვათა შორის.

კ. დოდაშვილი ბრუნვათა შესახებ მცდარი დებულებების გვერდით საღსა და გონებამახვილურ შეხედულებებსაც გამოთქვამს. მან სავესებით მართებულად განსახლვრა სახელობითი ბრუნვის ნიშანი ქართულში და მისი დაკარგვა ხმოვანფუძიან სახელებთან ფონეტიკურ ნიადაგზე ახსნა. პრინციპულად მართებულია კ. დოდაშვილის ვარაუდი იმის შესახებ, რომ სახელობითი ბრუნვის ნიშანი ნაცვალსახელური გლემენტისგან მოდის. ასევე სწორია კ. დოდაშვილის მიერ ქართულში ერთი ბრუნების აღიარება. საგულისხმოა ბრუნვის ნიშანთა და ზოგიერთი სიტყვაწარმოებითი თავსართის ერთნაირი წარმომავლობის საკითხის დასნაც.

მიუხედავად საყურადღებო დაკვირვებებისა კ. დოდაშვილი შაინც ვერ ახერხებს ამ ფაქტების ზუსტ ანალიზს და ვერ იძლევა ბოლომდე სწორ ახსნას. თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელებში სახელობითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა არის ნავარაუდები. არ არის გათვალისწინებული ფონეტიკური პროცესების შედეგად განსხვავებული სახელთა ბრუნების ტიპები. ზოგიერთი ბრუნვის ნიშანი არ არის ზუსტად დადგენილი. ამ საკითხების გადაწყვეტა ძველი ქართული ენის მონაცენების გარეშე, ქართული ენის ისტორიული განვითარების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იყო.

ქართული ბრუნების საკითხები მეგრულთან შეპირისპირებით განხილულია პ. ქარაიას საყურადღებო გამოკვლევაში „მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან“⁷⁶, რომელიც დაწერილია პროფ. ა. ცაგარლის შრომის „მეგრული ეტიუდების“ („Мингрельские этюды“, С.-Ит., 1880) გამო, ავსებს მას

⁷⁵ არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლას-კატეგორია და ბრუნვის ნიშანთა გენეზისის საკითხი ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, VII, № 2, 1946.

⁷⁶ „მოამბე“, 1895, №№ 10, 12; 1896, №№ 1, 2.

და ბევრ შემთხვევაში შესწორებებიც შეაქვს მასში. გამოკვლევაში შედარებულია ქართულისა და მეგრულის ფონეტიკური სისტემები, ლექსიკა, სახელთა ბრუნება, ზმნის უღვლილება და სხვ.

ავტორი აღნიშნავს, რომ არსებით სახელს მეგრულში; ისევე როგორც ქართულში, არ აქვს ნათესავი (ჩვენი ტერმინოლოგიით—სქესი). გრამატიკული სქესი ქართულში რომ არ არის, იმ დროისათვის უკვე გარკვეული იყო და ეს საკითხი დავას არ იწვევდა.

წერილში მოცემულია ქართულსა და მეგრულში სახელთა ბრუნების შედარებითი განხილვა. ავტორი ქართულში შვიდ ბრუნვას ასახელებს (სახელობითს, ნათესაობითს, მიცემითს, მოთხრობითს, მოქმედებითს, წოდებითს, გარდაქცევითს), აღნიშნავს, რომ ამ ბრუნვათაგან მეგრულს არა აქვს წოდებითი. ავტორი ასახელებს ბრუნვის ნიშნებს მეგრულში და მათ ქართულ შესატყვისებს:

	მეგრული	ქართული
ნათესაობითი	ში	სი
მიცემითი	ს	ს
მოთხრობითი	ქ	მან
მოქმედებითი	თ	თ
წოდებითი	არ აქვს მეგრულს	
გარდაქცევითი	ოთ (ო)	ად (ათ)

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მეგრულს, ქართულთან შედარებით, მეტი აქვს სამი ბრუნვა⁷⁷. პ. ჯარაიას შეუნიშნავი არ დარჩენია მეგრულისათვის დამახასიათებელი მინარტულებითი (ქალაქიშა) და დანიშნულებითი (კოჩიშოთ) ბრუნვების ფორმები, მაგრამ ისინი თანდებულთან ბრუნვებად გამოაცხადა.

ქართულის სახელობითი ბრუნვის ნიშნის შესახებ არაფერი აქვს ნათქვანი პ. ჯარაიას, მეგრულის შესახებ კი წერს: „სახელ-არსებითს მხოლოდობითს რიცხვში სახელობითის ბრუნვის საკვეცად აქვს ერთ-ერთი ხმოვანი ასო. ნიშანი მრავლობითის რიცხვისა არის სუფიქსი ეფ-ი, რომელიც მოებმის სიტყვის „ტემას“⁷⁸-ო.

⁷⁷ И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-Пб., 1914; არნ. ჩი ქო ბ ა ვ ა, ჯანურის გრამატიკული ანალიზი, ტფილისი, 1936; ვ თ ო ფ უ რ ი ა, ზოგადი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ქანურში, ენიმკის მოამბე, I, 1937, გვ. 179.

⁷⁸ პ. ჯარაია, მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან, „მოამბე“, 1896, № 1, გვ. 38.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად ქართულში მიჩნეულია -სი და ეს ნიშანი, ავტორის აზრით, არის ნათესაობითი ბრუნვის პირვანდელი სუფიქსი. „კაცის“ ფორმა, პ. ჰარაიას ვარაუდით, მიღებული უნდა იყოს „კაცისი“ ფორმის წემოკლებით. „მეგრულ-ლაზური დაბოლოება... „ში“ სომ უფრო. ცხადჰყოფს ამ გარემოებას“⁷⁹, — წერს ავტორი.

ქართულში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად „სი“-ს მიჩნევისას ავტორისათვის ამოსავალია მეგრულ-ქანურის ჩვენება. მეორე მხრით, ავტორი ცდილობს ძველი ქართულის მიხედვით დაასაბუთოს ეს მოსაზრება და იმოწმებს მაგალითს: „ვანი სვიმონისი“. ამ ფორმაში სახელობითი ბრუნვის ნიშანი ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ნაწილადაა გაგებული (აქ ნათესაობითარი მსაზღვრელი შეთანხმებულია საზღვრულთან სახელობით ბრუნვაში).

მიცემითი ბრუნვის ნიშნად გამოყოფილია -ხ. მოთხრობითის ნიშანი ძველი, სრული, სახითაა წარმოდგენილი (მან). გარდაქცევითი, ე. ი. მიმართულებითი, ბრუნვის ნიშნად გამოყოფილია ად (პარალელურად ათ დაბოლოებაც არის აღნიშნული).

სახელთა ბრუნების საკითხთან დაკავშირებით ანგარიშგასაწევი იმდროინდელ ქართულ პრესაში გაბნეული ზოგიერთი შენიშვნა.

საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის შესახებ მ. ჯანაშვილმა ვანის ლურსმულ წარწერებთან დაკავშირებით. მ. ჯანაშვილი ის ფორმანტს არ თვლიდა ნათესაობითი ბრუნვის ერთადერთ ნიშნად. ამ ბრუნვის ერთ-ერთ უძველეს სახედ იმ ბოლოსართიან წარმოებას მიიჩნევდა და სევანურის მონაცემებით ასაბუთებდა ამ მოსაზრებას. „ქალდინ“ ტერმინის გარჩევისას მან აღნიშნა, რომ იგი „ძველებური ნათესაობით ბრუნვის ერთი სახეა (ჩემთვინ=ჩემთვის) და დღესაც იხმარება სევანურში (დავ-ნ მაყლუნი=დევის მეშინის)“⁸⁰.

ეს მოსაზრება თავისთავად ნეტად საგულისხმოა. ვარაუდო ნათესაობითი ბრუნვის ოდინდელი იმ ფორმანტის შესახებ დღესაც შესაძლებლადაა მიჩნეული ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურ-

⁷⁹ პ. ჰარაია, მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან, „მთაბე“, 1896, № 1, გვ. 39.

⁸⁰ მ. ჯ. [მ. ჯანაშვილი], ზოგი რამ ვანის ლურსმული წარწერების შესახებ, „ივერია“, 1902, № 158, გვ. 4.

რაში⁸¹ და გამაგრებულია სარწმუნო მასალებითა და თეორიული მოსაზრებებით.

ზოგიერთი ბრუნვის ფორმებისა და ფუნქციების შესახებ შენიშვნები გვხვდება ა. ხახანაშვილის ერთ-ერთ წერილში⁸². ავტორი ძველი ქართული ენის გრამატიკულ ფორმებს უდარებს მის ახალ შესატყვისებს და ამ შედარების საფუძველზე აღნიშნავს იმ გრამატიკულ ცვლილებებს, რომლებიც ქართულმა ენამ განიცადა.

ა. ხახანაშვილს შენიშნული აქვს, რომ ის ფუნქციები, რომლებსაც დღევანდელ ქართულში თანდებულებიანი ბრუნვები ასრულებს, ძველ ქართულში უთანდებულო ბრუნვებს ჰქონდა დაკისრებული: ძველ ქართულში უთანდებულო მოქმედებითი -გან თანდებულებიანი მოქმედებითის ფუნქციას ასრულებდა, მიცემითი და მიმართულებითი კი — -ში თანდებულებიანი მიცემითისას და აღვიღს აღნიშნავდაო. „კითხვაზედ საიდგან? სახარება მოგიგებთ აღმოსავლეთით. პირდაპირ უთანდებულოდ მოქმედებითი ბრუნვა. ახლა ვიტყვით აღმოსავლეთიდგან. კითხვაზედ — სად? სახარებაში ვკითხულობთ ბეთლემს (dativus loci), ახლა ვიტყვით ბეთლემში. კითხვაზე — სად? სახარება ხმარობს მოქმედებითს მეორე ბრუნვას (ზიმართულებითს — ნ. ა.) იერუსალიმად. ახლა-კი ცნობილია იგივე მიცემითი ბრუნვა თანდებულებით ში: იერუსალიმ(ს)ში“⁸³. მაშასადამე, ავტორის შეხედულებით, შეიცვალა ძველი ქართულის ბრუნვათა ფუნქციები, მასთან დაკავშირებით შეიცვალა სახელთა ფორმებიც.

ბრუნვებთან დაკავშირებით გვერდს ვერ ავუვლით ერთ პატარა რეცენზიას, რომელიც დ. ჩუბინაშვილის გრამატიკას ეხება. რეცენზენტი ბრალად სდებს გრამატიკის ავტორს, რომ მას „თავისის ღრამმატიკით მოუსპია მოთხრობითი ბრუნვა, რომელიცა გაუკეთებია მოქმედებითად“⁸⁴.

⁸¹ იხ. Н. Марр, Где сохранилось сванское склонение? Известия Императорской Академии Наук, С.-Пб., 1911; Н. Марр, Грамматика древне-литературного грузинского языка, Ленинград, 1925, გვ. 138.

⁸² ა. ხ — [ა. ხახანაშვილი], შენიშვნები ძველის ქართულის შესახებ, „ივერია“, 1893, № 275.

⁸³ იქვე, გვ. 3.

⁸⁴ ღრამმატიკა უფ. ჩუბინოვისა, დაბეჭდილი ს. პეტერბურღში, „ცისკარი“, 1857, № 5, გვ. 42.

დ. ჩუბინაშვილმა ამ რეცენზიაზე დაწერა პასუხი⁸⁵, რომელიც გაზეთ «Кавказ»-ში დაიბეჭდა. გრამატიკის ავტორი უარყოფს რეცენზენტის ბრალდებას. იგი აღნიშნავს, რომ მას არ გამოურიცხავს მოთხრობითი, მით უმეტეს, არ აურევია მოთხრობითი და მოქმედებითი ბრუნვები ერთმანეთში. გრამატიკაში ორივე ბრუნვა თავ-თავის ადგილას არის მობსენებულიო. ავტორი კითხულობს: «...на каком основании автор рецензии причисляет такую цельность мифа грамматике? значит внимательно он ее не читал»⁸⁵.

მაგრამ რეცენზენტის ზემოდასახელებული შენიშვნა უსაფუძვლო არ ყოფილა. დ. ჩუბინაშვილს ერთ დროს მართლაც არ შეჰქონდა მოთხრობითი ბრუნვა ბრუნვათა რიგში. ამის გამო ცხარე კამათიცი გაიპართა გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში⁸⁷. კერძოდ, დ. ყიფიანმა დაწერა კრიტიკული შენიშვნები დ. ჩუბინაშვილის ქართული გრამატიკის შესახებ⁸⁸. დ. ყიფიანი იცავდა მოთხრობით ბრუნვას, ასაბუთებდა მის აუცილებლობასა და საჭიროებას ქართულში. იგი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ დ. ჩუბინაშვილს მოთხრობითი ბრუნვა შეეტანა თავის ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოში. დ. ჩუბინაშვილი შემდეგ იძულებული გახდა შეეტანა მოთხრობითი ბრუნვა ქართულ გრამატიკაში, მაგრამ მათ შენიშვნა გაუკეთა. დ. ჩუბინაშვილის პასუხი იმითაა საყურადღებო, რომ, როგორც ჩანს, იმ დროისათვის იგი უკვე დადებითად წყვეტდა მოთხრობითი ბრუნვის საკითხს და ამიტომ იყო, რომ რეცენზენტის შენიშვნა უცნაურობად მიიჩნია.

• XIX ს. ქართველ ჰეგლევართა შორის მოთხრობითი ბრუნვის ბრუნვობაში ეჭვი არავის არ შეუტანია (თუ მხედველობაში არ მივიღებთ კ. დოდაშვილს), მაგრამ ამ ბრუნვით სპეციფიკურობის შესახებაც სიტყვა არავის უთქვამს.

ასე ისმებოდა და წყდებოდა სახელთა ბრუნვების საკითხები ქართულ პრესაში.

⁸⁵ Ответ на отзыв грузинской грамматики проф. Чубинова... «Кавказ», 1857, № 48.

⁸⁶ იქვე, გვ. 240.

⁸⁷ ნ. ცკიტიშვილი. კამათი მოთხრობითი ბრუნვის რაობისათვის XIX საუკუნის ორმოცდამეათე წლებში, სახელის ბრუნვების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბილისი, 1956.

⁸⁸ გამოქვეყნებულია აღ. ცაგარლის შრომაში: Сведения о памятниках грузинской письменности. т. I, вып. III, С.-П., 1894, გვ. 82—84.

განხილულ ავტორთა წერილებში ბრუნვები ასეა წარმოდგენილი:

მ. ნასიძე	ი. გოგებაშვილი	კ. დოდაშვილი	პ. ქარაია
სახელობითი	სახელობითი	სახელობითი	სახელობითი
ნათესაობითი	ნათესაობითი	ნათესაობითი	ნათესაობითი
მიცემითი	მიცემითი	მიცემითი	მიცემითი
მოთხრობითი	მოთხრობითი	შემასმენლობითი	მოთხრობითი
წოდებითი	მოკმედებითი	მოკმედებითი	მოკმედებითი
	ცკლილებითი	ხმობითი	წოდებითი
	წოდებითი	ადგილობითი	გარდაქცევითი

მ. ნასიძე ხუთ ძირითად ბრუნვას გამოყოფს ქართულში. ამ ბრუნვათა შესახებ ორი აზრი დღეს არ არსებობს⁴⁹, მაგრამ ბრუნვათა რიგში არ შეაქვს მოკმედებითი და მიმართულებითი. დანარჩენი ავტორები შვიდ ბრუნვას გამოყოფენ. ბრუნვათა შედგენილობა მართებულად არის წარმოდგენილი ი. გოგებაშვილისა და პ. ქარაიას წერილებში.)

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ბრუნვათა რაოდენობის საკითხი მ. ნასიძესა და ი. გოგებაშვილს შორის კამათის საგანი გახდა. ამ პოლემიკაში ი. გოგებაშვილს საესებით სწორი პოზიცია ექირა და ბრუნვათა საკითხი სწორად გადაქრა. ი. გოგებაშვილის მიერ წარმოდგენილი სურათი ქართული ენის ბრუნვების სისტემისა საესებით სწორად ასახავს საქმის ფაქტობრივ მდგომარეობას.

გაკვირვებას იწვევს ამავე საკითხის გადაწყვეტა კ. დოდაშვილის მიერ. ქართულისათვის სპეციფიკური მოთხრობითი ბრუნვა მან შეგნებულად არ შეიტანა ბრუნვათა რიგში. კიდევ მეტი, ბრუნვად გამოაცხადა ქართულში არარსებული შემასმენლობითი.

მოთხრობითი ბრუნვა ანტონის გრამატიკიდან მოყოლებული ყველა ქართულ გრამატიკაში არის შეტანილი. ქართველ მკვლევართა შორის მის ბრუნვობაში მხოლოდ დ. ჩუბინაშვილმა შეიტანა ექვი იმ მოტივით, რომ მოთხრობითი მან ნაცვალსახელით არის გაფორმებული და იმავე კითხვაზე უპასუხებს, რომელზეც სახელობითი. ოთხი ათეული წლის შემდეგ იგივე გაიმეორა კ. დოდაშვილმა: ექვი შეიტანა მოთხრობითის ბრუნვობაში და იმავე მოტივით გამორიცხა იგი ბრუნვათა რიგიდან. კ. დოდაშვილი

⁴⁹ სადავოა მხოლოდ წოდებითი. დაწვრილებით იხ. ვ. თოფური ა, წოდებითი ბრუნვისათვის, „კომუნისტური აღზრდისათვის“, № 1, 1935; ა. შანიძე, წოდებითი ფორმის ადგილისათვის გრამატიკაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 5, 1942.

მოთხრობითი ბრუნვის ფორმის საკიროებას ცნობს ქართულში, ოღონდ ბრუნვად არ მიაჩნია იგი.

შემასმენლობითი (ბრალდებითი) ბრუნვის ბედი იმ დროისათვის უკვე გადაწყვეტილია. პლ. იოსელიანისგან მოყოლებული იგი არც ერთ გრამატიკაში არ არის შეტანილი. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ თ. ჟორდანიას გრამატიკა⁹⁰, რომელშიც „შემასმენლობითი“ კვლავ ბრუნვათა რიგში მოექცა. შემასმენლობითი გამორიცხულია ბრუნვათა შემადგენლობიდან ყველა ავტორის მიერ, მაგრამ მისი გამორიცხვა ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში სათანადოდ დასაბუთებული არ ყოფილა, არ ყოფილა გათვალისწინებული ქართული ენის თავისებურებები, რომლებიც შეუძლებელს ხდის შემასმენლობითის არსებობას ქართულში.

სახელობითი ბრუნვის ნიშანს არ განოყოფდა მ. ნასიძე. ი. გოგებაშვილი სახელის ფუძის ბოლოკიდურ ყველა ხმოვანს სახელობითი ბრუნვის ნიშნად თვლის. იმდროინდელ ქართულ გრამატიკებშიც სახელობითი ბრუნვის ნიშნის საკითხი გარკვეული არ იყო: ი ბრუნვის ნიშანი ან ფუძის დაშბოლოებულ ხმოვნად არის გაგებული (სხვა ხმოვნებთან ერთად), ან მასთან ერთად სხვა ხმოვნებიც ბრუნვის დაბოლოებადაა მიჩნეული. ეს იმის განა ხდებოდა, რომ სახელის ფუძე არ იყო სწორად გაგებული. ამასთან დაკავშირებით სახელთა ცვლილებები ბრუნვათა მიხედვით უმართებულოდაა ახსნილი.

სახელობითის საკითხი ვაარკვია კ. დოდაშვილმა, რომელმაც დაადგინა, რომ აზ ბრუნვის ნიშანია ი და მისი დაკარგვა ხმოვანფუძიან სახელებში ფონეტიკურ ნიადაგზე ახსნა. მანვე გამოთქვა ვარაუდი, რომ სახელობითის ნიშანი ჩვენებითი ნაცვალსახელის ხმოვნითი ელემენტისაგან წარმოდგება.

სხვა ბრუნვის ნიშნები ზემოგანხილულ წერილებში უმთავრესად ა ხმოვანდართული (ემფატიკურ-ხმოვნიანი) ვარიანტით გვახდებდა. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად პ. ქარაია და კ. დოდაშვილი -სი დაბოლოებას მიიჩნევენ. პ. ქარაია მეგრულის მიხედვით გამოყოფდა და ნათესაობითის პირვანდელ ნიშნად მიიჩნევდა ამ დაბოლოებას.

ქართული ენის ბრუნვათა თავისებურებები კვლევის იმდროინდელ დონეზე ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ გამოკვლეული. ყურადღებას არ ამახვილებდნენ ქართული ენის აგებულების იმ თავისებურებაზე, რომ მისთვის დამახასიათებელია სპეციფიკური ბრუნვა, მოთხრობითი, ხოლო ბრალდებითის (შემასმენლობითის) არსებობა შეუძლებელია.

⁹⁰ თ. ჟორდანი, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1889.

ბრუნვათა სახელწოდებები პრესაში დაბეჭდილ წერილებში ძირითადად იგივეა, რაც იმთავითვე დამკვიდრდა გრამატიკულ ლიტერატურაში და როგორც დღესაც არის მიღებული; გამო-
ნაკლისს მიმართულებითი და წოდებითი შეადგენს. წოდებითის მაგივრად კ. დოდაშვილი „ხმობითს“ ხმარობს. მიმართულებითის აღსანიშნავად სხვადასხვა ავტორი სხვადასხვა ტერმინს მიმართავს: ი. გოგებაშვილი—„ცვლილებითს“, კ. დოდაშვილი—„ადგილობითს“, პ. ჭარაია—„გარდაქცევითს“. მიმართულებითი ბრუნვა გვიან იქნა შეტანილი ბრუნვათა რიგში. ქართველ გრამატიკოსთაგან მას პირველად დ. ჩუბინაშვილმა დაუთმო ადგილი თავის გრამატიკაში (მ. ბროსეს მიხედვით)⁹¹ და „გარდაქმნითი“ უწოდა. მას შემდეგ მიმართულებითი ყველა გრამატიკაშია მოხსენებული⁹², მაგრამ განსხვავებული ტერმინებია ნახმარი მის აღსანიშნავად იმისდა მიხედვით, თუ ამ ბრუნვის მნიშვნელობებისა და ფუნქციებისაგან რომელს მიიჩნევდნენ გრამატიკის ავტორები ამოსავლად. ჩვენი ავტორებიც ამ პრინციპით ხელმძღვანელობდნენ ტერმინის შერჩევისას.

▲ ამგვარად:

1. გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ქართულ პრესაში სახელთა ბრუნების საკითხი ბრუნვათა რაოდენობისა და შემაღ-
გენლობის საბოლოოდ დადგენის საკიროებითაა აღძრული, ე. ი. პრაქტიკული საკიროებით არის გამოწვეული, მაგრამ ამ საკითხის აღფრას ნაწილობრივ მეცნიერულ-კვლევითი ინტერესებიც ჰქონდა საფუძვლად.

2. სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები ძირითადად გადაჭრილია. სწორადაა დადგენილი, რომ ბრუნება ერთია ქართულში.

ბრუნვათა რაოდენობის საკითხი მართებულად გადაწყვიტა ი. გოგებაშვილმა, ხოლო კ. დოდაშვილმა განსაზღვრა სახელობითი ბრუნვის ნიშანი და გამოთქვა ვარაუდი მისი გენეზისის შესახებ.

3. სახელთა ბრუნების ზოგი საკითხი არ იყო სათანადოდ გაშუქებული პრესაში: არ იყო გათვალისწინებული სახელთა ბრუნების ტიპები, რომლებიც ფონეტიკურ ცვლილებათა საფუძველზე წარმოშობილი.

4. ბრუნვათა თანამიმდევრობა, რომლებიც წერილებშია წარმოდგენილი, ტრადიციულ რიგს მისდევს, არ შეეფერება ქართულ ბრუნვათა ბუნებას და მეთოდოლოგიურად გამართლებული არაა.

⁹¹ არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის, ენიშკის ნომბე, I, 1937.

⁹² ამ მხრივ გამონაკლისია დ. ყიფიანის გრამატიკა.

III. თანდებულების საკითხი

თანდებულები ქართულ პრესაში სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა.

მ. ნასიძე თანდებულებს სახელთა ბრუნების საკითხთან დაკავშირებით ეხება³². ზემოთ აღნიშნული იყო, რომ მ. ნასიძე მოქმედებით ბრუნვას თანდებულიან ბრუნვად მიიჩნევდა. ეს ბრუნვა „თურთ“ თანდებულიან სახელობითად და -თანა თანდებულიან ნათესაობითად იყო გაგებული. მოქმედებითი ბრუნვის -თ თანხმოვნითი ელემენტი „თურთ“ თანდებულის ნაწილად ცხადდებოდა. აპრივად, მ. ნასიძე თანდებულიანი მოქმედებითის არასწორი ანალიზის შედეგად, -ურთ თანდებულის ნაცვლად თანდებულად „თურთ“-ს მიიჩნევდა. ეს შეცდომა ქართულ გრამატიკებშიც გვხვდება³³.

მ. ნასიძე თანდებულიან მიცემითსაც განიხილავს. მისი აზრით, -ში და -ზე თანდებულიანი მიცემითი თანდებულიანი ბრუნვა კი არ არის, არამედ ზმნიზედაა. ავტორის აზრით, ეს ფორმები მხოლოდ წარმოშობითაა თანდებულიანი ბრუნვები. უწინ თანდებული ცალკე იდგა და ბრუნვის ნიშანიც წარმოდგენილი იყო (მაგ., სახლსა შინა, ხესა ზედა), მაგრამ, როცა თანდებული სახელს დაერთო და ბრუნვის ნიშანი დაიკარგა, მთელი ფორმა ზმნიზედად იქცაო, წერს ავტორი (მაგ., „სახლში“ ფორმაში სახლ არ მიუთითებს ბრუნვაზე, ამიტომ „სახლში“ თანდებულიან ბრუნვად ვერ ჩაითვლება, იგი ზმნიზედააო). მ. ნასიძე პარალელს ავლებს რუ-

³² მ. ნასიძე, ორი საკრამატიკო საგანი, „ივერია“, 1886, № 17.

³³ ანტონის, ხ. შანშოვანისა და გ. ფირალოვის გრამატიკებში მართებულად არის გამოყოფილი ურთ თანდებული. მაგრამ „თურთ“ თანდებული მოხსენებულია ს. დოდაშვილის, პ. იოსელიანისა და დ. ყიფიანის გრამატიკებში, აგრეთვე მონთობანში გამოცემულ ქართულ გრამატიკაში. დ. ჩუბინაშვილი მოიხსენიებს როგორც ურთ-ს, ისე თურთ თანდებულს.

სულთან: რუსულში «ДОМОИ» მიცემითი ბრუნვის ფორმაა წარმოშობით და ზმნიზედის გაგება შემდეგში მიიღო. ანალოგიურადაა ახსნილი „სახლში“ ფორმაც.

ავტორი უსაყვედურებს გრამატიკოსებს, რომ „სახლში“ ფორმას ისტორიული თვალსაზრისით უცქერიან და თანდებულის ბრუნვად მიიჩნევენ. მ. ნასიძის მიხედვით, „სახლის უკან“ თანდებულის ბრუნვაა, ვინაიდან ბრუნვის ნიშანი გარკვევით ჩანს, მაგრამ, თუ მომავალში თანდებული შეერწყმის სახელს და ბრუნვის ნიშანი დაიკარგება, მაშინ ფორმა ზმნიზედის მნიშვნელობას შეიძენს. „ნამდვილ ბრუნვად“ თვლის მ. ნასიძე „ძმასთან“ ფორმასაც იმ საბუთით, რომ ბრუნვის ნიშანი წარმოდგენილია. ავტორის აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბრუნვის ნიშანს თანდებულის ფორმაში: თუ ბრუნვის ნიშანი ჩანს—სახელთან გვაქვს საქმე, თუ არა—ზმნიზედასთან.

ამრიგად, მ. ნასიძე ვერ გაერკვა თანდებულების საკითხში. -ურთ თანდებულის ნაცვლად „-თურთ“ გამოყო. მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის -თ თანდებულის ნაწილად მიიჩნია და თანდებულის ბრუნვები (-ში და -ზე თანდებულის მიცემითი) ზმნიზედად გამოაცხადა.

ი. გოგებაშვილმა დაარღვია მ. ნასიძის უმართებულო დასკვნები. სარწმუნო მსჯელობით მან დაამტკიცა, რომ თანდებულია -ურთ და არა -თურთ, რომ -ზე და -ში თანდებულდართული ფორმები თანდებულის ბრუნვებია და არა ზმნიზედები. ამასთან დაკავშირებით ი. გოგებაშვილმა გამოთქვა თავისი შეხედულებები თანდებულების შესახებ. ეს შეხედულებები მოკლედ ასეთია: 1. თანდებულის სახელი მეორე თანდებულს არ დაირთავს (მოქმედებითის ფორმა რომ თანდებულის ბრუნვა იყოს, იგი არ დაირთავდა -გან თანდებულს. მაგ., პირველი თგან). 2. შემოკლებული თანდებულის ნაცვლად სრული თანდებულის ხმარება სიტყვის მნიშვნელობას არ ცვლის (მაგ., სახლში და სახლსა შინა ერთსა და იმავე აზრს გამოხატავს. -თ რომ შემოკლებული თურთ თანდებული იყოს, მაშინ ერთნაირი მნიშვნელობა ექნებოდა „მოწაფითურთ“ და „სანთლებით“ ფორმებს. სინამდვილეში აღნიშნული თანდებული ნიშნავს „თანაარსებას სულიერთა“, ნეორე მაგალითი კი „ნოვლენას ხატავს მარტივის მოქმედებითის ბრუნვით, რომელიც აღნიშნავს თან ქონვას უსულო საგნისასა“²⁸).

²⁸ ი. გოგებაშვილი. დაბრევებული ბრუნვები, „ივერია“, 1886, № 50, გვ 2.

3. თანდებულს არ დაირთავს ზედსართავი, თუ იგი სახელს სა-
ზღვრავს. 4. თანდებული ხშირ შემთხვევაში კვეცს სახელის და-
ბოლოებას (მაგ., ხესში→ხეში). 5. თანდებული ერთი ასოს სახით
არასოდეს არ არის წარმოდგენილი საბელთან. თუ ორმარცვლიანი
თანდებული მოკლდება, პირველი მარცვლი უთუოდ დაცულია
სახელში.

ამგვარი არგუმენტები ი. გოგებაშვილმა წამოაყენა იმის და-
სადასტურებლად, რომ მოქმედებითი არ წარმოადგენს თანდებუ-
ლიან ბრუნვას. აქვე შენიშნავს, რომ „თურთ“ (resp. -ურთ) თან-
დებული „ახალ ქართულში ენას ეჩოთირება“ და მის ნაცვლად
ახალი ფორმა გამოსჩენია ენას, „იგი მოვიდა დედოიანად (ნაც-
ვლად „დედითურთ“)“. როგორც ჩანს, ავტორი მართებულად
შენიშნავს, რომ -ურთ თანდებული ნაკლებ პროდუქტიულია
ახალ ქართულში და მის მაგივრობას -იან სუფიქსიანი ფორმა
ეწევა.

მ. ნასიძის მიხედვით, მოქმედებითი ფორმა -თანა თანდებუ-
ლიანი ნათესაობითისაგანაც წარმოდგება. ი. გოგებაშვილს სრუ-
ლიად ზედმეტად მიაჩნია ან აზრის უსაფუძვლობის მტკიცება,
აღნიშნავს მხოლოდ, რომ სხვა ბრუნვები თანდებულის დართვისას
ხშირად იკვეცენ დაბოლოებას, ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი კი
თანდებულებთან ყოველთვის სრულად არის წარმოდგენილი. ამის
დასადასტურებლად ჩამოთვლილია თანდებულიანი ნათესაობითის
შავალითები: სიყვარულისაგან, კაცისებრ, უფლისათვის, ეპისკო-
პოზის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ი. გოგებაშვილმაც
„თურთ“ ჩათვალა თანდებულად, მაგრამ ეს არ უშლიდა მას, რომ
მოქმედებითი ბრუნვის ნიშნად -ით გამოეცხადებინა. „კაცითურთ“
ფორმა, ავტორის მიხედვით, მიღებულია „კაცითურთ“ ფორმისა-
გან, სადაც ბრუნვის ნიშნისეული თ ორი ერთნაირი ე.ანამოვნის
შეხვედრისას „კეთილხმოვანების“ გამო დაიკარგა.

შემთხვევითი არ არის, რომ ი. გოგებაშვილსაც თანდებულად
„თურთ“ მიაჩნდა. ეს შეცდომა არასწორი ანალიზის შედეგად სხვა
ავტორებსაც მოუვიდათ: დ. ყიფიანის, პლ. იოსელიანისა და
დ. ჩუბინაშვილის გრამატიკებშიც თანდებულად „თურთ“ არის
გამოყოფილი. -ურთ თანდებულის ამგვარი გაგება ძველ ძეგლებ-
შიც დასტურდება, ლიტერატურაში დამოწმებულია სოფლებით-
თურთ, ყოვლით-თურთ, ერთთ-თურთ, ძალით-თურთ
ფორმები. სპეციალურ ლიტერატურაში ეკვია გამოთქმული იმის

შესახებ, რომ ქართველი გრამატიკოსების უმართებულო დასკვნის წყარო ძველ ძეგლებში დადასტურებული ზემოაღნიშნული ფორმები იყოს. იგი არასწორი ანალიზის შედეგია⁹⁶.

ი. გოგებაშვილმა გაიმეორა ქართულ გრამატიკებში დაშვებული შეცდომა - ურთ თანდებულის შესახებ, მაგრამ ბოლოს მაინც სწორ დასკვნამდე მივიდა. ავტორი იმოწმებს მაგალითებს „ურთიერთი, ურთიერთობა“, სადაც თანდებული - ურთ შეხორცებულია სიტყვებში, და აღნიშნავს: „ყოველი თანდებული სიტყვასთან თავიდან შეერთების დროს იცავს თავის სრულს სახესა და არც ერთს ასოსაც არ ჰკარგავს“⁹⁷. მაგალითებად დასახელებულია: ზედადგარი, თანაზიარი, ზეციერი, შინაური და სხვ. აღნიშნულ სიტყვებში (ურთიერთი, ურთიერთობა) თ-ს დაკარგვის შესაძლებლობას ი. გოგებაშვილი გამორიცხავს და უსაფუძვლოდ მიიჩნევს. ამის შედეგად ავტორი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თანდებული არის - ურთ და არა „თურთ“, რგორც ეს წარმოდგენილი იყო ზოგიერთ გრამატიკაში.

ი. გოგებაშვილს მართებულად აქვს შენიშნული, რომ ზევრ შემთხვევაში თანდებულები სიტყვაწარმოებითი ელემენტების როლში გამოდის. „ქართულნი თანდებულნი ძალიან ხშირად შეუხორცდებიან სიტყვების ძირსა, გახდებიან მათი განუყრელნი ნაწილნი, სრულიად დაჰკარგავენ თავიანთ საკუთარს მნიშვნელობას და შეადგენენ რთულს სიტყვებსა: უკეთესთაგანი, ხელქვევითი, ცისქვეშეთი, ზმნისზედა და სხვანი. ყველა ამ შემთხვევაში შეხორცებულს თანდებულს ბოლოზედ ებმის დასაბამითი ფორმა და მთელი სიტყვა შეადგენს სახელობითს ბრუნვას. ეს სიტყვებიც იბრუნება ისე, როგორც ყველა სხვა სახელები, და მათ ბოლოზედ დაჰყვებათ ყოველგვარი თანდებული“⁹⁸.

ი. გოგებაშვილის დებულებები თანდებულების შესახებ სავესებით გასაზიარებელია.

ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი გ. წერეთელი თავის მრავალმხრივ საინტერესო წერილებში ენის საკითხებსაც არ ტოვებდა ყურადღების გარეშე. მან სპეციალური სტატია უძღვნა ზოგადენათმეცნიერულ საკითხებს⁹⁹. ავტორი საკმაოდ ერუდიციას

⁹⁶ ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, თანდებული ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, 1946, გვ. 223.

⁹⁷ ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, დაბრწყელებული ბრუნვები, „ივერია“, 1886, № 58, გვ. 1.

⁹⁸ იქვე, № 52, გვ. 1.

⁹⁹ გ. გ ო რ ი ს ე ლ ი [გ. წ ე რ ე თ ე ლ ი], ფილოლოგიური განხილვა ქართული ენისა, „ქრებული“, 1872, № 7.

ამელაენებს ენათმეცნიერულ საკითხებში: იგი იცნობს დასავლეთ ევროპისა და რუს ენათმეცნიერთა შეხედულებებს და ნათ პოპულარიზაციას ეწევა. ამასთანავე, ზოგადენათმეცნიერულ დებულებათა დასადასტურებლად ავტორი ხშირად ქართულის ენობრივ მაგალითებს მიმართავს.

გ. წერეთელი გახაზავს, რომ ენა ისტორიულად ცვალებადი მოვლენაა, იგი იცვლება და იხვეწება. იმოწმებს ნეცნიერთა შეხედულებებს აფაქსთა წარმოშობის შესახებ. იმ დროს უკვე გავრცელებული იყო ის მართებული აზრი, რომ აფიქსები დამოუკიდებელი სიტყვებისაგან მომდინარეობა. ამის საილუსტრაციოდ ავტორი მარჯვედ იყენებს ქართულის მაგალითებს და თანდებულებს მიმართავს.

იმის ნათელსაყოფად, რომ თანდებულები დამოუკიდებელი სიტყვებისაგან მომდინარეობს, ავტორი -ში თანდებულის გენეზისს იძლევა. -ში წარმოდგება შიგან სიტყვისაგან, რომელსაც ძველად საკუთარი მნიშვნელობა ჰქონდა და შუაგულობას აღნიშნავდა. მერმე ამ სიტყვის მიკედლება დაიწყეს სხვა სიტყვებზე, როდესაც ნივთისა თუ საგნის საშუალო ადგილის გამოხატვა სურდათ („ტყე შიგან ვართ“). ასეთი ფუნქციით ხშირი ხმარების შედეგად სიტყვას დაეკარგა საკუთარი მნიშვნელობა და -ში თანდებულის სახე მიიღო. „ამ სახით ში უბრალო გრამატიკულ დაბოლოებად იქცა“-ო,—წერს ავტორი.

ა. ხახანაშვილის წერილში „შენიშვნები ძველის ქართულის შესახებ“¹⁰⁰ აღნიშნულია, რომ ქართულმა ენამ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გარკვეული ცვლილებები განიცადა როგორც ლექსიკურად, ისე გრამატიკულად. ამ თვალსაზრისითაა განხილული თანდებულები, საილუსტრაციოდ შედარებულია ძველი ქართულის ფორმები ახალი ქართულის ფორმებთან და საყურადღებო დაკვირვებებია წარმოდგენილი. ძველი ქართულის მაგალითები ოთხთავის ტექსტიდანაა მოყვანილი.

წერილში არ არის გამიჯნული ერთმანეთისაგან თანდებულო და პრევერბი. ავტორი პრევერბსაც თანდებულს უწოდებს.

ა. ხახანაშვილი ეხება -გან, წინაშე, თანა და -ში თანდებულებს და შენიშნავს, რომ ზოგიერთი თანდებულიანი ბრუნვის ფუნქციებს ძველ ქართულში უთანდებულო ბრუნვები ასრულებდა. უთანდებულო მოქმედებითი -გან თანდებულიანი მოქმედებითის

¹⁰⁰ „ივერია“, 1893, № 275; 1894, № 65.

შინაარსს გამოხატავდა. მიცემითი და მიმართულებითი ბრუნვები „ში თანდებულნიანი მიცენითის მაგიერობასაც ეწეოდა და ადგილს აღნიშნავდა.

შენიშნულია, რომ თანდებულებმა იცვალა სახე ქართულში. თუ თანდებულები (მხედველობაშია თანდებულები და პრევერბები) სრული სახითაა დაცული ძველ ენაში, ახალ ქართულში უმთავრესად შენოკლებულია. სიტყვათა შემოკლება, ავტორის აზრით, დამახასიათებელია ქართული ენისათვის. თანდებული -გან სახელებთან სრული სახითაა წარმოდგენილი (ჩემგან, გორიდგან). ეს თანდებული სრული სახით შერჩენია ზმნებს ძველ ენაში („განიოქვა“—მ. 4, 24. ახალ ქართულში მას „გაიოქვა“ ენაცვლებაო). გან- ზმნებში ახლა სრული სახით იშვიათად გვხვდება, მის ნაცვლად შემოკლებული გა- თანდებული იხმარებაო.

როგორც ჩანს, პრევერბი გან- და თანდებული -გან, ავტორის გაგებით, ერთი ოდენობაა. ავტორისათვის ამოსავალია მათი ფუნქციონალური სიახლოვე. ცნობილია, რომ ეს სიახლოვე თანდებულისა და ზმნისწინის ერთნაირი წარმომავლობით არის გამოწვეული. თანდებულს გენეტური კავშირი აქვს პრევერბთან¹⁰¹.

წერილში გათვალისწინებულია -ში თანდებულის გენეზისიც. ამოსავლად მიჩნეულია შინა (შინ) დაჟოჟიდებელი სიტყვა, რომელიც, ავტორის მიხედვით, აღნიშნავდა „მდგომარეობას საგნის გულში“, შემდეგ შეიქნა ზმნიზედად და აქედან თანდებულად. ამ თანდებულების სხვა ვარიანტებს (შიდა, შიგან) ავტორი არ მოიხსენიებს.

წინაშე და თანა თანდებულები მართვის თვალსაზრისითაა განხილული. ავტორი ცდილობს გაარკვიოს, თუ რომელ ბრუნვაში უნდა იხმარებოდეს სახელი ამ თანდებულებთან. „წინაშე კაცთა“ მაგალითის წესახებ აღნიშნავს, რომ აქ გაურკვეველია ნათესაობითშია სახელი თუ მიცენითში. სხვა მაგალითში „დაუტევე წინაშე საკურთხეველსა მას“ მ. 5, 24, წინაშე მიცემით ბრუნვაში მოითხოვს სახელს. ამასთანავე თანდებული წინ უძღვის სახელს. ამ ფაქტს გარკვეულ მნიშვნელობას აძლევს ავტორი. იგი წერს, რომ ახლა არ შეიძლება ითქვას „წინაშე მამასა“, უნდა ითქვას „წინაშე მამისა“ ან „მამას წინაშე“. ავტორისათვის გადამწყვეტია თანდებულის ადგილი: თუ თანდებული (წინაშე) წინ უძღვის სახელს, მაშინ იგი ნათესაობით ბრუნვას მოითხოვს, თუ შოსდევს—მიცემითს. ასეთივე აზრი ჰქონდა გამოთქმული დიმ. ყიფიანსაც.

¹⁰¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953,

ა. ხახანაშვილის ვარაუდით, თანა თანდებულთან ნათესაობითი ბრუნვის ხნარება ბერძნულის გავლენით უნდა აიხანას. ავტორი უდარებს ქართული და ბერძნული ოთხთავის ტექსტებს და შენიშნავს: „შეიძლება ბერძნული უნის გავლენა იყოს, რომ ჩვენს სახარების მთარგმნელებს უხმარიათ თან ნათესაობით ბრუნვითო“.

ძველ ქართულში როგორც წინაშე, ისე თანა თანდებულნი ნათესაობითა და მიცემით ბრუნვაში მართავდა სახელს. ეს ფაქტი ავტორმა შენიშნა, მაგრამ მოვლენის სწორი ახსნა ვერ მოახერხა. ერთ შემთხვევაში სახელის მართვისას მნიშვნელობა ეძლევა წინაშე თანდებულის ადგილს, ხოლო მეორე შემთხვევაში თანა თანდებულთან სახელის ნათესაობით ბრუნვაში ხმარება ბერძნული უნის გავლენას მიეწერება. როგორც ცნობილია, ამჟამად გარკვეულია წინაშე და თანა თანდებულთა სინტაქსური ფუნქცია, წამოყენებულია გარკვეული ახსნა ნათესაობით და მიცემით ბრუნვებთან მათი კანონზომიერი ხმარებისა¹⁰².

ა. ხახანაშვილის აღნიშნული წერილის გამო გამოქვეყნდა კ. დოდაშვილის სტატია „ორიოდე აგლოზოგოატული ელემენტი სახარებაში“¹⁰³. ავტორი წინაშე, თანა და -ში (შინა) თანდებულებსაც ეხება.

კ. დოდაშვილი შენიშნავს, რომ წინაშე თანდებულის ნაცვლად ახალ ქართულში იხმარება წინ და გარჩეულია ამ სიტყვის ხმარება ზმნიზედისა და თანდებულის მნიშვნელობით, მაგ.:

„დელას წინ დაუყენეს შვილი“, „დელის წინ დაღვა შვილი“.

„წინ“ სიტყვის გამოტოვებით პირველ მაგალითში აზრი არ იკარგება, მეორეში კი უაზრობა იქმნება. ეს იმითაა ახსნილი, რომ პირველ წინადადებაში სიტყვა „წინ“ ადგილის ნაჩვენებელი ზმნიზედაა, ხოლო მეორეში თანდებულის მნიშვნელობითაა ნახმარი. სიტყვა „წინ“ ზმნიზედის ფუნქციით არ არის დაკავშირებული სხვა სიტყვასთან, თანდებულის მნიშვნელობით ხმარებისას კი მას გარკვეული სინტაქსური დამოკიდებულება აქვს სახელთან (თანდებულნი წინ სახელს ნათესაობით ბრუნვაში მართავს), ამიტომ მისი გამოტოვებით წინადადება ირღვევა. ძველ ქართულშიც წინაშე თანდებულისა და ზმნიზედის მნიშვნელობით იხმარებოდა (ამის დასადასტურებლად მოყვანილია მაგალითები ოთხთავიდან).

კ. კეკელიძე. „წინაშე“, „თანა“ და „ზედა“ თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის ძველ ქართულში, საქართველოს სსრ ლენინგრებათა აკადემიის მოამბე, III. № 3. 1942.

¹⁰² „კვალი“, 1894, №№ 30, 31, 32.

წერილში აღნიშნულია, რომ თანა თანდებულა ახალ ქართულში ორი სახით (თანა და შემოკლებული თან თანდებულის სახით) გვხვდება. ეს თანდებული (თანა) ნათესაობითში მართავეს სახელს, შემოკლებული სახით კი (თან) მხოლოდ მიცემით ბრუნვას მოითხოვს. ანტიკომ ავტორი უმართებულო ფორმებად თელის ა. ხახანაშვილის წერილში დასახელებულ მაგალითებს: ონასთანა, კლდესთანა და სხვ. აღნიშნულია აგრეთვე, რომ სახარების ტექსტში ეს თანდებული სრული სახითაა დაცული და სახელი, ჩვეულებრივ. ნათესაობით ბრუნვაში გვხვდება, თუმცა მიცემით ბრუნვაში მართული სახელებიც შეინიშნება. ამ მოვლენის ახსნას ავტორი არ ცდილობს.

შინა თანდებულის შესახებ კ. დოდაშვილი შენიშნავს, რომ იგი „საგნის გულში მდგომარეობას“ კი არ აღნიშნავდა უწინ, არამედ „თვით სამდგომიარო საგანსა და იხმარებოდა, როგორც თვით მდგომარე შემეცნება“¹⁰¹. ამ სიტყვას ავტორი სომხურს უკავშირებს. „ეს სიტყვა დარჩენილია სამდგომიარო საგნის აღმნიშვნელად შემახისა, ყაზახისა და სხვა მაზრების სომხურში: *չին (չէն), չինչյի ძարդ, չինასկան* სოფელი, სოფლეელი“¹⁰⁵. ამასთან დაკავშირებით ავტორი წერს: „შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ქართულშიაც ამ სიტყვას საზოგადოდ სოფლის, როგორც ბინის მნიშვნელობა ჰქონია, შემდგომ ამისა მნიშვნელობა ამ სიტყვისა შეზღუდულა და იგი აღნიშნავდა მართო სახლსა, როგორც აგრეთვე ბინას და ამის შემდეგ, როდესაც მოექცა სიტყვების ასხმა-აკინძვაში, ანუ აგგლომერაციაში, მაშინ გახდა იგი უბრალო ნიშანი, როგორც მაჩვენებელი რომელიმე საგნის საზოგადოდ სადმე მდგომარეობისა... საფიქრებელია, რომ სომხურს ენას მიეთვისებინოს ეს სიტყვა უწინდელს დროში ქართული ენის ზედგავლენით“¹⁰⁶.

-დამ თანდებული კ. დოდაშვილს -გან თანდებულის ფონეტიკურ ვარიანტად მიაჩნია: „რა არის გან, შემოკლებული ან, ფონეტიკურად გადაგვარებული ამ, თუ არ თვითმდგომარე განი (სიგანე, განიერი)“, —წერს იგი. -დამ თანდებული ამგვარადვე იყო ახსნი-

¹⁰¹ კ. დოდაშვილი, ორიოდ აგგლომერაციული ელემენტი სახარებაში, „კვალი“, 1894, № 32, გვ. 13.

¹⁰⁵ სქოლიოში აღნიშნულია, რომ ერევნისა და თბილისის უბნებში იხმარება *გსჟ, გსჟაჟი, გსჟასკან* (ლიტ. *გსჟ, გსჟასკან*).

¹⁰⁶ კ. დოდაშვილი, ორიოდ აგგლომერაციული ელემენტი სახარებაში, „კვალი“, 1894, № 32, გვ. 13.

ლი ნ. მარისა და დ. კარიკაშვილის გრამატიკებში¹⁰⁷. -დამ და -გან (→ან) თანდებულები ერთმანეთთან ახლოს მდგომნი და მსგავსნი არიან. ნ-სგან მ-ს მიღება ფონეტიკურად დასაშვები იყო. მაგრამ, როგორც გამოიჩვენა, ამ თანდებულთა დაახლოება და მსგავსება მერმინდელი მოვლენაა. -დამ თანდებული სულ სხვა გზითაა მიღებული¹⁰⁸.

-გან თანდებულის შესახებ გამოთქმულ შენიშვნაში უფრო საყურადღებოა ამ თანდებულის დაკავშირება „გან“ სიტყვასთან. ავტორი იმ დებულებიდან ამოდის, რომ თანდებულები, როგორც ელემენტები, დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვებისაგან მომდინარეობს. ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ ესმოდა კ. დოდაშვილს „განი“ სიტყვის ოდინდელი მნიშვნელობა, ამის შესახებ არაფერია თქმული. ავტორი არ წარმოგვიდგენს გამოთქმული მოსაზრების მტკიცება-დასაბუთებას, არ მიმართავს ეტიმოლოგიურ ძიებას, მაგრამ მოსაზრება თავისთავად საეჟლისხმოა. -გან თანდებულის გენეტური კავშირი „გან“ სიტყვასთან გამართლებულია. დასაბუთებულია, რომ -გან თანდებული (იგივე როგორც გან-პრეფერბი) წარმოდგება „გან“ სიტყვისაგან, რომელიც თავდაპირველად ადგილს აღნიშნავდა¹⁰⁹.

გრ. ორბელიანის, დ. ყიფიანისა და ვ. წერეთლის წერილებში თანდებულები მართლწერის საკითხებთან დაკავშირებით არის განხილული.

გრ. ორბელიანი წერს, რომ -ზე და -ში შემოკლებული ზედა, შინა თანდებულებია. ეს თანდებულები სახელს მიცემით ბრუნვაში მოითხოვს. ამიტომ, ამავე ბრუნვაში უნდა იხმარებოდეს მსაზღვრელი სიტყვა, თუ იგი -ზე ან -ში თანდებულიან სახელს ახლავს¹¹⁰. ეგევე აზრი გამოთქმულია გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილშიც¹¹¹, სადაც აღნიშნულია აგრეთვე, რომ ამ

¹⁰⁷ Н. М а р р, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград. 1925. გვ. 21: დ. კ ა რ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ენის გრამატიკა, ტფილისი, 1930, გვ. 125.

¹⁰⁸ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში, ენიმკის მოამბე, I, 1937.

¹⁰⁹ ვუკ. ბ ე რ ი ძ ე, საგან-სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III. №4, 1942.

¹¹⁰ ძუღლი სემინარისტი [გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი], მზავრობა სვანეთისაკენ, გ. წ. განხილვა, „ცისკარი“, 1874, № 9—10.

¹¹¹ მასალა ჩვენის ლიტერატურისათვის (ორი წერილი თ. გრ. ორბელიანისა), „დროება“. 1883, № 176.

თანდებულეზიან სახელში -ს მიცემითი ბრუნვის ნიშანი უნდა იწყებოდეს.

დომ. ყ ი ფ ი ა ნ მ ა გაზეთ „ივერიაში“ ბაქარ ქართლელის ფსევდონიმით მოათავსა ფელეტონი¹¹², რომელშიც პოპულარული და მისაწვდომი დიალოგის ფორმებში გამოთქმულია მოსაზრებები ენის შესახებ. მართლწერის თვალსაზრისით განხილულია, თუ რომელ ბრუნვაში უნდა იხმარებოდეს სახელი ზოგიერთ თანდებულთან (იქით, უკან, გარდა, შემდეგ, წინაშე, იმიერ, გარეშე). ავტორი წერს: „ძველ კლასიკურ ქართულში“ თანდებული თუ წინ უძღვის სახელს, ნათესაობით ბრუნვას მოითხოვს:

წინაშე სახლისა
იმიერ მთისა
გარეშე სოფლისა
გარდა ამისა

მაგრამ ახალ ქართულში თანდებული სახელის შემდეგ დგას. ან შემთხვევაში სახელი მიცემით ბრუნვაშია. ეგვეე აზრი გაიმეორა ა. ხახანაშვილმა წინაშე თანდებულის შესახებ.

წერილი განხილულია ცალკე მდგომი თანდებულები (მათ შორის ზმნისართულნიც). ავტორი ამ თანდებულებს მართვის თვალსაზრისით ეხება. შენიშნულია, რომ აღნიშნულ თანდებულებთან სახელი ნიციემითსა და ნათესაობით ბრუნვებში გვხვდება. ეს ფაქტი თანდებულის ადგილის მიხედვით არის ახსნილი (თუ თანდებული სახელის წინ დგას — ნათესაობით ბრუნვას მოითხოვს, თუ მოსდევს — მიცემითს). ამ საფუძველზე ავტორი იძლევა მართლწერის წესს: სახელის შემდეგ მდგომ თანდებულთან ნიციემითი ბრუნვა უნდა იხმარებოდეს.

გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში¹¹³ ვ. წერეთელი - ვით თანდებულს ეხება. მისი შეხედულებით ამ თანდებულთან სახელობით ბრუნვაში უნდა იხმარებოდეს სახელი. მიცემითბრუნვიან ფორმებს — „კაცსავით“, „ლომსავით“ — ავტორი უმართებულო ფორმებად თვლის (მათ ნაცვლად უნდა იხმარებოდეს „კაცივით“, „ლომივით“). ამასთანავე ავტორი შენიშნავს, რომ ის სახელები, რომლებიც ი-ზე არ ბოლოვდება (ე. ი. ბოლოხმოვნიათები — ნ. ა.), - ვით თანდებულთან მიცემით ბრუნვაში გვხვდება.

¹¹² ბაქარ ქართლელი [დ. ყ ი ფ ი ა ნ ი], უცნაური ნადირობა, „ივერია“, 1880, № 1.

¹¹³ ვ. წ. [ვ. წერეთელი], ზოგიერთი შენიშვნა ქართული ენის ეტიმოლოგიის შესახებ, „ივერია“, 1895, № 251.

როგორც ცნობილია, -ვით თანდებულთან სახელი ნათესაობით ბრუნვაშიც დასტურდება, მაგრამ ამის შესახებ ავტორი არას ამბობს. ასეთი შემთხვევები (ვით თანდებულის ხმარება ნათესაობით ბრუნვასთან) შედარებით იშვიათია¹¹⁴. ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ ავტორს მხედველობიდან გამოარჩა ეს ფორმა.

სხვა თანდებულთაგან -ვით თანდებული იმით გამოირჩევა, რომ მასთან სახელი სახელობით ბრუნვაშიც გვხვდება¹¹⁵, მართვის მიხედვით განსხვავებულია ბოლოხმოვნიანი და ბოლოთანხმოვნიანი სახელები. სხვა თანდებულებთან ეს არ გვხვდება. იმდროინდელ გრამატიკულ ლიტერატურაში შეჩინებულია, რომ ნართვის თვალსაზრისით თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი სახელები განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ ვით თანდებულთან.

წერილის ავტორს იმაზე გაუმახვილებია ყურადღება, რომ ხსენებული თანდებული ერთი და იმავე ფუნქციით გვხვდება როგორც სახელობით, ისე მიცემით ბრუნვებთან. მართლწერის მოთხოვნილებების მიხედვით ერთი და იმავე მნიშვნელობის სხვადასხვა ფორმებში უპირატესობა ერთ-ერთ ფორმას უნდა მისცემოდა და იგი უნდა დამკვიდრებულიყო სალიტერატურო ენაში. ავტორი ორივე ფორმას (-ვით თანდებულიან სახელობითსა და მიცემითს) დასაშვებად თვლის, მაგრამ მათი ხმარების გარკვეულ წესს გვათავაზობს: თანხმოვანფუძიან სახელებთან -ვით თანდებული მხოლოდ სახელობით ბრუნვას უნდა ერთოდეს, ხმოვანფუძიანებთან—მიცემითსო.

წერილი -ებურ-საც ეხება. აღნიშნულია, რომ იგი მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის ფორმას ერთვის. ამიტომ ფუძეზე დართულ -ებურ-იან ფორმებს ავტორი უმართებულო ფორმებად თვლის (უნდა იხმარებოდეს „ლომისებური“, „კაცისებური“ და არა „ლომებური“, „კაცებური“)¹¹⁶.

პ. კვიციანიძე არ გამოიჯნავს თანდებულსა და პრევერბს.

პ. კვიციანიძის „საგრამატიკო თერმინოლოგიაში“ თანდებული ასეა წარმოდგენილი: „წინმძლოლი და მიმდევარი თანდებულნი. თანდებულნი გამომხატველნი ზმნის გამთავე სახისა. თანდებულნი

¹¹⁴ თ. შარაძენიძე, „ვით“ თანდებული ქართულში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, X, 1939, გვ. 147.

¹¹⁵ სპეციალურ გამოკვლევაში ევკია გამოთქმული სახელობითის შესახებ: შესაძლებელია იგი სხვა ბრუნვა და ფონეტიკურ ცვლილებათა შედეგად სახელობითს დაემთხვაო (თ. შარაძენიძე, „ვით“ თანდებული ქართულში).

¹¹⁶ ასეთი ფორმები მიღებული იყო გახტთ „ივერიის“ ენაში.

გამომხატველნი დროსი, კეთვნილების და ადგილის. ბრუნვებს რომელს ითხოვენ¹¹⁷.

ამრიგად, განვიხილოთ პრესაში გამოთქმული შეხედულებები თანდებულების შესახებ.

იმდროინდელ პერიოდიკაში თანდებულებს სხვა საკითხებთან დაკავშირებით ეხებიან: თანდებულებს მიმართავენ ზოგადენათმეცნიერული დებულების დასამტკიცებლად (რომ აფიქსები დამოუკიდებელი სიტყვებისაგან წარმოდგება), ენის ცვლისა და განვითარების საილუსტრაციოდ (ნაჩვენებია, თუ როგორ იცვალა სახე თანდებულებმა). ზოგიერთი თანდებულის საკითხი სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებით წაშლია. თანდებულების საკითხი აღორძლია აგრეთვე ნართლწერის მოთხოვნილებებით. ამ ასპექტებშია გაშუქებული თანდებულთა გენეზისის, მათ მიერ სახელის მართვისა და აგრეთვე მართლწერის საკითხები.

გენეზისის თვალსაზრისით განხილული იყო -ში თანდებული. წერილების ავტორებმა -ში თანდებულის ამოსაყვლად შიგან, შინაში იჩინეს.

იმ დროისათვის სავსებით ნათელი იყო ის ფაქტი, რომ ქართულში სახელის ბრუნვის ფორმას შერწყმული თანდებულები ცალკე მდგომ თანდებულთაგან წარმოდგებოდა.

წერილებში „თანდებული“ პრევერბის მნიშვნელობითაც არის ნახმარი. თანდებული და პრევერბი ქართულ გრამატიკებშიც არ იყო გამიჯნული. ავტორები თანდებულისა და პრევერბის გენეტური კავშირისა და ფუნქციური სიახლოვის ფაქტიდან უნდა ამოდიოდნენ.

ზოგიერთი ავტორი (მ. ნასიძე) ვერ ავლებს მკვეთრ ზღვარს თანდებულიან ბრუნვასა და ზმნიზედას შორის და თანდებულიან ბრუნვას ზმნიზედად აცხადებს.

ი. გოგებაშვილმა გაახაზა თანდებულსა და ზმნიზედას შორის არსებული განსხვავება, ცხადყო, რომ თანდებულია -ურთ და არა „თურთ“, როგორც ეს მიღებული იყო ზოგიერთ იმდროინდელ გრამატიკაში. ყურადღება მიაქცია თანდებულების სიტყვაწარმოებით ელემენტთა ფუნქციით ხმარებას, თანდებულების შესახებ გამოთქვა ისეთი დებულებები, რომლებიც სავსებით მისაღებია დღევანდელი თვალსაზრისითაც.

მკვლევართა ყურადღება მიიქცია ისეთმა თანდებულებმაც, რომლებიც ერთი და იმავე ფუნქციით ერთზე მეტ ბრუნვას მართავენ. ცდილობდნენ დაედგინათ, თუ რომელი ფორმა უფრო მისაღები იყო მართლწერის თვალსაზრისით.

¹¹⁷ პ. კვიციანიძე, საგრამატიკო თერმინოლოგია, „დროება“, 1885, № 187, გვ. 3.

IV. ზმნის უღვლილებების საკითხები

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ პერიოდიკაში აუ სახელთა ბრუნების საკითხები ძირითადად გარკვეულია, ზმნასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი მოუგვარებელია. იმდროინდელ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ზმნის ზოგი კატეგორია არ იყო გამოვლინებული, ჯეროვნად შესწავლილი და სისტემაში მოყვანილი. ზოგიერთი საკითხი არც დასწულა სათანადო სიცხადით. ეს გასაგებიცაა, რამდენადაც ქართული ზმნა უალრესად რთული აგებულებისაა, ქართული ენის თითქმის ყველა თავისებურება ზმნაშია თავმოყრილი. გრამატიკული კატეგორიების სიუბე, მრავალპირიანობა და თავისებური სინტაქსური კონსტრუქცია უჩვეულოდ რთულსა ხდის ზმნის უღვლილების სისტემას ქართულში.

ბუნებრივია, რომ იმდროინდელ ქართულ პრესაში ზმნას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. სხვადასხვა ავტორის წერილებში გაშუქებულია პირის, ოიცხვის, ზმნის აგებულების, დროკილოთა წარმოებისა და სხვა საკითხები. ქართული ენის მკვლევრები ცდილობდნენ ამოეცნოთ ზმნის თავისებურებები და დაეწლიათ უღვლილების სირთულე.

პირის მიმართების საკითხი

პირის კატეგორია ზმნის ძირითად კატეგორიათაგანია. ქართული ზმნის თავისებურებები ყველაზე მეტად პირის საკითხში ვლინდება, „პირის საკითხში არის ქართული ზმნა უალრესად ორიგინალური“¹¹⁸ თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ზმნაში

¹¹⁸ არნ. ჩიქობავა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? II, „ახალი სკოლისაკენ“, № 9—10, 1929, გვ. 47.

სუბიექტის გარდა ობიექტის პირი და რიცხვიც აღინიშნება. ქართულ ზმნას აქვს უნარი გამოხატოს არა მარტო რომელია პირისა, არამედ პირის რაოდენობა და მიმართებაც. აქედან იღებს სათავეს შინაარსით მდიდარი ქართული ზმნის მრავალგვარი ფორმები.

პირის კატეგორიასთან დაკავშირებული ზმნის თავისებურებები კარგა ხანს არ იყო შენიშნული და ახსნილი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში.

პრესაში დაბეჭდილ წერილებში ყურადღება მიქცეულია პირის მიმართების საკითხზე, რაც მეტად საგულისხმო ფაქტია.

ზმნის მიმართებითი ფორმები გარკვევითაა წარმოდგენილი კოტე დოდაშვილის წერილებში. ზმნის საკითხების კვლევისას ავტორი ამჟღავნებს დიდ ალღოს, კვლევის უნარს და საყურადღებო დაკვირვებებს იძლევა.

ქ. დოდაშვილის პირველი წერილი „საგრამმატიკო ესკიზი“¹¹⁹ ზმნის უღვლილების საკითხს ეხება. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ზმნის პრეფიქს-სუფიქსებზე, აღნიშნავს, რომ როგორც პრეფიქსები, ისე სუფიქსები მრავალგვარად ცვლის ზმნის მნიშვნელობას. ავტორი სუბიექტური და ობიექტური წყობის ზმნებს პირის მიმართების თვალსაზრისით გაარჩევს. ზმნის ძირითად პრეფიქსებად მიაჩნია ვჰ, ვა, ვი, რომელთაც „მიმართულების“ (მიმართების — ნ. ა.) შემთხვევაში ცვლის მჰ, მა, მი (ამ პრეფიქსებში ავტორი გამოყოფს ჰ, ა, ი-ს, როგორც საკუთრივ ბრძანებითი დაბრის პრეფიქსებს. ავტორს ჰ პირის ნიშნად არა აქვს გაგებულნი). პირველი პირის ვ და მ პრეფიქსებს ავტორი მიმართების თვალსაზრისით გაარჩევს.

ქ. დოდაშვილი ზმნის უღვლილებაში ითვალისწინებს პირთა სრულგვარ კომბინაციას და პრეფიქს-სუფიქსთა ხმარების სქემებს იძლევა¹²⁰. სქემები განკუთვნილია მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნათა უღვლილებისათვის აწმყო დროში, ამავე დროს ქცევის ფორმებსაც მოიცავს.

¹¹⁹ „ივერია“. 1867. №№ 214, 215, 216, 217, 219, 220, 222.

¹²⁰ გახეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ წერილში ცალ-ცალკეა წარმოდგენილი სქემები მსალოობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმათაჟვის. საბოლოოდ ეს სქემები გააუბრთიანა ქ. დოდაშვილმა და ისე წარმოადგინა ჟურნალ „მთაბეში“ გამოქვეყნებულ წერილში.

პირისა და რიცხვის ნიშნები კ. დოდაშვილის სქემის ნიხე-
ვით ასეთია:

მიუმართავი

I	II	III
ვ— (თ)	— (თ)	—ს (ენ)

მიმართულებითი

მ— (თ)	გ— (თ)	ვ— (თ)
მ—ს (ენ)	გ—ს (ენ)	— (თ)
		—ს (ენ)

[შენ, ის— მე]	[მე, ის—შენ]	[მე, შენ, ის— იმას]
[თქვენ, ისინი— მე]	[ჩვენ, ისინი—შენ]	[ჩვენ, თქვენ, ისინი— იმათ]
გვ— (თ)	გ— თ	
გვ—ს (ენ)	გ—ს-თ	
[შენ, ის—ჩვენ]	[მე, ის—თქვენ]	
[თქვენ, ისინი—ჩვენ]	[ჩვენ, ისინი—თქვენ]	

ეს სქემა წარმოადგენს ამავე დროს პირთა კომბინაციების
ცხრილს ორპირიანი ზნის ფარგლებში და, როგორც ჩანს, შეა-
ძლებელ ფორმებს სრულად წარმოგვიდგენს. განმეორებული ფორ-
მები მოხერხებულად არის თავიდან აცილებული.

პირველი და მეორე ობიექტური პირის ფორმებს კ. დოდაშვი-
ლი „ორში ტრიალს“ უწოდებს, მესამე პირისას— „სამში ტრიალს“,
ე. ი. ავტორის მიხედვით, პირველ და მეორე პირთან მხოლოდ
ორი პირის მიმართებაა შესაძლებელი, მესამე პირთან— სამივესი.

კ. დოდაშვილს გარკვეული აქვს პირის ვითარების საკითხე-
ბი, ზმნის მრავალპირიანობა (ორპირიანობა) და მასთან დაკავში-
რებული პირის მიმართების საკითხები, სუბიექტური და ობიექტ-
ტური წყობა ზმნისა (რომ სუბიექტის გარდა ობიექტის პირი და
რიცხვიც აისახება ზმნაში), რომ პირველ და მეორე პირთან მხო-
ლოდ ორი პირის კომბინაცია არის შესაძლებელი, მესამესთან—
სამივე პირისა.

კ. დოდაშვილამდე ზნის პირთან დაკავშირებული საკითხები
გარკვეულია ა. ცაგარლის გამოკვლევაში¹²¹ და დ. ყიფიანის გრა-
მატიკაში¹²². ამ გრამატიკაში ზმნის უღვლილების პარადიგმებში

¹²¹ А. Цагарели. Сравнительный обзор морфологии иберий-
ской группы кавказских языков, С.-Пб., 1872.

¹²² დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, ახალი ქართული გრამატიკა, სანკტ-პეტერბურღი, 1852.

ვათვალისწინებულა პირთა კომბინაციები. ნათლადაა დადგენილი ზმნის მიუმართავი და მიმართებითი ფორმების არსებობა ქართულში, მოცემულია სუბიექტურ და ობიექტურ პირის ნიშანთა სქემები, მაგრამ სუბიექტისა და ობიექტის ცნებებს დ. ყიფიანის გრამატიკაში ვერ ვხვდებით. ამის წესახებ არნ. ჩიქობავა წერს: „ზაინც უცნაურია, რომ ცნებები „სუბიექტი“ და „ობიექტი“ დ. ყიფიანის მსჯელობაში არ ამოტივტივდა. ეს სავსებით შოსალოდნელი იყო, მით უფრო, რომ ზმნის უღვლილების პრეფიქს-სუფიქსთა სქემა ავტორს მოცემული აქვს“¹²³.

ქ. დოდაშვილი დ. ყიფიანზე უფრო შორს მიდის. მის წერილებში უფრო გარკვევითაა წარმოდგენილი პირის ვითარების საკითხი და შესატყვისი ცნებებიც მოცემულია: ეურნალ „მოამბეში“ დაბეჭდილ სტატიაში¹²⁴ უკვე ვხვდებით ამ ცნებებს: სქემებში აღნიშნულია „სუბიექტური ანუ მიუმართავი უღვლილება“ და „ობიექტური ანუ მიმართულებითი უღვლილება“.

დ. ყიფიანის გრამატიკაში ზმნის მიმართებითი ფორმები სუბიექტურ პირთა მიხედვითაა დალაგებული:

გაკეთებ	მაკეთებ	მაკეთებს
ვაკეთებ	აკეთებ	გაკეთებს

ქ. დოდაშვილი ობიექტურ პირთა მიხედვით აჯგუფებს ზმნის ფორმებს თავის სქემებში:

მაკეთებ	გაკეთებ	ვაკეთებ
ნაკეთებს	გაკეთებს	აკეთებ
		აკეთებს

ასეთი დალაგებისას უფრო მკვეთრადაა გამიჯნული სუბიექტური და ობიექტური ფორმები ზმნისა.

ქ. დოდაშვილის სქემებში წარმოდგენილი მიმართულებითი უღვლილების ფორმები ორპირიანი ზმნის გაგებას იძლევა და სავსებით შეესატყვისება მიმართებით, რელატიურ აგებულებას დღევანდელი გაგებით. ამ ფორმების საპირისპიროდ გამოყოფილია მიუმართავი უღვლილება. ქ. დოდაშვილის მიხედვით, „ვაკეთებ“, „აკეთებ“, „აკეთებს“ ფორმები მიუმართავ უღვლილებას ეკუთვნის (ეგვევ ფორმები მიმართებით უღვლილებაშიც გვხვდება). ეს ფორ-

¹²³ არნ. ჩიქობავა, ქართული ზმნის ანალიზის ზოგი საკვანძო საკითხი, „კომუნისტური აღზრდისათვის“, № 4—5, 1938, გვ. 48.

¹²⁴ ქ. დოდაშვილი, ახალი გზა-კვალი ქართული გრამმატიკის აკლევა-ძიებისა, „მოამბე“, № 6, 1894.

მები დ. ყიფიანაძე ნიუმართავ ფორმებად მიაჩნდა. ასე რომ, ზნნის მიუმართავი ფორმების საკითხში კ. დოდაშვილმა ვერ შეიტანა სიზუსტე და გარკვეულობა. ასეთი ფორმები შემდგომ ნ. მარმატ მიუმართავი, აბსოლუტური აგებულების ფორმებად ჩათვალა¹²⁵. ამჟამად გარკვეულია, რომ მიუმართავი, აბსოლუტური აგებულებისა ქართულში მხოლოდ ერთპირიანი ზმნებია¹²⁶.

ზნნის აგებულების თვალსაზრისით რომ ვიმსჯელოთ, კ. დოდაშვილის „ნიმართულებითი“ ფორმები, როგორც აღინიშნა, საესებით ეფარდება რელატიური აგებულების ფორმებს. რაც შეეხება „ნიუმართავი უღვლილება“- ზმნებს, ისინი არ გამოხატავენ მიუმართავი, აბსოლუტური აგებულების ფორმებს დღევანდელი აგებებით. ამდენად კ. დოდაშვილის სტემებში წარმოდგენილი „სუბიექტური ანუ მიუმართავი უღვლილება“ და „ობიექტური ანუ მიმართულებითი უღვლილება“ უპირისპირდება ერთმანეთს არა ზნნის აგებულების, არამედ პირის ვითარების მიხედვით და შესატყვისება ზნნის სუბიექტურ და ობიექტურ წყობას.

ზნნის მიუმართავი და მიმართებითი ფორმები გათვალისწინებულია აგრეთვე პ. შ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს წერილში¹²⁷ ზოგიერთი ზნნის (დგანან, წვანან, ყვანან) მართლწერის საკითხთან დაკავშირებით. წეროლის ავტორი ერკვევა პირის ვითარების საკითხში. იგი „დგანან“, „წვანან“ ზმნებს მიუმართავ ფორმებად მიიჩნევს, „ყვანან“ ზმნას კი — მიმართებითად. წერილში მოცემულია აღნიშნულ ზმნათა უღვლილების ცხრილი, სადაც გამოყოფილია „მიუმართველი“ და მიმართებითი (ავტორის ტერმინით — მიმართული) ფორმები. მიმართებით ფორმებში ცალკეა განხილული მიმართება შესამე პირთან (უღგევარ, უღგეხარ, უღგას, უღგევართ...) და შესამე პირის მიმართება ყველა პირთან (მიდგია, გიდგია, უღგია, გვიდგია...).

როგორც ვხედავთ, ზნნის აგებულება და მასთან დაკავშირებული პირის ვითარება გარკვევით არის წარმოდგენილი. კ. დოდაშვილის წერილებში პირის ვითარების საკითხი გაშუქებულია, მაგრამ ჩამოყალიბებული თეორიული მსჯელობა ზნნის აგებულების

¹²⁵ Н. Марр, Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка, С.-Пб., 1908.

¹²⁶ ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი შესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920, გვ. 21.

¹²⁷ კლდია [პ. შ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი], ცოტა რამ გრამატიკისა, „ივერია“, 1903, № 168.

შესახებ არ არის მოცემული. მიუძღრთავი ზმნის ფორმები არ არის კარგეული და განსაზღვრული.

პირისა და რიცხვის ნიშნები

პრესაში გამოთქმულია მოსაზრებები ზმნის პირისა და რიცხვის ნიშნების შესახებ. ამ საკითხებზე ისევ კ. დოდაშვილის წერილებში გვხვდება მსჯელობა.

ქართულში მრავლობით რიცხვს ზმნებში სუფიქსები გამოხატავს. ერთადერთი გამონაკლისი პირველი ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის გვ-პრეფიქსია. ამ გამონაკლისს ყურადღება ნიჟქცია კ. დოდაშვილმა და „ჩვეულებრივი“ მრავლობითის აღმნიშვნელი ნიშნებისაგან ცალკე გამოყო („ჩვეულებრივი“ მრავლობითი, ავტორის მიხედვით, სუფიქსებით გამოიხატება).

გვ-პრეფიქსს ავტორი მრავლობითი რიცხვის მაპიროვნებელ ნიშანს უწოდებს და რთულ პრეფიქსად მიიჩნევს: იგი შედგება გ-მეორე პირისა და ვ-(←მ) პირველი პირის პრეფიქსებისაგან და მრავლობითის გაგებას იძლევა. „გვ, როგორც ორ-მაპიროვნებელ ფუნქციისაგან შემდგარი თავად გამოხატავს სიმრავლეს“.

გვ-ინახავს = გ-ინახავს + მ-ინახავს (გმ→გვ). პირველი ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაში -თ სუფიქსი ნხოლოდ მაშინ იმარება, „როცა მიმართება უნდა გამოისახოს მრავლობითი რიცხვის II პირისაგან მრავლობითი რიცხვის პირველ პირისადმი“, მაგ., გვ-იწერ-თ (თქვენ ჩვენ) — აღნიშნავს კ. დოდაშვილი.

კ. დოდაშვილის მოსაზრება გვ-პრეფიქსის შედგენილობის შესახებ საყურადღებოა. ამ პრეფიქსის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ვარაუდია გამოთქმული¹²⁹. ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, რომელიც სვანურის მონაცემებს ეყრდნობა, გვ-პრეფიქსი რთული შედგენილობისაა, იგი პირველი და მეორე ობიექტური პირის პრეფიქსთა შეერთების საფუძველზეა ახსნილი¹²⁹.

¹²⁹ იხ. К. Дондуа, Категория инклюзива и эксклюзива в сванском и ее следы в древнегрузинском. Памяти акад. Н. Я. Марра, Ленинград, 1938; გ. თ. ფურია, სვანური ენა, I, ზმნა, ტფილისი, 1931; არნ. ჩიქობავა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946.

¹²⁹ გ. თ. ფურია, დასახელებული შრომა, გვ. 25—28.

კ. დოდაშვილი ახალი ქართული ენის მონაცემების მიხედვით მსჯელობს და სხვა საბუთები ამ დებულების დასამტკიცებლად არ მოჰყავს. მას არა აქვს გათვალისწინებული ძველი ქართული და ქართველურ ენათა, კერძოდ სევანურის, ჩვენებანი. ეს ვერც მოე-
თხოვებოდა ავტორს, რადგანაც ძველი ქართული და ქართვე-
ლურ ენათა შესწავლას ის-ის იყო საფუძველი ეყრებოდა. ავტორს
არ შეეძლო უფრო შორს წასულიყო და თავისი დებულების გასა-
მაგრებლად მეტი საბუთები მოენახა.

კ. დოდაშვილი ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ ნესანე
პირის ზმნას რამდენიმე აფიქსი აქვს პირისა და რიცხვის განოსა-
ხატავად; და ცდილობს მოგვეცეს წესი მრავლობითი რიცხვის ნი-
შანთა ხმარებისა. ამის გადაწყვეტას მხოლოდ პირის ნიშნებისა
და ზოგჯერ დროის ფორმების მიხედვით იძლევა. ავტორი აღნიშ-
ნავს, რომ აწმყო დროში მესამე პირის -ს ნიშანს -ენ მრავლობი-
თი რიცხვის სუფიქსი შეესატყვისება. თუ ზმნა ბოლოვდება ან
ა-ზე, ან ის-ზე (ი-ს კ. დოდაშვილი პირის ნიშანს მიაკუთვნებს),
მაშინ მრავლობითში ემატება იან (სწერს—სწერენ, იბრძვის—იბრ-
ვიან, ენთება—ენტებიან).

ნამყო სრულში მესამე პირის ზმნას ა „კანონიერი“ დაბო-
ლოების ნაცვლად -ობ სუფიქსიან ზმნებში აქვს -ო (შ რ ო ბ ა—
ა შ რ ო, მ კ ო ბ ა — ა მ კ ო). ზოგჯერ -ებ სუფიქსიან ზმნებსაც -ო
მოუდით (გ დ ე ბ ა — ა გ დ ო, კ ლ ე ბ ა — ა კ ლ ო, ქ ე ბ ა — ა ქ ო...). კ. დო-
დაშვილი იმ ფაქტს, რომ ზოგ შემთხვევაში წყვეტილში -ო სუფი-
ქსია მესამე პირის ნიშნად, სავსებით სამართლიანად ფონეტიკურ
ნიადაგზე ხსნის: „ხშირად -გ-, რომელიც ეკუთვნის სიტყვის
ძირს, ერთდება მესამე პირის დამაბოლოებელ „ა“-სთან ერთ იმად
ა-დ“¹²⁰. მაგალითებად დასახელებულია: გ ა ვ ჰ ყ - ა ვ — გ ა ჰ ყ - ა ვ - ა —
გ ა ჰ ყ - ო, ს ვ ა — ს ო, თ ქ ვ ა — თ ქ ო.

„საგრამმატიკო ესკიზის“¹²¹ დასასრულს ავტორი აჯანებს
თქმულს ზმნის რიცხვის აღნიშვნის შესახებ. ზმნის მრავლობითი
რიცხვის გამომხატველი ნიშნებია: თ, გვ, ენ, ეს, იან. თა მრავლო-
ბითი რიცხვის ნიშანი საძივე პირის კუთვნილებაა (ვ ჰ წ ე რ თ,
ჰ წ ე რ თ, ლ უ წ ე რ ი ა თ). გვ- პირველი პირის ნიშანი რიცხვსა
და პირს გამომხატავს. ენ, ეს ერთსა და იმავე დროს პირის, რიც-
ხვისა და დროის გამომხატველნი არიან, ავტორის მიხედვით. იან

¹²⁰ კ. დოდაშვილი, საგრამმატიკო ესკიზი, „ივერია“, 1887, № 220. გვ. 4.

¹²¹ იქვე, „ივერია“, 1887, № 222.

იპავე მნიშვნელოვით იხმარება, როგორც ენ, როცა მხოლოდით: რიცხვი (აწმყოში) დაბოლოება არის ის ან ა.

დ. ჩუბინაშვილი ზმნის პრეფიქსებად გამოყოფს ვჰ, ვა, ვი, ვუ, მ, მა... ელემენტებს და მათ „რთულ ნაცვალსახელებს“ უწოდებს¹²² განსხვავებით პირის ნაცვალსაიელთაგან. ვი-, ვუ-, დ. ჩუბინაშვილის მიხედვით, ორი ნაცვალსახელისაგან შედგება ვჰ-ი, ვ+უ. წერილში მ და ხ პრეფიქსები არ არის ცალკე გამოყოფილი. დ. ჩუბინაშვილის მიერ ზმნის პრეფიქსების გამოცხადება ნაცვალსახელებად იმას უნდა მიეწეროს, რომ ავტორი მათ ნაცვალსახელურ წარმოშობისად მიიჩნევს.

მ. ჯანაშვილმა უურადღება მიაქცია იმას, რომ გვ- მრავლობითი რიცხვის პრეფიქსის ნაცვალად ძველ ქართულში ხშირად მ იხმარებოდა. მან უურადღება მიაქცია¹²³ აგრეთვე ძველი ქართულის ფორმებს არიედ, არნ, მაგრამ -ედ და -ნ სუფიქსთა მნიშვნელობა ვერ გაარკვია. იგი უდარებს ამ ფორმებს სვანურისა და მეგრულის ფორმებს:

სვანური	მეგრული	ძვ. ქართული
ხვარდ	ვორდი	ვარიედ
ხარდ	ორდი	ხარიედ
არდა	ორდუ	არიედ

მ. ჯანაშვილი ძველ ქართულში აოსებულ -ედ ფორმანტს, სვანურისა და მეგრულის აღნიშნულ ფორმათა -დ სუფიქსის პარალელურ ოდენობად სახავდა. მათი მოთავსება ერთ სიბრტყეზე, რათქმა უნდა, შეუძლებელია. -ედ ძველ ქართულში მესამე პირის -ნ ფორმანტს ენაცვლებოდა მრავლობითში. მ. ჯანაშვილმა კი ელდროის აღმნიშვნელ სუფიქსთა კვალობაზე სამივე პირში წარმოადგინა და, ამგვარად, ძველ ქართულში არარსებული ფორმები დაასახელა.

აღსანიშნავია, რომ ქართულ პრესაში ენის საკითხებზე გამოქვეყნებული წერილების ავტორები ახალი ქართული ენის ფორმების კვლევას არ სჯერდებიან, ხშირად მიმართავენ ძველი ქართული ენის ფორმებს და ცდილობენ მათ ახსნას.

¹²² დ. ჩუბინაშვილი [დ. ჩუბინაშვილი], ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან კანეთის შვიდრთა მოსახლეთა, „ივერია“, 1877, № 17.

¹²³ მ. ჯანაშვილი, განქიქება და განმარტვლა, „ივერია“, 1899, № 165.

ქართული ენის გრამატიკული ფორმების ცვლილების სა-
ილუსტრაციოდ ა. ხახანაშვილი უდარებს ოთხთავის ტექსტში
დადასტურებულ ფორმებს ახალი ქართულისას და შენიშნავს, რომ
ობიექტია სიმრავლე ეველად ზმნაში აღინიშნებოდა. ოთხთავის
ტექსტში გვხვდება შეკრიბნა ფორმა („შეკრიბნა ყოველნი
მღვდელთ მთავარნი“). ამ ფორმაში — ნახმარია მრავლობით
რიცხვში დამატების გავლენით¹²⁴. მაშასადამე, ფაქტი შენიშნუ-
ლია, მაგრამ ახსნას სიზუსტე აკლია. ასეთსავე ოდენობად თვლის
ა. ხახანაშვილი ნ-ს „ბრწყინვედინ“ ფორმაში. ავტორი მას
მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელად მიიჩნევს („ბრწყინვედინ
ნათელი თქვენი“ — თქვენი ნაცვალსახელმა გამოიწვია მრავ-
ლობითის აღნიშვნა „ბრწყინვედინ“ ფორმაში).

ა. ხახანაშვილის ეს შეხედულება სანართლიანად გააკრიტიკა
კ. დოდაშვილმა¹²⁵, რომელმაც უფრო მეტი სიზუსტე და
გარკვეულობა შეიტანა ამ მოვლენის ახსნაში და საყურადღებო
შენიშვნები მოგვცა ძველი ქართული ფორმების შესახებ.

კ. დოდაშვილს მოჰყავს მაგალითი ოთხთავიდან — „დაასრულ-
ნა იესო სიტყვანი ესე“ და განმარტავს: „როდესაც მოქმედებით
ზმნას წინადადებაში მოზღვეს პირდაპირი შემავსებელი (прямо
допоявление), მრ. რიცხვში ზმნას ტემასა და დამაბოლოველ ნი-
შანს შუა ესმის ნ, როგორც ელემენტი მრავლობითი რიცხვისა“¹²⁶.
აქვე ავტორი აღნიშნავს, რომ ეგვევ ნ იხმარება „როგორც ელე-
მენტი გამამრავლებელი მხოლოდობითი რიცხვის პირველი პირის
ნიშნისა ზმნათა ფორმებში“. შენიშნულია, რომ ძველ ქართულ
ტექსტებში პირველი ობიექტური პირის მრავლობით რიცხვში
გვ-ს ნაცვლად ოდენ მ-ანიანი ფორმაც იხმარებოდა. ასეთ ზმნებს,
კ. დოდაშვილის დაკვირვებით, „ბოლოდან ესმის ნ“ როგორც
ელემენტი მრავლობითისა“¹²⁷. მაგალითები დამოწმებულია ოთხთა-
ვიდან:

„მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი...“ მათე, 6,12

„მიხსნენ ჩვენ ბოროტისაგან...“ მათე, 6,12

¹²⁴ ა. ხ — ი [ა. ხახანაშვილი], შენიშვნები ძველის ქართულის ენის
შესახებ, „ივერია“, 1893, № 275, გვ. 3.

¹²⁵ კ. დოდაშვილი, ორიოდე აგლომერატიული ელემენტი სახარებაში
(ბ-ნ ხახანაშვილის წერილის გამო), „კვალი“, 1894, №№ 30, 31, 32.

¹²⁶ იქვე. „კვალი“, 1894, № 30, გვ. 7.

¹²⁷ იქვე.

კ. დოდაშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ „ბრწყინვედინ“ ფორმაში ნ მრავლობით რიცხვს არ გამოხატავს. ამის დასამტკიცებლად კ. დოდაშვილი იმოწმებს სხვა ადგილებს ოთხთავიდან: „წმინდა იყავნ სახელი შენი“.

წერილში აღნიშნულია, რომ ძველ ქართულ ტექსტებში (ბალავარი, სიბრძნე სიცრუისა, სახარება, ქართლის ცხოვრება) ხშირად გვხვდება ფორმები, სადაც მხოლოდობით რიცხვის მესამე პირს ზ-ს ნაცვლად ნ გამოხატავს. ამ მაგალითებს ჯერ კიდევ პლ. იოსელიანმა მიაქცია ყურადღება თავის გრამატიკაში (ყოველი ჰრწამნ, ყოველი ესავნ). კ. დოდაშვილი მეტი დამაჯერებლობისათვის პლ. იოსელიანის გრამატიკაში მოყვანილ მაგალითებს ბერძნულ ტექსტს უღარებს:

ყოველი ჰრწამნ	πᾶντα πρῶται;
ყოველი ესავნ	πᾶντα ἑλπίζει;
ყოველსა მოითმენნ	πᾶντα ἠπομύνη;

და დაასკვნის, რომ აღნიშნულ ფორმაში („ბრწყინვედინ“) ნ მესამე პირის მხოლოდობით რიცხვს გამოხატავს. ავტორი შენიშნავს, რომ „ბრწყინვედინ“ ფორმას ბრძანებითი კილოს იერიც დასდევს, მაგრამ ამას სრული დამაჯერებლობით ვერ გამოთქვამს: „ნ ხშირად იმგვარ კილოს აძლევს ხოლმე ზმნის ფორმას, როგორც რუსულში ნაწილაკი «да»: да придетъ царствіе Твое“¹³⁵, შენიშნავს ავტორი.

ამრიგად, კ. დოდაშვილი ძველ ქართულში მხოლოდობით რიცხვში მესამე პირის ხ ნიშნის პარალელურად ნ-ს არსებობასაც ცნობს და ცდილობს ახსნა მოუძებნოს ამ მოვლენას. ავტორს შენიშნული აქვს, რომ ხ და ნ-ს მონაცვლეობა სხვა ფორმებშიც დასტურდება, საილუსტრაციოდ იმოწმებს მაგალითებს:

აქამდის	— აქამდინ
დრომდის	— დრომდინ
ჩემთვის	— ჩემთვის

(მდის—მდინ, თვის—თვინ)

კ. დოდაშვილი ხ და ნ-ს მონაცვლეობის თავისებურ ახსნას იძლევა. იგი: ორი სხვადასხვა ნიშნის ერთი ფუნქციით ხმარებას ერთი მთლიანი ელემენტის დაშლით ხსნის, ცდილობს ამის დამტკიცებას და ფორმათა (ზოგჯერ ხელოვნურისაც) გულუბრყვილო ანალიზს იძლევა.

¹³⁵ კ. დოდაშვილი, ორიოდუ აგლომერატიული ელემენტი სახარებაში, „კვალი“, 1894, № 30, გვ. 6.

კ. დოდაშვილი ვერ გაერკვა მის მიერ შენიშნულ მოვლენაში და ვერ მოგვცა მისი მართებული ახსნა. იმდროინდელ დონეზე ეს შეუძლებელი იყო. შეუსწავლელი იყო ქართველთა ენაზე, კერძოდ სვანურის, მონაცემები და არ იყო დაგროვილი სათანადო მასალები. მოვლენის შენიშვნა, თავისთავად, მაინც საყურადღებოა. შემდგომ ქართველურ ენათა მეცნიერული კვლევის შედეგად ქართულში დადასტურდა ნ და ხ ფენების არსებობა¹²⁹, რის გამოვლენასაც წარმოადგენს კ. დოდაშვილის მიერ შენიშნული ფაქტები (ხ და ნ-ს მონაცვლეობა ზმნის მესამე პირის ფორმებში და თანდებულებში: თვის—თინ, მდის—მდინ)

კ. დოდაშვილი აჯამებს საერთოდ ნ ელემენტის ფუნქციებს სახელსა და ზმნაში. მისი შეხედულებით, ნ ელემენტი გამოხატავს:

1. ზმნის მესამე პირს მხოლოდობით რიცხვში.
2. მესამე პირის მრავლობით რიცხვს.
3. სახელებში მრავლობით რიცხვს.
4. პირველი (ობიექტური—ნ.ა.) პირის მრავლობითობას ზმნაში.
5. პირდაპირი დამატების მრავლობითობას ზმნაში.

კ. დოდაშვილი საკმაო ალღოსა და კვლევის უნარს ამჟღავნებს ძველი ქართული ენის ფორმების გაოჩენისას. იგი ზოგ შემთხვევაში ბერძნულ ენასაც მიმართავს შესადარებლად; გონება-მახვილური მიხედვრები აქვს და საგულისხმო დაკვირვებებაც იძლევა.

ზმნის ზოგიერთ ფორმებს იველ ქართულში ყურადღება მიაქცია ა. ხაზანაშვილმა. მაგრამ მათ გაშუქებაში კ. დოდაშვილმა მეტი გარკვეულობა შეიტანა. მაგ., იგი არკვევს, რომ „ბრწყინედინ“- ფორმაში ნ მრავლობითობის აღმნიშვნელი კი არ არის, არამედ მესამე პირის ნიშანია. ა. ხაზანაშვილს შენიშნული ჰქონდა, რომ დანატების (ე. ი. ობიექტის) მრავლობითობა ძველად ზმნაში აღინიშნებოდა. ასეთ ფორმათა განმარტებაში კ. დოდაშვილს მეტი სიზუსტე შეაქვს: აღნიშნავს, რომ პირდაპირი შემავსებლის (ე. ი. ობიექტის) მრავლობითობა იწვევს ზმნაში ნ აფიქსს. ამაზე შორს კ. დოდაშვილი ვერ მიდის.

ქართული ენის შემდგომი მეცნიერული კვლევის შედეგად დადასტურდა და გამართლდა კ. დოდაშვილის მიერ გამოთქმული ზოგი მოსაზრება. ნ სუფიქსის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურ-

¹²⁹ ვ. თ. ოფუ რ ი ა ნ და ხ ფენებისათვის ქართველურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, II, № 1—2. 1941.

რანი სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა¹¹⁰. ნ სუფიქსის საკითხი ანაწინად საბოლოოდ გარკვეულია. სპეციალურ გამოკვლევაში მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ნ მესამე პირის უძველესი ნიშანია, რომელიც ძველ ქართულში გარკვეულ დროთა ფორმებში ვლინდებოდა¹¹¹. ამჟამად გარკვეულია აგრეთვე ობიექტის მრავლობითობის საკითხიც, რომ ძველ ქართულში სახელობითში დასმული მრავლობითი რიცხვის პირდაპირი ობიექტი ზმნაში (ე)ნ სუფიქსით გამოიხატებოდა¹¹².

ჰ- და ხ- პრეფიქსთა შესახებ პრესაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული.

როგორც ცნობილია, ჰ-, ხ- პრეფიქსებს ძველ ქართულში გარკვეული ფუნქციები ჰქონდა და კარგად იყო დაცული ძველ ტექსტებში, მაგრამ შემდგომში მათი ხმარების წესები საგრძნობლად შეირყა¹¹³. ანტონ კათალიკოსის დროისათვის ამ პრეფიქსთა ხმარებაში არაერთარი პრინციპი აღარ იყო დაცული. ანტონს მიუქცევია ყურადღება ჰ-, ხ- პრეფიქსებისათვის, მაგრამ ვერ უპოვია ერთი წესი მათი ხმარებისა¹¹⁴.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრება-განმტკიცებასთან დაკავშირებით ენის ნორმების საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. პრესაში ქართული მართლწერის საკითხები ფართო მსჯელობისა და კამათის საგანი გახდა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, რომ ჰ- და ხ- პრეფიქსების საკითხიც დასმულიყო და დაისვა კიდეც.

გ. წერეთელი ფონეტიკის საკითხებთან დაკავშირებით გაკვრით ეხება ჰ- პრეფიქსს, რომელსაც მეორე პირის აღმნიშვნელად თვლის¹¹⁵.

¹¹⁰ ნ. მარს - ნ სუფიქსი ნამყო უსრულის მაჩვენებლად მიიჩნდა (იხ. Грамматика древне литературного грузинского языка, Ленинград, 1925, გვ. 159); ა. შანიძემ ნ სუფიქსიანი ფორმები აწმყოს ხოლმეობითად ჩათვალა (იხ. ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, თბილისი, 1947, გვ. 247).

¹¹¹ არნ. ჩიკობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართულურ ენებში, ენიმკის მოამბე, V—VI, 1940.

¹¹² არნ. ჩიკობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველ ქართულში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, IX, 1929.

¹¹³ ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920.

¹¹⁴ იქვე.

¹¹⁵ გ. გორისელი [გ. წერეთელი], ფილოლოგიური განხილვა ქართული ენისა, „კრებული“, 1872, № 7, გვ. 39.

ს. ხუნდაძე საერთოდ წინააღმდეგი იყო ჰ-ს ხმარებისა და, ამის გამო, ზმნების ფორმებშიც არა ცნობდა მისი ხმარების საჭიროებას. მართალია, ძველად ხმარობდნენ ამ პრეფიქსს, მაგრამ ახლა საჭირო არ არისო,—აღნიშნავდა იგი¹⁴⁶. რაც შეეხება ხ-პრეფიქსს, მასაც უფუნქციოდ მიიჩნევდა ს. ხუნდაძე და მხოლოდ კეთილხმოვანების დაცვის თვალსაზრისით ამართლებდა მის ხმარებას ზმნებში.

პ. ჯარაია ჰ-, ხ-პრეფიქსებს მართლწერის საკითხებთან დაკავშირებით წიგნო. იგი ეკამათებოდა ს. ხუნდაძეს ამ პრეფიქსების თაობაზე. მიუთითებდა, რომ ხ-ს გამოტოვება „მისცა“, „მისწერა“ ფორმებში ყოველად დაუშვებელია. ამის დასამტკიცებლად მას ასეთი მაგალითები მოჰყავს:

მი-მ-ც-ა	მი-გვ-ც-ა
მი-გ-ც-ა	მი-გ-ც-ა-თ
მი-ს-ც-ა	მი-ს-ც-ა-თ

„მ, გ, ხ პირის მაჩვენებლებია“,—წერდა იგი¹⁴⁷.

ასევე დაუშვებლად მიაჩნდა პ. ჯარაიას ჰ-პრეფიქსის გამოკლება „ნიჰყო“ და „ჰყვარებია“ ფორმებში. ძველ წიგნებში იხმარებოდა ნიჰყო და აქაც ჰ პირის აღმნიშვნელია: მი-მ-ყო, მი-გ-ყო, მი-ჰ-ყო“,—წერდა პ. ჯარაია¹⁴⁸. ამ ფორმებშიც ავტორი პირის მაჩვენებელ ნიშნებს გამოყოფს: მ (=მე), გ (=შენ), ჰ (=მას).

როგორც ვხედავთ, პ. ჯარაია ჰ-, ხ-პრეფიქსებს მესამე პირის ნიშნად თვლის და ობიექტურ პრეფიქსებთან მოიხსენიებს, ე. ი. ჰ-, ხ-პრეფიქსები მესამე ობიექტური პირის ნიშნად მიაჩნია.

კ. დოდაშვილმა მიაქცია ყურადღება ჰ პრეფიქსს. მან აღნიშნა, რომ ჰ-პრეფიქსი დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, კ თანხმოვნების წინ ხ-დ იცვლება, ხოლო ზოგ შემთხვევაში ზ-სა და შ-ს სახითაც არის წარმოდგენილი. კ. დოდაშვილი შენიშნავს აგრეთვე, რომ ძველ ქართულში ჰს ერთადაც იხმარებოდა ზმნებში, მაგრამ ასეთ ფორმებს (ვჰსწერ) ავტორი უმართებულად ფორმებად მიიჩნევს, რადგან ხ-ჰ-ს სახეცვლილებაა და ამიტომ ან ერთი უნდა იხმარებოდეს მართლწერის თვალსაზრისით, ან მეორეო. კ. დოდაშვი-

¹⁴⁶ სილოვან [ს. ხუნდაძე]. გიორგიძის ჩიქორთული, „კვალი“, 1894, № 35, გვ. 14.

¹⁴⁷ გიორგიძე [პ. ჯარაია], ენის ნკვეთელებს „ივერია“, 1894, № 139, გვ. 4.

¹⁴⁸ გიორგიძე [პ. ჯარაია], ქართული ენა და სილოვანი, „ივერია“, 1894, № 196, გვ. 3.

ლი სავსებით სანართლიანად მიუთითებდა, რომ ჰ-პრეფიქსი ხმოვნების წინ იკარგება, ხოლო ცხრა თანხმოვნის წინ ს-ს (ზოგჯერ ზ- ან შ-ს) სახითაა დაცული, მაგრამ ამ პრეფიქსთა ფუნქცია არ არის ნათელი ავტორისათვის. იგი ჰ-ს, ა-, და ი- პრეფიქსებთან ერთად ბრძანებითი დახრის „მკვიდრ“ პრეფიქსად მიიჩნევს. ჰ-სამივე პირის ფორმებში გასდევს ზმნას, ჰ- ბრძანებითის პრეფიქსია, ავტორის აზრით, და არა პირის ნიშანი.

პრესის მასალების მიხედვით დასტურდება, რომ მეორე სუბიექტური პირისა და მესამე ობიექტური პირის პრეფიქსების საკითხი გაურკვეველია. ზოგიერთი ავტორი (გ. წერეთელი, პ. ჯარაია) ჰ- (ს-) პრეფიქსს პირის მაჩვენებლად აღიარებს, მაგრამ სხვა ავტორები (კ. დოდაშვილი, ს. ხუნდაძე) არ ცნობენ მას პირის ნიშნად. ს. ხუნდაძე ჰ-ს, ისევე როგორც ს-ს, უფუნქციოდ მიიჩნევს. კ. დოდაშვილი კი ჰ-ს ბრძანებითი დახრის პრეფიქსად სახავს, ხოლო ს-ს მის ფონეტიკურ ვარიანტად თვლის ცხრა თანხმოვნის წინ. პრესაში მოხსენებულია ჰ-პრეფიქსის დიალექტური ვარიანტები—ზ-, შ-. ესენი ჰ-ს ფონეტიკურ ვარიანტებადაა მიჩნეული. ის ავტორები, რომლებიც ჰ-პრეფიქსს პირის ნიშნად მიიჩნევენ, ამ პრეფიქსის მხოლოდ ერთ-ერთ ფუნქციაზე ამხვილებენ ყურადღებას: გ. წერეთელი მას მეორე პირის ნიშნად თვლის, პ. ჯარაია—მესამე (ობიექტური—ნ. ა.) პირის აღმნიშვნელად.

ჰ-, ხ-პრეფიქსთა შესახებ აზრთა ასეთი სხვაობისა და გაურკვევლობის მიზეზი ისაა, რომ ამ პრეფიქსების ფუნქციები იმ დროისათვის საკმაოდ დაჩრდილული იყო სალიტერატურო ქართულში: მათ ხმარებაში გარკვეული წესი არ შეიმჩნეოდა. ამ პრეფიქსთა მორფოლოგიური ფუნქციები არ ესმოდათ: ჰ-, ს- ზოგიერთი ავტორის ენაში მხოლოდ ზმნის სამკაულად იყო ქცეული. ამაში გარკვეული ბრალი მიუძღოდა ინტონის გრამატიკულ სკოლას.

აღნიშნულ პრეფიქსთა საკითხი შემდგომ იქნა შესწავლილი. სპეციალურ გამოკვლევაში¹⁴⁹ დადგენილია ამ პრეფიქსების ფუნქციები და ხმარების წესები ქართულში, განხილულია მისი ხმარება დიალექტებში. მაგრამ ამის შემდეგაც ს. ხუნდაძე მაინც არ ტოვებდა თავის ძველ პოზიციებს, კვლავ თავის შეხედულებებს იცავდა ამ საკითხში¹⁵⁰. იგი აზრტყებდა, რომ ჰ(ს) ზმნებში ან

¹⁴⁹ ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920.

¹⁵⁰ ს. იუნდაძე, ქართული მართლწერისა და სწორების ძირითადი საფუძვლები, ქუთაისი, 1927, გვ. 18—20, 106, 107.

კეთილხმოვანებისათვის იხმარება, ან ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად¹⁵¹.

როგორც დავინახეთ, ქართულ პრესაში სათანადო ყურადღება ექცეოდა ზმნის პირისა და რიცხვის საკითხებს. ზოგი მოვლენა კარგად იყო შენიშნული და გაშუქებული. აღსანიშნავია კ. ლოდაშვილის მოსაზრებები ზმნის პირის შესახებ. საგულისხმოა მისი გაგება ზმნის მიმართებითი ფორმებისა, სუბიექტური და ობიექტური წყობისა, ზოგიერთი აფიქსის გენეზისის ახსნა. ზმნის სიტუტულის მთავარი წყარო მიგნებულია, მაგრამ თეორიული მსჯელობა ამ საკითხების შესახებ არ არის მოცემული.

ზმნის უღვლილება

ზმნის უღვლილების საკითხის გარშემო ქართულ პრესაში უფრო მეტად იჩენს თავს აზრთა სხვაობა: ავტორები სხვადასხვაგვარ საფუძველზე დამყარებით ცდილობდნენ მოეცათ უღვლილების გამარტივებული სახე.

ზმნის უღვლილების საკითხს ეხება მ. ნასიძის წერილი „ორი საგრამატიკო საგანი“¹⁵². ავტორი აღნიშნავს, რომ სახელთან შედარებით ზმნის საკითხში ჩვენს გრამატიკოსებთან „სრული სიბნელეა და გაურკვევლობა“, საერთო კანონი ყველა ზმნისთვის ვერ მოუძებნიათ. კიდევ მეტი, ამ გაურკვევლობამ იმ დასკვნამდე მიიყვანა პლ. იოსელიანი, რომ მან ყველა ზმნა უკანონოდ გამოაცხადაო.

მ. ნასიძე ცდილობს ახლებურად გააშუქოს ზმნის უღვლილების საკითხი და უღვლილებას საფუძველად უღებს ასპექტის კატეგორიას.

მ. ნასიძის მიხედვით, დრო სამია (აწმყო, წარსული და მონავალი) და არა ხუთი თუ ექვსი, როგორც ეს წარმოდგენილია ქართულ გრამატიკებში. სახეც სამია: უსრული, სრული და უსრულესი (ვწერდი, ვწერე, მიწერია) და ზმნის უღვლილების ფორმებიც სახისა და დახრის (კილოს— ნ. ა.) მიხედვით განსხვავდებიან.

მ. ნასიძე უსაყვედურებს გრამატიკოსებს ზმნის სახისა და დროის ფორმების გაურჩევლობას, ცდილობს გაარკვიოს ეს საკითხი, მაგრამ ვერც თვითონ ახერხებს და წინააღმდეგობაში ვარ-

¹⁵¹ ს. ხუნდაძე, ქართული მართლწერისა და სწორების ძირითადი საფუძველები, ქუთაისი, 1927, გვ. 106.

¹⁵² მ. ნასიძე, ორი საგრამატიკო საგანი, „ივერია“, 1886, № 18.

დება. ავტორი ასპექტის დახასიათებისას ხან მოქმედების სახეობის მიხედვით მსჯელობს, ხან დროის მიხედვით. მაგ., I თურმეობითის ფორმა (მიწერია) ავტორს უსრულეს სახედ მიაჩნია, მაგრამ მის დახასიათებას დროის მიხედვით იძლევა. ავტორის სიტყვით, უსრულესი სახე „აღნიშნავს მოქმედებას უფრო წინათ, ადრე შესრულებულს, ვიდრე სრული სახისა“¹⁵³. მაშასადამე, განსხვავება უსრულესსა და სრულ სახეს შორის დროული გამოდის. ავტორისათვის მიუღებელია რამდენიმე ნამყოფს არსებობა ქართულში. ამიტომაც, რომ ნამყოფ უწყვეტელი და ნამყოფ წყვეტილი ავტორს ერთი დროის ფორმებად ესმის და მათ შორის სხვაობას მხოლოდ მოქმედების სახეობაში ხედავს. მაგ., „ვსწერდი“ და „ვსწერე“, ავტორის მიხედვით, ორივე ნამყოფ დროშია, ოღონდ პირველი უსრულ სახეს გამოხატავს, მეორე—სრულს. მაშასადამე, ნამყოფ უწყვეტლის ფორმა უსრულ სახედაა მიჩნეული, წყვეტილი—სრულად.

ასპექტის (ავტორის ტერმინით—სახის) ფორმის გარკვევისას მ. ნასიძისათვის ამოსავალი დებულებაა, რომ მომავალი დრო აქვს მხოლოდ სრული სახის ზმნას, აწმყო—მხოლოდ უსრული სახისას, და ამის მიხედვით წყვეტს იგი უღვლილების საკითხს. მაგ., „ვიკითხულობ“ აწმყო დროშია, მაშასადამე, უსრული სახისაა ზმნა, ამიტომ მას მხოლოდ ორი ფორმა ექნება: აწმყო—„ვიკითხულობ“ და წარსული „ვიკითხულობდი“. უსრულესი სახე (ე. ი. I თურმეობითი — ნ. ა.) სრული სახის-ზმნის უღვლილების ერთეულებში წე-აქვს მ. ნასიძეს და, ამგვარად, სრული სახის ზმნებისათვის უღვლილების „სამ სეეტს“ იძლევა: ვიკითხავ (მომავალი), ვიკითხე (წარსული სრული) და მიკითხია (უსრულესი). ასეთია ავტორის მიხედვით ზმნის უღვლილება საზღვრებით დახრაში (ე. ი. თხრობით კილოში — ნ. ა.). „ბრძანებითსა და სათუო დახრაში (ე. ი. კავშირებით კილოში — ნ. ა.) ეს წესი არ იცვლება“. როგორც ჩანს, მარტო ეს ცვლილებები შეადგენს ყველანაირი ზმნის უღვლილებას ქართულში: აწმყო და ნამყოფ უწყვეტელი უსრული სახის ზმნებისათვის, და მომავალი, ნამყოფ წყვეტილი და I თურმეობითი (უსრულესი)—სრული სახის ზმნათათვის. განსხვავებულ ფორმებს (ამ დროთა ფორმების ფარგლებში) დახრა (ე. ი. კილო) იძლევა.

მ. ნასიძის მიხედვით, თვით უღვლილების ერთეულები გამოდის ასპექტის ფორმებად. მსჯელობა არათანამიმდევრული და წი-

¹⁵³ მ. ნასიძე, ორე საგრამატიკო საგანი, „ივერია“, 1886, № 18, გვ. 3.

ნააღმდეგობებით სავსეა, დროისა და ასპექტის ფორმები არეულა. მ. ნასიძემ ვერ გაართვა თავი ზმნის უღვლილების საკითხს (ნას არ მოუცია უღვლილების სრული ცხრილები, თორემ შესაძლოა ამას მეტი გარკვეულობა შეეტანა მის მსჯელობაში).¹⁵¹

ზმნის უღვლილების საკითხები განხილულია კ. დოდაშვილის წერილებში¹⁵¹. ავტორი კრიტიკულად განიხილავს ქართველ გრამატიკოსთა შეხედულებებს ზმნის უღვლილების შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ ამ მხრივ გრამატიკოსები ორ ბანაკად იყოფიან: ზოგი პრეფიქსების მიხედვით ყოფს უღვლილებას, ზოგიც სუფიქსების მიხედვით. კ. დოდაშვილი მორიდებული ტონით აკრიტიკებს პროფ. დ. ჩუბინაშვილს, რომელიც ზმნის სუფიქსების მიხედვით უღვლილების ოც ტიპს გამოყოფდა.

კ. დოდაშვილი მართებულად შენიშნავს, რომ ქართულში არც სუფიქსები და არც პრეფიქსები არ გამოდგება ზმნის უღვლილების ტიპებად დაყოფის საფუძვლად, მაგრამ იგი მეორე უკიდურესობამდე მიდის და დაასკვნის, რომ უღვლილება ქართულში ერთია.

კ. დოდაშვილი მის წინამორბედ გრამატიკოსებთან შედარებით ახლებურად სვამს ზმნის უღვლილების საკითხს: ითვლისწინებს ქართული ზმნის თავისებურებებს (ფუძის აგებულებას, პირთა მიმართებას, ზმნის პრეფიქს-სუფიქსებს...) და ცდილობს წარმოგვიდგინოს უღვლილების გამარტივებული სახე.

უღვლილებისას ყურადღება გამახვილებულია ზმნის თემაზე. შენიშნულია ორთემიანობა, მოცემულია პირის ნიშანთა (პრეფიქს-სუფიქსთა) სქემები და შემდეგაა განიხილული უღვლილების ფორმები. კ. დოდაშვილი თემის მიხედვით ალაგებს ზმნის ფორმებს და აღის საფუძველზე ორ ჯგუფს გამოყოფს (ამ ჯგუფებში შეაქვს ზმნის უპირო ფორმებიც).

I. ქებ-ა	II. ვა- ქ-ე
ვა-ქებ	მი-ქ-ია
ვა-ქებ-დი	მე-ქ-ო
ვა-ქებ-დე	მე-ქ-ოს
(მა-ქებ-ელი	ვა-ქ-ო
ქებ-ული	
(სა-ქებ-ელი	

¹⁵¹ საგრამატიკო ესკიზი, „ივერია“, 1887, №№ 214, 215...; ახალი გზა-კვალი ქართული გრამატიკის კვლევა-ძიებისა, „მოამბე“, 1894, №№ 4, 6.

მართებულადაა გამოყოფილი ქ ე ბ თემა პირველი ჯგუფის ფორმებსა და ნახმნარ სახელებში, ხოლო ქ მეორე ჯგუფისაში.

კ. დოდაშვილს უღვლილები ძირითად ფორმებად (ავტორის სიტყვით, დედა-ფორმებად) მიაჩნია სახელზმნა (ე. ი. მასდარი) და ბრძანებითი დახრა. ავტორის გაგებით, ამ ფორმების მიხედვით უნდა დადგინდეს ზმნის თემა. სახელზმნის მიხედვით ვგებულობთ ზმნის სუფიქსებს, ბრძანებითის მიხედვით—პრეფიქსებს. ბრძანებითი დახრის ძირითად პრეფიქსებად მიჩნეულია ჰ, ა და ი (ჰ-წერე, ა-წერე, ი-წერე). როგორც სუფიქსები, ისე პრეფიქსები მნიშვნელობას უცვლიან ზმნას (როგორც ჩანს, ჰ პირის ნიშანიც მნიშვნელობის ნაცვლელ პრეფიქსადაა ჩათვლილი).

აღნიშნული ფორმები (სახელზმნა და ბრძანებითი დახრა), კ. დოდაშვილის მიხედვით, საფუძვლად ედება დროის ფორმათა წარმოებას. სახელზმნის თემა (პირველი „ტემა“) საერთოა დროის ფორმებისათვის პირველ ჯგუფში, ბრძანებითი¹⁵⁵ დახრის თემა (მეორე „ტემა“) ზმნის მეორე ჯგუფის ფორმებს აერთებს. ზმნის სრული უღვლილები წარმოსადგენად უნდა ვიცოდეთ ორივე თემა. პირველი თემის მოსაძებნად სახელზმნის ფორმას ჩამოსცილდება ა ნაწარმოებელი (კეთებ-ა), მაგრამ ეს საკმარისი არ არის ზმნის ყველანაირი ცვლილების გასათვალისწინებლად. ახლა საძებნია მეორე თემა. ბრძანებით დახრაში უნდა გამოიყოს მისი ძირითადი პრეფიქსები და ბრძანებითი დახრის (-ე) ნიშანი: (ა+ი)-კეთე-ზოგ ზმნას ბრძანებითი დახრის საძივე (ჰ, ა, ი) პრეფიქსი მოეპოვება, ზოგს ერთი ან ორი, ამის მიხედვით ვგებულობთ, თუ რამდენგვარი ცვლილება მოუდის ზმნას. საუღვლელები ზმნის I თემა თავისი პრეფიქსებითურთ ჩაისმის კ. დოდაშვილის მიერ განზადებულ პირველ სქემაში და ვლებულობთ „მოქმედებითი და ვნებითი ხმის (ე. ი. გვარის) ზმნის უღვლილებას აწმყო დროში“. ნამყო დროისათვის ცალკეა შედგენილი პრეფიქს-სუფიქსთა მეორე სქემა. სქემებში ი- და ე- პრეფიქსიანი ვნებითები წარმოდგენილი, ასუფიქსური წარმოების ვნებითები გათვალისწინებული არ არის. კ. დოდაშვილი ბრმად მისდევს თავის სქემებს და ამის მიხედვით ხშირად უჩვეულო, ხელოვნურ ფორმებს ქმნის (მაგ., „ვიკეთები“ ნაცვლად ჩვეულებრივი „კეთებები“ ფორმისა და სხვ.).

¹⁵⁵ ა. ცაგარელს შენიშნული ჰქონდა, რომ ქართულურ ენებში ბრძანებითი კლასს ფორმებში ზმნის ფუძე თითქმის ყოველთვის სუფთა სახითაა დაცული (იხ. ა. ცაგარელის Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков. С.-Пб., 1872, გვ. 28).

ავტორი ზმნის უღვლილებს ერთეულებს აჯგუფებს არა კი-
ლოთა მიხედვით, როგორც დამკვიდრებული იყო ტრადიციით,
არამედ ზმნის ფუძის წარმოების მიხედვით (resp. თემის მიხედ-
ვით) ერთებს მათ. ამის საფუძველზეა გამოყოფილი დრო-კილოთა
ორი ჯგუფი.

პირველ ჯგუფში ექვსი ერთეულია:

აწმყო — მოთხრობითი დახრა (ვაკეთებ)	= აწმყო
მომავალი — მოთხრობითი დახრა (გავაკეთებ)	= მყოფადი
აწმყო — ნატვრითი დახრა (ვაკეთებ-დე)	= აწმყოს

მომავალი — ნატვრითი დახრა (გავაკეთებ-დე)	კავშირებითი	= მყოფადის
--	-------------	------------

ნამყო-უსრული — მოთხრობითი დახრა (ვაკეთებ-დი)	კავშირებითი	= ნამყო
--	-------------	---------

ნამყო სრული — სათუო დახრა (გავაკეთებ-დი)	უწყვეტელი	= ხოლ-
		მეობითი

მეორე ჯგუფში ოთხი ერთეულია:

ნამყო-მრავალგზითი — მოთხრობითი დახრა (ვაკეთებ)	} = ნამყო. წყვეტ.
ნამყო სრული — მოთხრობითი დახრა (გავაკეთებ)	

აწმყო — სათუო დახრა (ვაკეთებ)	} = კავშირებ. II
მომავალი — სათუო დახრა (გავაკეთებ)	

(უღვლილების ცხრილში ზმნის თემა გამოყოფილია პირის,
რიცხვისა და სხვა ნიშნებისაგან).

ნამყო წყვეტილისა და მეორე კავშირებითის პრევერბიანი
(სრული ასპექტის) ფორმები ცალკე ერთეულებადაა გამოყოფილი.

დროთა ფორმებს შორის არ არის თურმეობითის ჯგუფის
ფორმები. 1887 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ სტატიაში¹⁵⁶
ამ ჯგუფის ყველა ფორმა კ. დოდაშვილმა მეორე ჯგუფის ფორ-
მებში გააერთიანა.

ნამყო უსრულებსი — ჩვენებითი დახრა (მიკეთია) = I თურმეობითი

ნამყო უსრულებსი — სათუო დახრა (მეკეთოს) = III კავშირებითი

ნამყო უსრული — სათუო დახრა (მეკეთა) = II თურმეობითი

1894 წ. ჟურნალ „მოამბეში“ დაბეჭდილ სტატიაში¹⁵⁷ ეს
ფორმები უკვე აღარაა მოხსენებული უღვლილების ერთეულებს

¹⁵⁶ კ. დოდაშვილი, საგრამმატიკო ესკიზი, „ივერია“. 1887, № 217.

¹⁵⁷ კ. დოდაშვილი, ახალი ზნა-კვალი ქართული გრამმატიკის კვლევა-
ძიებისა, „მოამბე“, 1894, № 6.

შორის, მაგრამ გათვალისწინებულია პრეფიქს-სუფიქსთა სქემებში (I და II თურმეობითი ნამყო წყვეტილის ფორმებადაა მიჩნეული, III კავშირებითის ფორმა II კავშირებითის ფორმადაა გაგებული).

კ. დოდაშვილის პირველ წერილში („საგრამმატიკო ესკიზი“) ზმნის დროთა ფორმები ლათინური საიელწოდებებითაც არის მოხსენებული (უღვლილების ფორმებში შეტანილია მიწვლეობები):

Praesens indicativi activi	(ვაკეთებ)
Imperfectum indicativi activi	(ვაკეთებდი)
Praesens coniunctivi activi	(ვაკეთებდე)
Futurum indicativi activi	(გავაკეთებ)
Participium praesentis activi	(მაკეთებელი)
Participium perfecti passivi	(გაკეთებული)
Participium futuri passivi	(საკეთებელი)
Perfectum indicativi activi	(ვაკეთე)
Imperfectum coniunctivi	(მეკეთა)
Plusquamperfectum indicativi activi	(მიკეთია, მიკეთიეს)
Plusquamperfectum coniunctivi activi	(მეკეთოს)
Futurum coniunctivi activi	(ვაკეთო)
Perfectum indicativi passivi	(ვიკეთე)

კ. დოდაშვილს კარგად აქვს შენიშნული ქართული ზმნისათვის დამახასიათებელი ბევრი ნიშან-თვისება, მაგრამ უცხო ენათა ვაგლენას მკვლევარი მაინც ვერ ასცდა. სახელზმნა (ე. ი. მასდარი) უცხო ენათა ინფინიტივის ბუღლად მიიჩნია და ზმნის ამოსავალ ფორმად აღიარა. ამით აიხსნება, რომ მრავალი მოვლენა მართებულად არ აქვს მას გაგებული და ახსნილი. მაგ., -აჲ და -აჸ თემისნიშნიან ზმნებში სუფიქსებად კ. დოდაშვილმა ოდენ -ვ და -შ ჩათვალა, ვინაიდან სახელზმნის რედუცირებული ფორმა იყო მისთვის ამოსავალი, ხოლო ზმნის თემა „გაგრძელებულ ტემალ“ მიიჩნია¹⁵⁸. იგი წერს: „როცა სახელ-ზმნის ტემა ბოლოვდება სუფიქსებზე შ, ვ, რომელთაც არ მიუძღვის წინ ხმოვანი ასო, მაშინ წარმოებისათვის საჭიროა. გაგრძელებული პირველი ტემა“. მაგალითებად დასახელებულია: „ხენა—ხენ (ხნავ), დგმა—დგმ (დგამ)... და სხვ“¹⁵⁹.

¹⁵⁸ კ. დოდაშვილი, ახალი გზა-კვალი ქართული გრამმატიკის კვლევა-ძიებისა, „მოამბე“, 1894, № 6, გვ. 140.

¹⁵⁹ კ. დოდაშვილი, საგრამმატიკო ესკიზი, „ივერია“, 1887, № 219.

ამ ფორმათა ასეთი ახსნის უხერხულობა, როგორც ჩანს, იგრძნობოდა. მ. ჯანაშვილმა კ. დოდაშვილის მიხედვით გამოყო ზმნის ძირითადი (მთავარი) ფორმები, მაგრამ სახელზმნის ფორმა მიმლეობით შეცვალა. „ქართული ზმნა უღვლილობს ბრძანებითი სახის დახრიდანა და მიმლეობის სახიდანა“,—წერს მ. ჯანაშვილი¹⁶⁰. ეგვევ აზრი გაიმეორა მან თავის გრამატიკაში¹⁶¹. ავტორს მხედველობაში ჰქონდა (მ-) პრეფიქსით ნაწარმოები მოქმედებითი გვარის მიმლეობის ფორმები. თავისი დებულების დასადასტურებლად მ. ჯანაშვილი ხშირად მიმლეობის მეტად ხელოვნურ ფორმებს იძლევა, მაგ.: მ-დ გ ა მ ი-ვ-დ გ ა მ, მ-ა ბ ა მ ი-ვ-ა ბ ა მ.

კ. დოდაშვილის ახსნა -ავ და -ამ სუფიქსიანი ფორმებისა, რა თქმა უნდა, არ იყო მართებული, მაგრამ აქ კი სრულიად უმართებულო, არაბუნებრივი ფორმები გამოცხადდა ზმნის ძირითად ფორმებად.

ზმნის უღვლილების კ. დოდაშვილის მიერ წარმოდგენილმა სქემამ გამოხმაურება ჰოვა ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში. კ. დოდაშვილს მოიხსენიებს ა. ქუთათელაძე ქართული ზმნის დახასიათებისას¹⁶². კ. დოდაშვილის გავლენას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ მ. ჯანაშვილი ზმნის ერთ-ერთ ძირითად (მთავარ) ფორმად ბრძანებით დახრას (ე. ი. კილოს) აღიარებს. თ. ქორდანიას გრამატიკაში¹⁶³ ზმნის მთავარ ფორმებად სახელზმნისა და ბრძანებითის ფორმებია მიღებული.

კ. დოდაშვილი თავისი დროისათვის კარგად ერკვევა ზმნის უღვლილების საკითხებში, ზმნის ბევრი თავისებურება სწორად აქვს შენიშნული და გაგებული. ზმნის ფორმათა დაჯგუფებისას იგი ფუძეთა წარმოების პრინციპით ხელმძღვანელობდა, რაც მისაღებია დღევანდელი თვალსაზრისითაც. მაგრამ ავტორს მხედველობიდან გამორჩა ქართული ზმნის არსებითი მხარეები, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელი იყო ზმნის უღვლილებისას.

კ. დოდაშვილს ყურადღება არ გაუმახვილებია ქართული ზმნის რთულ კონსტრუქციაზე, გარდამავალ ზმნათა ობიექტის ბრუნვა-ცვალებადობაზე, შეუნიშნავი დარჩა თურმეობითის ჯგუფის ფორმათა თავისებურებანი (წარმოება, გარდამავალ ზმნათა ინვერსიული წყობა და სინტაქსური კონსტრუქცია). ამიტომაც, რომ

¹⁶⁰ მ. ჯანაშვილი, მცირე შენიშვნა, „ივერია“, 1893, № 168.

¹⁶¹ მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1906, გვ. 70.

¹⁶² ა. ქუთათელაძე, ქართული ზმნების კლასიფიკაცია, ტფილისი, 1897, გვ. 4.

¹⁶³ თ. ქორდანიას, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1889.

კ. დოდაშვილმა ვერ მიუჩინა ამ ჯგუფის ფორმებს სათანადო ადგილი უღვლილების სისტემაში, ვერც თურმეობითის ჯგუფის ცალკე გამოყოფა მოახერხა. ეს ფორმები ჯერ დროთა მეორე ჯგუფის უღვლილების ერთეულებად გამოყო, შემდეგ კი ნამყო წყვეტილის (ავტორის ტერმინით—ნამყო-მრავალგზითის) ფორმებად მიიჩნია.

არ არის აგრეთვე შენიშნული და გათვალისწინებული უღვლილების თვალსაზრისით ზმნათა შორის ტიპობრივი განსხვავება (კ. დოდაშვილის მიხედვით, ქართულში ყველა ზმნა ერთი ყალიბის მიხედვით იუღლება, უღვლილება ერთია ქართულში). ამის შედეგი ისაა, რომ მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმები გამიჯნული არ არის.

ს. ხუნდაძე ზმნის ფორმათა მართლწერის საკითხებთან დაკავშირებით სხვათა შორის ზმნის უღვლილების ზოგიერთ ფორმასაც ასახელებს¹⁶⁴:

აწმყო — მომესმის

ნამყო I — მომესმოდა

ნამყო II — მომესმა

ნამყო III — მომსმენია

მყოფადი — მომესმება

ყურადღებას იქცევს ნამყო დროის ფორმათა სახელწოდებები. ნაცვლად ტრადიციული ტერმინებისა (ნამყო უსრული, ნამყო სრული, ნამყო უსრულესი) წარმოდგენილია ნამყო I (უდრის ნამყო უწყვეტელს), ნამყო II (უდრის ნამყო წყვეტილს), ნამყო III (უდრის I თურმეობითს).

ზმნის უღვლილების ნიმუში მოცემულია პ. ქარაიას განოკვლევაში „მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან“¹⁶⁵, რომელშიაც ქართული ზმნის უღვლილება ვანხილულია მეგრულთან შეპირისპირებით.

ზმნის განხილვისას ავტორი შენიშნავს, რომ მას მიზნად არა აქვს მეგრულ-ქართული ზმნა შეუდაროს ერთმანეთს „მთელის მათის ფორმაციით და ამ შედარებიდან გამოიყვანოს რამე ზოგადი საგრამატიკო კანონი“. ავტორის თქმით, საკმარისია მეგრულ-ქართული ზმნა ვაუღლოთ პარალელურად, რომ დავამტკიცოთ „მეგრულია და ქართული ზმნის ერთხორცობა“.

¹⁶⁴ სილოვან [ს. ხუნდაძე], გორგოდის ჩიქორთული, „კვალი“, 1894, № 35.

¹⁶⁵ „მომსმება“, 1895, №№ 10, 12; 1896, №№ 1, 2.

ზმნის შედარებისას პ. ჭარაია მიმართავს პ. კვიციანიძის გრა-
მატიკას¹⁶⁶ და თითქმის უცვლელად იმეორებს იქ მოცემულ უღვლი-
ლების ნიმუშს. პარალელურად მოცემულია მეგრული ზმნის
უღვლილება.

ზმნის ფორმები პ. ჭარაიას წერილში კილოთა მიხედვითაა
დაჯგუფებული. გამოყოფილია ორი კილოს ჯგუფი: „ჩვენებითი
სახარი ანუ საზღვრებითი სქესი“ (უღრის თხრობითს) და „სათუო
სქესი ანუ საიკვი სახარი“ (უღრის კავშირებითს). პ. კვიციანიძის
გრამატიკაში წარმოდგენილია აგრეთვე მესამე კილოს, ბრძანები-
თის, ჯგუფიც — „გავლენითი სახარი“ (უღრის ბრძანებითს). პ. ჭა-
რაია ბრძანებით კილოს ცალკე მოიხსენიებს და მხოლოდ ერთი
ფორმით წარმოგვიდგენს.

პ. ჭარაია სანიმუშოდ წარმოგვიდგენს „კეთება“ ზმნის
უღვლილების სქემას და ამასთან დაკავშირებით თხრობით კილოში
ათ ფორმას ასახელებს:

აწმყო დრო	(ვაკეთებ)
ნამყო უსრული $\left\{ \begin{array}{l} \text{ერთგზობითი სახე} \\ \text{მრავალ-გზობითი სახე} \end{array} \right.$	(ვაკეთე) (ვაკეთი)
ნამყო უსრული დრო	(ვაკეთებდი)
ნამყო სრული $\left\{ \begin{array}{l} \text{ერთგზობითი სახე} \\ \text{მრავალ-გზობითი სახე} \end{array} \right.$	(გავაკეთე) (გავაკეთი)
ნამყო-ოდეს უსრული დრო	(მიკეთებია)
ნამყო-ოდეს სრული დრო	(გამიკეთებია)
მყოფადი სრული დრო	(გავაკეთებ)
მყოფადი უსრული დრო	(კეთებას დავიწყებ)

კავშირებით კილოში ხუთი ფორმაა მოცემული:

აწმყო დრო	(ვაკეთებდე)
ქმნილ-უსრული დრო	(შეკეთებია)
ქმნილ-სრული დრო	(გამეკეთებია)
მყოფადი უსრული დრო	(ვაკეთო)
მყოფადი სრული დრო	(გავაკეთო)

თითოეულ დროში სამივე პირის ფორმებია მოცემული მხო-
ლოდობითსა და მრავლობით რიცხვში. პირისა და რიცხვის ნიშნები
და დროთა საწარმოებელი ელემენტები გამოყოფილი არ არის.

¹⁶⁶ პ. კვიციანიძე, ქართული სწორმეტყველება, თბილისი, 1938.

ულვლილებაში ზმნის სრული და უსრული სახის (ასპექტის) ფორმები ცალკე ერთეულებადაა გამოყოფილი.

3. კვიცარიძის გრამატიკაში ულვლილების ფორმათა გამოყოფისას ერთი პრინციპი არ არის გატარებული. ულვლილების კბრილში, ერთი მხრით, ერთი და იმავე დროის სრული და უსრული ასპექტის ფორმები ცალკე ერთეულებადაა გამოყოფილი, ხოლო მეორე მხრით, სრულიად განსხვავებული ფორმები (ნამყო წყვეტილი, II ხოლმეობითი და ნამყო უწყვეტელი) ულვლილების ერთი ერთეულის სხვადასხვა სახედ არის მიჩნეული. შესაძლოა 3. კარაიამ იგრძნო ასეთი დალაგების უხერხულობა და ნამყო უსრული (ე. ი. უწყვეტელი) ცალკე გამოყო. ეს კია, რომ მას საკითხის თეორიული მხარე და ტერმინოლოგიური სიზუსტე არც აინტერესებდა. როგორც თვითონვე აღნიშნავდა, მისთვის მთავარი იყო ქართული ზმნის ფორმათა შედარება მეგრულთან.

ულვლილებაში ზმნის სრული და უსრული სახის ფორმების ცალკე გამოყოფით ფორმათა რაოდენობა გაზრდილია. ორივე კილოში წარმოდგენილი ზმნის თხუთმეტი ფორმა ცხრა ულვლილების ერთეულამდე დაიყვანება.

აწმყო (ვაკეთებ)	ნამყო წყვეტილი	(ვაკეთე, გავაკეთე)
ნამყო უწყვეტელი (ვაკეთებდი)	II ხოლმეობითი	(ვაკეთი, გავაკეთი)
აწმყოს კავშირებითი (ვაკეთებდე)	II კავშირებითი	(ვაკეთო, გავაკეთო)
მყოფადი (გავაკეთებ)		
I თურმეობითი (მიკეთებია, გამიკეთებია)		
II თურმეობითი (მეკეთებია, გამეკეთებია)		

სულ არაა წარმოდგენილი I ხოლმეობითის, მყოფადის კავშირებითისა და III კავშირებითის ფორმები.

„მყოფადი უსრული დრო“ („კეთებას დავიწყებ“) რუსულის უსრული სახის მომავალი დროის, რთული მომავლის (буду делать) მიხედვითაა ვაკეთებელი. სრული მყოფადის საპირისპიროდ უსრულის შემოტანა მიუჩნევიათ საპიროდ და რუსულიდან ხელოვნურად გადმოუქართულებათ.

საყურადღებოა მეორე ხოლმეობითის ფორმის შეტანა და მრავალგზისობის გახაზვა, რაც 3. კვიცარიძის გრამატიკიდან მომ-

დინარეობს. პ. კვიციარიძემ ყურადღება მიაქცია ამ ფორმას და მის საწარმოებელ ნიშნად (მრავალგზისობის¹⁶⁷ მაჩვენებლად) -**o** მიიჩნია¹⁶⁸.

თხრობითი კილოს ფორმებს შორის არაა II თურმეობითის ფორმა, იგი კავშირებით კილოდაა ნიჩნეული. ასევე ჰქონდა გაგებული ეს ფორმა კ. დოდაშვილსაც (მხედველობაში გვაქვს მისი პირველი წერილი).

როგორც ვხედავთ, უღვლილებაში ზმნის ფორმათა დაჯგუფების თვალსაზრისით სხვადასხვა პრინციპია გატარებული: მ. ნასიძემ ზმნის უღვლილებას საფუძვლად ასპექტი დაუდო, კ. დოდაშვილმა—ზმნის ფუძეთა წარმოება, პ. კარაიამ—კილო.

მ. ნასიძის წერილი ზმნის უღვლილების თავისებური გაშუქების უშედეგო ცდას წარმოადგენს.

პ. კარაია კილოთა მიხედვით აჯგუფებს ზმნის ფორმებს. იგი ტრადიციულ პრინციპს იცავს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სამი კილოს ჯგუფის ნაცვლად ორ ჯგუფს, ჩვენებითსა და სათუოს (თხრობითსა და კავშირებითს—ნ. ა.), გამოყოფს, რაც სავსებით მისაღებია: ბრძანებითს საკუთარი ფორმები არ გააჩნია და, ამდენად, მისი გამოყოფა ცალკე ჯგუფის ფორმებად უმართებულო იქნებოდა.

კ. დოდაშვილმა ზმნის ფორმები წარმოების მიხედვით დააჯგუფა და ამის საფუძველზე დრო-კილოთა ორი ჯგუფი გამოყო. ის გზა, რომელიც აირჩია კ. დოდაშვილმა უღვლილების ფორმათა დაჯგუფებისას, სავსებით გამართლებული აღმოჩნდა.

ქართული ენის გრამატიკებში (ანტონის, ს. დოდაშვილის, დ. ჩუბინაშვილისა და სხვ.) ყურადღება ექცეოდა უღვლილების ფორმათა წარმოებას, მაგრამ უღვლილებაში ზმნის ფორმები ტრადიციულად კილოთა მიხედვით იყო წარმოდგენილი. ზმნის ფორმათა წარმოების მიხედვით დაჯგუფების პრინციპი, რომელსაც ეყრდნობოდა კ. დოდაშვილი, არ დამკვიდრებულა იმდროინდელ გრამატიკებში. პ. კვიციარიძის, ა. ქუთათელაძის, თ. ეორდანიას, ს. ხუნდაძისა და მ. ჯანაშვილის გრამატიკებში ზმნის უღვლილების ფორმები კილოთა მიხედვითაა განხილული. მხოლოდ 1908 წელს

¹⁶⁷ პ. კვიციარიძეს მრავალგზისობა ზმნის ერთ-ერთ სახედ (ასპექტად) აქვს ჩაგებული.

¹⁶⁸ პ. კვიციარიძე, ქართული სწორმეტყველება, თბილისი, 1888, გვ. 124, 135.

ნ. მარმა გაატარა ეს პრინციპი¹⁶⁹ და ზმნის ფუძეთა წარმოების მიხედვით დრო-კილოთა სამი ჯგუფი გამოყო, რაც შემდგომში დაინერგა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში¹⁷⁰. ზმნის ფორმათა ასეთი დაჯგუფების პირველი ცდა კ. დოდაშვილის მიერ წარმოდგენილ ზმნის უღვლილების ცხრილებშია მოცემული.

დროისა და კილოს შესახებ

ზემოთ განხილული იყო ზმნის უღვლილების საკითხები მ. ნა-სიძის, კ. დოდაშვილისა და პ. კარაიას წერილებში. დასახელებულ წერილებში არ არის თეორიული მსჯელობა დროისა და კილოს შესახებ, მაგრამ წარმოდგენილი უღვლილების ცხრილების მიხედვით შეიძლება ზოგიერთი დასკვნა გამოვიტანოთ.

სამი ძირითადი დროა გარჩეული კ. დოდაშვილის მიერ წარმოდგენილ უღვლილებაში: აწმყო, ნამყო და მომავალი. კილოც სამია გამოყოფილი: მოთხრობითი, ნატვრითი და სათუო (ბრძანებითი კილოს ფორმა უღვლილების ერთეულებს შორის არ არის დასახელებული). აწმყოსა და მომავლის ფორმები განსხვავებულია კილოთა მიხედვით. დროის მიხედვით რომ დაგვეჯგუფებინა ფორმები, ასეთ სურათს მივიღებდით:

აწმყო	{	მოთხრობითი დახრა (ვაკეთებ)
		ნატვრითი დახრა (ვაკეთებდე)
		სათუო დახრა (ვაკეთო)

მომავალი	{	მოთხრობითი დახრა (გავაკეთებ)
		ნატვრითი დახრა (გავაკეთებდე)
		სათუო დახრა (გავაკეთო)

ნამყო დროის ფორმებში სხვა მომენტებიცაა გათვალისწინებული და ფორმები მოქმედების სახეობის მიხედვითაც არის გარჩეული.

ნამყო	{	უსრული—მოთხრობითი დახრა (ვაკეთებდი)
		სრული —მოთხრობითი დახრა (გავაკეთე)
		სრული —სათუო დახრა (გავაკეთებდი)
		მრავალ-გზითი—მოთხრობითი დახრა (ვაკეთე)

¹⁶⁹ Н. Марр, Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка, С.-Пб., 1908.

¹⁷⁰ არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება, ქართული ენის ჭანმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, გვ. 061.

ასე წარმოგვიდგება დროის საკითხი ჟურნალ „მომავლში“ დაბეჭდილი წერილის მიხედვით¹⁷¹. კ. დოდაშვილის პირველი წერილის¹⁷² მიხედვით კი ნამყო დროის საკითხი რამდენადმე განსხვავებულადაა გადაწყვეტილი. იქ უფრო მეტი გარკვეულობაა ამ მხრივ: თურმეობითის ფორმები შეტანილია, ამასთანავე ზმნის უპრევერბო ფორმებია განხილული (ერთი და იმავე ფორმის პრევერბიანი და უპრევერბო ფორმები არ არის გამოყოფილი და დაპირისპირებული).

ნამყო უსრული — თხრობითი კილო¹⁷³ (ვაკეთებდი)

ნამყო უსრული — კავშირებითი კილო (მეკეთა)

ნამყო სრული — თხრობითი კილო (ვაკეთე)

ნამყო უსრულესი — თხრობითი კილო (მიკეთია)

ნამყო უსრულესი — კავშირებითი კილო (მეკეთოს)

როგორც ვხედავთ, ნამყო დროის ოთხივე ფორმაა წარმოდგენილი (ნამყო უწყვეტელი, ნამყო წყვეტილი, I თურმეობითი და II თურმეობითი). მეორე თურმეობითის ფორმა ნამყო უსრული დროის კავშირებით კილოდაა მიჩნეული და თურმეობითის (ნამყო უსრულესის) რიგში არ განიხილება. დაპირისპირებულია ნამყო უწყვეტელია, ნამყო წყვეტილისა და თურმეობითის ფორმები. ავტორის მიერ ხმარებული ლათინური საბელწოდებანი მიგვითითებს. რომ ეს ფორმები ისეა გაგებული, როგორც იმპერფექტი (ნამყო უწყვეტელი), პერფექტი (ნამყო წყვეტილი) და პლუსკუამპერფექტი (თურმეობითი).

პ. ქარაიას უღელილების სქემაშიც სამი ძირითადი დრო (აწყო, ნამყო და მომავალი) გაიჩნევა. ამ დროთა მიხედვით არის დალაგებული ფორმები ჩვენებითსა (თხრობითსა) და სათუო (კავშირებით) სახარში (კილოში).

თხრობით კილოში ნამყო დროის ფორმებში გარჩეულია, ერთი მხრით, თუ როდის წარმოებდა მძქმედება—ახლო წარსულში თუ შორეულ წარსულში; მეორე მხრით, გარჩევაა მოქმედების სახეობის მიხედვით: შესრულებულია, დამთავრებულია მოქმედება—სრულია, თუ დამთავრებული არაა—უსრულია (სრული და უსრული სახის ფორმები გამოყოფილია მყოფად დროშიაც).

¹⁷¹ კ. დოდაშვილი, ახალი გზა-კვალი ქართული გრამმატიკის კვლევა-ძიებისა, „მომავლში“, 1894, № 6.

¹⁷² კ. დოდაშვილი, საგრამმატიკო ესკიზი, „ივერია“, 1887, № 217.

¹⁷³ ჩვენი ტერმინოლოგიით.

ნ. ნასიძის წერილში სამი კილოა დასახელებული: საზღვრე-
ბითი (თხრობითი), ბრძანებითი და სათუო (კავშირებითი) დასრა.
პ. ჯარაიაც სამ კილოს გაარჩევს: ჩვენებითს ანუ საზღვრებითს
(თხრობითს), სათუოს ანუ საიქესა (კავშირებითსა) და ბრძანებითს.
კ. დოდაშვილის ნიხედვით კილო ოთხია: თხრობითი, სათუო,
ნატვრითი და ბრძანებითი. სათუო და ნატვრითი დახრა კავშირე-
ბითის გაგებას იძლევა. ნატვრითი კილოს ფორმებად მიჩნეულია
აწმყოსა და მყოფადის კავშირებითები და საწარმოებელ ელემენ-
ტად -დე არის გამოყოფილი. სათუო დახრად მეორე კავშირები-
თის ფორმაა მიჩნეული, ხოლო საწარმოებლად -მ ელემენტი
გამოყოფილი. სათუო დახრადაა მიჩნეული აგრეთვე პირველი ხოლ-
მეობითის ფორმაც (გავაკეთებდი).

პ. ჯარაიას და კ. დოდაშვილის უღვლილების ცხრილებში ბრძა-
ნებითი კილო არ არის შეტანილი. პ. ჯარაია ბრძანებითს ცალკე
მოიხსენიებს, კ. დოდაშვილი კი მას დროთა მეორე ჯგუფის ძირი-
თად ფორმად მიიჩნევს.

ასპექტის საკითხი

XIX საუკუნის ქართულ გრამატიკებში ასპექტის საკითხი
არ იყო თეორიულად დამუშავებული და გაშუქებული. ქართული
ენის გრამატიკებიდან ზმნის სახის (ასპექტის) შესახებ მსჯელობას
პირველად დ. ყიფიანის გრამატიკაში ვხვდებით, რომელშიც მკვეთ-
რადაა გარჩეული ზმნის სრული და უსრული სახის ფორმები.
პარადიგმებში მოცემულია „კეთება“ ზმნის უღვლილება უსრული
ასპექტის ფორმით და იქვე აღნიშნულია: „ამას რომ გათავებუ-
ლის (სისრულის) სახე მიეცეს, პრეფიქსად ერთ-ერთი თანდებული¹⁷⁴
უნდა მიუძღვანოთ: გავაკეთებდი, მივაკეთებდი, მოვაკეთებდი...“¹⁷⁵
ასეთივე პრინციპია გატარებული „წერა“ ზმნის უღვლილების ტა-
ბულაში, რომელიც გრამატიკას ერთეის: ზმნა უსრული სახითაა
მოცემული და სქოლიოში შენიშნულია: „დაბოლოვებითი სახე გა-
მოვა თავში თანდებულისა რომელისამე დამატებით; მაგალითად

¹⁷⁴ თანდებული აქ პრეფერბის მნიშვნელობითაა ნახმარი.

¹⁷⁵ დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამატიკა, სანკტ-პეტერბურღი,
1882, გვ. 106.

და¹⁷⁶. ასპექტის ხასიათი დ. ყიფიანს გაცილებით უფრო ადრე ჰქონდა გარკვეული¹⁷⁷.

წერილები, რომლებიც ასპექტის საკითხებს აშუქებენ; დ. ყიფიანის გრამატიკის გამოცემის შემდეგ დაიბეჭდა.

მ. ნასიძე ქართულში სამ სახეს გამოყოფს: უსრულს, სრულსა და უსრულესს¹⁷⁸. ავტორის მიხედვით, უსრული სახე დაუსრულებელ მოქმედებას გამოხატავს, სრული სახე მოქმედებას დასრულებულად წარმოგვიდგენს. მომავალი დრო აქვს მხოლოდ სრული სახის ზმნას, აწმყო—ოდენ უსრული სახისას. ამის საფუძველზე ავტორი იძლევა ზმნის უღვლილების ფორმებს.

წერილში წარმოდგენილია სრული და უსრული სახის ზმნები:

უსრული	ხრული
ვსწერდი	ვსწერე
ვკითხულობდი	ვკითხე
ვავეამდი	ვსვი

სხვა ადგილას ავტორი „ვეწერდი“ და „დავეწერე“ ფორმებსაც უპირისპირებს ზმნის სახის თვალსაზრისით.

მ. ნასიძეს ნამყო წყვეტილის უსრული სახის ფორმები სრული სახის ფორმებად აქვს გაგებული, ვინაიდან მისთვის თვით ნამყო წყვეტილის ფორმაა სრული სახის გამოხატველი (განურჩევლად იმისა ზნა პრევერბიანია თუ უპრევერბო). რას წარმოადგენს მ. ნასიძის მიერ გამოყოფილი ზმნის მესამე სახე—უსრულესი? იგი სხვა არაფერია, თუ არ პირველი თურმეობითის ფორმა, რომელიც გამოხატავს მოქმედებას „უფრო წინად, ადრე შესრულებულს, ვიდრე სრული სახისა“, ე. ი. ნამყო წყვეტილისა. მ. ნასიძის აზრით, „ვეწერდი“, „ვეწერე“, „მიწერია“ სახის მიხედვით განსხვავებული ფორმებია (ვეწერდი—უსრული სახე, ვწერე—სრული სახე, მიწერია—უსრულესი).

მ. ნასიძისათვის ერთი და იმავე ზმნის პრევერბიანი და უპრევერბო ფორმები შინაარსობლივად სრულიად განსხვავებული ზმნებია. ასპექტის წარმოებას პრევერბების საშუალებით მ. ნასიძე

¹⁷⁶ დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამმატიკა, სანკტ-პეტერბურლი, 1882, გვ. 106.

¹⁷⁷ 1853 წელს 31 მარტს სახელმძღვანელოთა კომიტეტს გადაეცა „წერა“ ზმნის უღვლილების ტაბულა, რომელსაც დ. ყიფიანს მიაწერენ (ტაბულის შედგენის საბაზი განყოფილებაში სარეცენზიოდ შესული დ. ჩუბინაშვილის ქართული გრამატიკა იყო). აღნიშნულ ტაბულაში იგივე პრინციპია გატარებული, როგორც დ. ყიფიანის გრამატიკაშია წარმოდგენილი (იხ. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძველები, თბილისი, 1953, გვ. 286).

¹⁷⁸ მ. ნასიძე, ორი საგრამატიკო საგანი, „ივერია“, 1886, № 18.

ქართულში არ ცნობს. მისთვის თვით უღვლილებს ფორმები გამოდის ზმნის სახის ფორმებად. მ. ნასიძე ვერ არჩევს დროისა და ასპექტის ფორმებს. მ. ნასიძისათვის ასპექტის კატეგორიის ხასიათი და წარმოება ქართულში ბუნდოვანი და გაურკვეველია.

მ. ნასიძის შეხედულებები სამართლიანად გააკრიტიკა ი. გოგებაშვილმა თავის წერილში „შენიშვნა ქართული ზმნის შესახებ (მ. ნასიძის წერილის გამო)“¹⁷⁹. ამ წერილში მ. ნასიძის მცდარი შეხედულებების კრიტიკასთან ერთად მოცემულია ასპექტის კატეგორიის საფუძვლიანი დახასიათება.

მ. ნასიძე უსაყვედურებდა ჩვენს გრამატიკოსებს ზმნის დროისა და სახის გაურჩევლობას. ი. გოგებაშვილი ნართებულად მიუთითებს, რომ ზმნის სრული და უსრული სახის საკითხი საკმაოდ გარკვევითაა წარმოდგენილი დ. ყიფიანის გრამატიკაში და ასეთი ფორმები მკვეთრადაა გამოიჯნული აგრეთვე ა. ცაგარლის შრომებში.

ი. გოგებაშვილის მიხედვით, სრული და უსრული სახის ზმნები ცალკე რაზმის ზმნებია, ე. ი. სრულიად განსხვავებული ზმნები კი არ არის, როგორც ამას მ. ნასიძე ფიქრობდა, არამედ ერთი და იმავე ზმნის განსხვავებული ფორმებია: თითოეული სახის ზმნას აქვს განსხვავებული ფორმები დროისა, სახელზმნისა, კილოსი და სხვ. მ. ნასიძის მიერ გამოყოფილ „უსრულესი“ სახის ზმნას ასეთი ფორმები არ გააჩნია. იგი დროის გამომხატველი ფორმაა და არა ზმნის სახისაო.

უსრული სახის ზმნას მომავლის დროში არა აქვს თავისი საკუთარი ფორმა და აწმდგომი ფორმისაგან (აწმყოსაგან) სესხულობს, ხოლო სრული სახისას არა აქვს აწმდგომი და წარსული უსრული დროებიო. წერს ი. გოგებაშვილი.

ი. გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ „ესწერდი, ვსწერე, მიწერია“ ერთმანეთისაგან სახის მიხედვით არ განსხვავდებიან. სამივე ფორმა უსრული სახის მოქმედებას გამოხატავს. სრული სახის გამოსახატავად ზმნას შესაბამისი თანდებული (ე. ი. პრევერბი) უნდა

¹⁷⁹ ეს წერილი „ივერიაში“ არ გამოქვეყნებულა. იგი დაწერილი ჩანს იმ დროს და მ. ნასიძის საგრამატიკო წერილების აშკარა პასუხს წარმოადგენს. წერილი დაიბეჭდა ი. გოგებაშვილის თხზულებათა II ტომში 1954 წ. (გვ. 125—135), დედანი დატულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ი. გოგებაშვილის პირადი არქივის ფონდი, № 6.

დაეფრთოთ. „მაშინ ყოველი უსრული ზმნის დრო გარდაიქცევა სრულის სახის ზმნის იმავე დროდ, გარდა აწმდგონის დროის და წარსულის უსრულისა, რომელთა ბუნება ეწინააღმდეგება სრულს სახესა“, — აღნიშნავს ი. გოგებაშვილი¹⁸⁰.

ი. გოგებაშვილს სავსებით მართებული შეხედულება აქვს ასპექტის კატეგორიის შესახებ. იგი სამართლიანად შენიშნავს, რომ სრული სახე ზმნისა არ ეგუება აწმეოსა და ნამეო უსრულს. დ. ყიფიანის გრამატიკაში პრაქტიკულად გადაქრილი საკითხი ასპექტისა ი. გოგებაშვილმა თეორიულად დაასაბუთა, ნათლად გაარკვია ასპექტის ხასიათი, სახეობები და წარმოება. მართებულად გაარკვია აგრეთვე ასპექტისა და დროის ფორმათა მიმართების საკითხები.

ასპექტის საკითხს გაკვრით ენება ს. ხუნდაძე ა. ქუთათელაძის გრამატიკის შესახებ დაწერილ რეცენზიაში. XIX საუკუნის ქართულ გრამატიკებში, მათ შორის ა. ქუთათელაძის გრამატიკაშიც, უღვლილების ფორმებში დასახელებული იყო:

ნამეო უსრული — ვსწერდი
ნამეო სრული — ვსწერე
ნამეო უსრულესი — მიწერია

ამასთან დაკავშირებით რეცენზიის ავტორი წერს: „სიტყვა სრული აქ იმას ნიშნავს (უთუოდ უნდა ნიშნავდეს), რომ მოქმედება შესრულებულა, გათავებულა, დამთავრებულა, ბოლომდის მისულა. ვსწერე კი რას ნიშნავს? ვსწერე იმას ნიშნავს, რომ წერა დავიწყე წარსულში, მაგრამ დაწყებული ბოლომდის არ მიმიყვანია: ვსწერე, ვსწერე—ვერ დავსწერე. მიწერია-საც იგივე მნიშვნელობა აქვს. ორივე ეს დრო (ვსწერე, მიწერია) უსრულია. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ერთი მოქმედება (მიწერია) უფრო ადრე მომხდარა, სანამ მეორე (ვსწერე). სრული სახე თავსართების საშუალებით კეთდება: და-ვსწერე, და-მიწერია და სხვ.“¹⁸¹

მაშასადამე, ს. ხუნდაძე განასხვავებს ზმნის სრულსა და უსრულ სახეს, სწორად ესმის მათი მნიშვნელობა და წარმოება: სრული სახე გამოხატავს დასრულებულ, გათავებულ, ბოლომდე მისულ მოქმედებას, უსრული—დაუმთავრებელ მოქმედებას აღნიშ-

¹⁸⁰ ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, II, თბილისი. 1954, გვ. 129.

¹⁸¹ ს. ხუნდაძე, ბიბლიოგრაფია (პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა ა. ქუთათელაძისა), „ივერია“, 1889, № 15, გვ. 2.

ნავს: სრული სახე თავსართების (ე. ი. პრევერბების) საშუალებით იწარმოება: დავწერე, დამიწერია და სხვ.

სრული და უსრული სახის საკითხი იმ დროისათვის უკვე გარკვეული იყო, მაგრამ ქართული ენის გრამატიკებში ეს ტერმინები („სრული“, „უსრული“) ტრადიციულად ნამყო დროის ფორმების აღსანიშნავად იხმარებოდა: ნამყო უსრული (ე. ი. ნამყო უწყვეტელი), ნამყო სრული (ე. ი. ნამყო წყვეტილი). თურმეობითის აღსანიშნავად იხმარებოდა „ნამყო უსრულესი“. ს. ხუნდაძე უმართებულოდ მიიჩნევს დროთა ასეთ სახელწოდებებს, რადგანაც „სრული“ მოქმედების დასრულებაზე მიუთითებს, ნამყო სრულისა და ნამყო უსრულესის (ნამყო წყვეტილისა და I თურმეობითის) ფორმები კი შეიძლება სრული სახისაც იყოს და უსრულისაც. ამ უხერხულობის ასაცილებლად ს. ხუნდაძე ნამყოს ფორმების აღსანიშნავად ნუმერაციას მიმართავს: ნამყო I (= ნამყო უწყვეტელს), ნამყო II (= ნამყო წყვეტილს) და ნამყო III (= I თურმეობითის)¹⁸². ამავე ტერმინებს იყენებდა ს. ხუნდაძე შემდგომშიც¹⁸³.

ამ წერილში ს. ხუნდაძე მართო ორი სახის ფორმებს ეხება. მის მიერ შედგენილ ქართული გრამატიკის ტერმინოლოგიაში¹⁸⁴, აგრეთვე მართლწერისა და გრამატიკის სახელმძღვანელოებში¹⁸⁵, ზმნის ოთხი სახეა აღნიშნული: სრული და უსრული სახის გარდა ერთგზისი და მრავალგზისი სახეცაა მოხსენებული. ეს ორი უკანასკნელი რუსული გრამატიკების მიხედვით უნდა იყოს შენოტანილი.

ზმნის ერთგზისი და მრავალგზისი სახე მოხსენებულია აგრეთვე პ. კარაიას წერილში¹⁸⁶ წარმოდგენილ უღვლილების ცხრილში (აღნიშნული ფორმები, ისევე როგორც ზმნის უღვლილების მთელი ცხრილი, პ. კვიციანიძის გრამატიკიდან მიმდინარეობს). ამავე წერილში „სიტყვათა წარმოების“ ელემენტებში დასახელებულია „პრეფიქსი“ გა, რომლითაც ზმნები გაუთავებელი სახისა გადაიქცე-

¹⁸² იქვე; იხ. აგრეთვე სილოვან [ს. ხუნდაძე], გიორგიძის ჩიქორთული, „კვალი“, 1894, № 35.

¹⁸³ ს. ხუნდაძე, სალიტერატურო ქართული, ქუთაისი, 1901; მისივე, ქართული გრამატიკა, ქუთაისი, 1904.

¹⁸⁴ ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია, ქუთაისი, 1887.

¹⁸⁵ ს. ხუნდაძე, სალიტერატურო ქართული; მისივე, ქართული გრამატიკა, 1904.

¹⁸⁶ პ. კარაია, მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან, „მოამბე“, 1895, №№ 11, 12; 1896, №№ 1, 2.

ვიან ზმნებად გამოთავე სახისა¹⁸⁷. მაგალითებად დასახელებულია: კეთება—გაკეთება, ხარება—გახარება.

პ. კვიციანიძის „საგრამატიკო თერმინოლოგიაში“¹⁸⁸, რომელიც უფრო გრამატიკის სქემას წარმოადგენს, ზმნის სამი სახეა აღნიშნული: გამოთავე, გაუთავებელი და ხშირობითი. ამავე ავტორის გრამატიკაში, რომელიც ერთი წლის შემდეგ გამოიცა, უკვე ზმნის ოთხი სახეა გამოყოფილი: გამოთავე, გაუთავებელი, ერთგზობითი და მრავალ-გზობითი. ხშირობითი სახის ნაცვლად ორი სახეა აღნიშნული. უღვლილებაში „ერთგზობითის“ (ნამყო წყვეტილის) საპირისპიროდ, „მრავალ-გზობითის“ (II ხოლმეობითის) ფორმაა გამოყოფილი, რაც სავსებით შეესატყვისება ბოლშეობითის ფორმებს¹⁸⁹.

კ. დოდაშვილი ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა: „ქართული ზმნებისთვის სრული სახის მიმცემნი და ანასთან ზმნის ფორმების გამართულბელნი იქნებიან შემდეგი ელემენტები...“¹⁹⁰ ჩამოთვლილია პრევერბები: გა, და, ჩა, მო, აღ. წა... და სხვ. წერილში ავტორი ამ „ელემენტების“ (ე. ი. პრევერბების) მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას. ამ თვალსაზრისითაა განხილული პრევერბები, რომელთაც ზმნის სრული სახის გამოხატვაც ეცისრება. ასპექტის (ზმნის სახის) საკითხზე ავტორი არ ჩერდება და მის დახასიათებას არ იძლევა; მაგრამ მოყვანილი ამონაწერიც მოწმობს, რომ კ. დოდაშვილი სწორად ერკვევა ასპექტის საკითხში, მის ხასიათსა და წარმოებაში, განარჩევს სრულსა და უსრულ სახეს და ამ უკანასკნელის მაწარმოებლად პრევერბები მიაჩნია.

როგორც ეხედავთ, ზმნის სრული და უსრული სახე (ასპექტი) დაახლოებით ერთნაირად არის განსაზღვრული: სრული სახე დასრულებულ მოქმედებას გამოხატავს, უსრული—დაუსრულებელს, დაუმთავრებელს. ასპექტის წარმოების შესახებ, მ. ნასიძის გარდა, ყველა ავტორი ერთი შეხედულებისაა: სრული ასპექტის ფორმები პრევერბების მეშვეობით იწარმოება. აქედან ჩანს, რომ სრული და უსრული ასპექტის ხასიათი და წარმოება სწორად ესმოდათ, მაგრამ ეს საკითხი საფუძვლიანად არ შეუსწავლიათ. ასპექტის წარ-

¹⁸⁷ პ. კარაია, ნეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან, „მოაზებ“, 1896, № 1, გვ. 50.

¹⁸⁸ „დროება“, 1887, № 187, გვ. 2—3.

¹⁸⁹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. თბილისი, 1953, გვ. 214.

¹⁹⁰ კ. დოდაშვილი. საგრამატიკო კვლევა, „კვალი“, 1894, № 48, გვ. 11.

ნოებზე მსჯელობისას არ გაუთვალისწინებიათ უასპექტო ზმნები, არც ის ფაქტი, რომ ზოგიერთ ზმნაში პრევერბის დართვა არ იწვევს ცვლილებას ასპექტის გამოხატვის თვალსაზრისით. არ გაუთვალისწინებიათ ისეთი ზმნებიც, რომლებიც პრევერბის დართვის გარეშეც სრული ასპექტის გაგებას შეიცავენ (ნახა, თქვა და მისთ.).

ქართულში ხოლმეობითის ფორმების გამოცხადება ასპექტის ფორმებად რუსულის გავლენას უნდა მიეწეროს. რუსულში ასპექტი მეტად მკაფიოადაა გამოხატული, მაგრამ იმდროინდელ რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაში ზმნის ამ კატეგორიის შესახებ აზრთა სხვაობა იყო. ავტორები ვერ შეთანხმებულყვნენ სახეთა რაოდენობის, ფორმებისა და წარმოების საკითხებში¹⁹¹.

ოთხმოციანი წლების რუსული გრამატიკის სახელმძღვანელოებში ზმნის უსრული და სრული სახის გვერდით აღინიშნებოდა ერთგზისი (Однократный) და მრავალგზისი (многократный) სახეები. კ. გოვოროვის გრამატიკაში, რომელიც ერთ-ერთ სახელმძღვანელოდ იხმარებოდა რუსულ სკოლებში, ზმნის ოთხი სახეა აღნიშნული: სრული, უსრული, ერთგზისი და მრავალგზისი¹⁹² (უსრული სახის ფორმებისაგან გამოყოფილია მრავალგზისი, სრული სახისაგან—ერთგზისი). ზმნის ერთგზისი და მრავალგზისი სახეები მოხსენებულია აგრეთვე ნ. ბუნაკოვის გრამატიკაშიც¹⁹³. ჩანს, ამ სახეთა შესაბამისად ქართულშიც ცალკე ფორმები (II ხოლმეობითი და ნამყო წყვეტილი) გამოუყვიათ.

ქცევის ფორმები

ქცევა ქართული ზმნის ერთ-ერთი თავისებური და ძირითადი კატეგორიაა. ქართულ გრამატიკებში იგი დიდხანს არ იყო შენიშნული და შეფასებული. ამის მიზეზს გრამატიკული ტრადიციის დაცვა წარმოადგენდა. კლასიკურ ენათა გრამატიკულ წყობაში ქცევის კატეგორია, არ არის და ამდენად მათი გრამატიკა ბიძგს არ იძ-

¹⁹¹ В. В. Виноградов, Русский язык, М.—Л., 1947, гл. 477—537.

¹⁹² К. Говоров, Элементарная грамматика, курс I, II, М., 1873. გვ. 66.

¹⁹³ Н. Бунаков, Концентрический учебник русской грамматики, курс III, С.-Пб., 1877. гл. 124—125.

ლეოდა, რათა ზოგიერთ ძველ ავტორს იგი ქართულში შეენიშნა და დაეხასიათებინა¹⁹⁴.

ქცევის ფორმები შენიშნული და აღწერილი იყო პლ. იოსელიანის გრამატიკაში (ქცევის შინაარსის აღსანიშნავად ტერმინი „მიჩემებითი“ იხმარებოდა). მას შემდეგ სხვა გრამატიკებშიც ეთმობა ადგილი ქცევის ფორმებს, მაგრამ არ იყო გამორკვეული, თუ რა ურთიერთობაა „მიჩემებითსა“ და მიუჩემებელ ფორმებს შორის და რას წარმოადგენს არსებითად მიჩემებითი ფორმები¹⁹⁵.

დ. ჩუბინაშვილი გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ სტატიაში ზმნის პრეფიქსებთან დაკავშირებით გაკვრით ეხება ქცევის ნიშნებს და აღნიშნავს მათ მნიშვნელობას. ამ სტატიაში სათავისო და სასხვისო ქცევის ნიშნები, ისევე როგორც პირის ნიშნები, გამოყოფილია. ავტორი წერს: ვიშენებ — ნიშნავს, რომ „შენეზას აღვასრულებ ჩემთვის, ჩემ სასარგებლოდ“. ვუშენებ — „სასარგებლოდ ვისთვისმე ვაშენებ“¹⁹⁶. ამაზე მეტი არაფერია თქმული. ამ ფორმების შინაარსი სწორადაა გაგებულნი, მაგრამ მათი გრამატიკული კვალიფიკაცია არაა მოცემული. დ. ჩუბინაშვილის გრამატიკაში „მიჩემებითი“ ფორმები უფრო გარკვევითაა წარმოდგენილი და დახასიათებული.

3. ქ ა რ ა ი ა ს წეროლში¹⁹⁷: „მიჩემებითი“ ფორმები ამ სახითაა წარმოდგენილი:

ვიკეთებ

იკეთებ

იკეთებს

მიკეთებ

მიკეთებს

გიკეთებ

გიკეთებს

უკეთებ

უკეთებ

უკეთებს

როგორც ვხედავთ, სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმები გარჩეულია. ამასთანავე სასხვისო ქცევის ფორმებში პირთა კომბინაციებიცაა გათვალისწინებული. „სასხვისო ქცევის ფორმები ობიექტურ პირთა მიხედვითაა დალაგებული.

¹⁹⁴ ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954, გვ. 245.

¹⁹⁵ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953, გვ. 365.

¹⁹⁶ დ. ჩუბინაშვილი [დ. ჩუბინაშვილი], ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ქანეთის მკვიდრთა მოსახლეთა, „ივერია“, 1877, № 17, გვ. 11.

¹⁹⁷ პ. ქარაიას, მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან, „მოამბე“, 1896, № 1.

პ. ჭარაიას მიზნად არა ჰქონია ზმნის ფორმათა დაწვრილ-
ბითი ანალიზის მოცემა. ზმნის განხილვისას იგი ნაკლებად ეხება
თეორიულ საკითხებს და მხოლოდ ქართულისა და მეგრულის ფორ-
მების შედარებით იფარგლება. ამიტომ „მინემებითი“ ფორმების
თეორიული მხარე გაშუქებული არ არის, მაგრამ ფორმები სწო-
რადაა წარმოდგენილი.

ქცევის ფორმები განხილულია კ. დოდაშვილის წერი-
ლებში¹⁹⁸. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ბრძანებითი დახრის ძირი-
თად პრეფიქსებად კ. დოდაშვილი ჰ, ა და ი-ის გამოყოფდა. ავტო-
რი იძლევა ამ პრეფიქსიანი ფორმების დახასიათებას: ვაწერ აღნიშ-
ნავს მოქმედების გადასვლას სხვა ნივთზე; ვიწერ ნიშნავს, რომელი
პირის სასარგებლოდ წარმოებს მოქმედება; ვჰწერ გაპოხატავს სა-
ერთო მოქმედებას. როგორც ჩანს, ავტორი აღნიშნულ პრეფიქ-
სებს გარკვეული ფუნქციების მატარებლად მიიჩნევს.

პირის პრეფიქსების ყოფიანისეულ გაგებასთან დაკავშირებით
კ. დოდაშვილი გარკვეულ შენიშვნებს წარმოადგენს. იგი წერს:
„პრეფიქსი ვუ არ ჩაითვლება მკვიდრ პრეფიქსად, რადგანაც
სხვა საკუთარ აზრს არ აძლევს ზმნას, ხოლო იმავე მნიშვნელო-
ბით იხმარება, რა მნიშვნელობითაც იხმარება მკვიდრი პრეფიქსი
ვი“¹⁹⁹. ამის დასამტკიცებლად იგი ასეთი ფორმების შედარებას
მიმართავს:

ვჰწერ	გჰწერ	ვჰწერ
ვიწერ	გიწერ	ვუწერ

კ. დოდაშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ „ვუ“ (resp.
უ). პრეფიქსი არ არის ცალკე განსაკუთრებული ფუნქციის მატა-
რებელი. იგი მხოლოდ მესამე პირის ფორმებში ვლინდება. ეს
პრეფიქსი იმავე რიგისადაა მიჩნეული, როგორისაც არის ი- პრე-
ფიქსი „ვიწერ“ და „გიწერ“ ფორმებში. კ. დოდაშვილი დასახელე-
ბულ მაგალითებში სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმებს (ვი-
წერ, ერთი მხრით, და ვიწერ, ვუწერ, მეორე მხრით) ერთ სი-
ბრტყეზე განიხილავს, მაგრამ პრეფიქსთა სქემებში საარვისო, სა-
თავისო და სასხვისო ქცევის ფორმები გარკვევითაა დაპირისპი-

¹⁹⁸ ამ წერილებში წარმოდგენილი მსჯელობა ქცევის შესახებ გათვალის-
წინებული და შეფასებულია ივ. ჭავჭავაძის გამოკვლევაში: ზმნის ძირითადი
კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954, გვ. 247.

¹⁹⁹ კ. დოდაშვილი, საგრამატიკო ესკიზი, „ივერია“, 1887, № 216,
გვ. 3.

რებული: სუბიექტურ უღვლილებაში წარმოდგენილია საარვისო და სათავისო ქცევის ფორმები და ამ უკანასკნელის საპირისპიროდ მიმართულების (მიმართების—ნ. ა.) შემთხვევაში ობიექტურ უღვლილებაში სასხვისო ქცევის ფორმებია მოცემული (მიწერ, მიწერს; გიწერ, გიწერს; ვუწერ, უწერ, უწერს).

საყურადღებოა, რომ კ. დოდაშვილი ა- პრეფიქსს ცალკე გამოყოფს და მას ო- ქცევის ნიშანს უპირისპირებს. მიუხედავად იმისა, რომ უღვლილების ცხრილში სწორად არის მოცემული და დაპირისპირებული სასუბიექტო და საობიექტო ქცევის ფორმები, ავტორმა სათანადო სიცხადით ვერ გააშუქა ამ ფორმათა ურთიერთმიმართების საკითხი: არ არის გათვალისწინებული არსებითი მხარე—კუთვნილებითი ურთიერთობა (ობიექტისა—სუბიექტთან და ობიექტთან). სხვაობა სასუბიექტო და საობიექტო ქცევის ფორმებს შორის მხოლოდ პირის მიმართების ასპექტშია განხილული. „ვიწერ“—მიუპართავ ფორმად მიაჩნია კ. დოდაშვილს და მიმართულების (ე. ო. მიმართების) შემთხვევაში მას „მიწერ“ ფორმას უპირისპირებს.

ამრიგად ირკვევა, რომ ქცევის ფორმები შენიშნულია და გარჩეული. პ. ჯარაიას და დ. ჩუბინაშვილის წერილებში სასუბიექტო და საობიექტო ქცევის ფორმებია დაპირისპირებული. კ. დოდაშვილი ამ ფორმებთან ერთად საარვისო ქცევის ფორმებსაც ითვალისწინებს და უპირისპირებს მათ. მაგრამ საკითხის თეორიული მხარე საკმარისად არაა გაშუქებული და ფორმათა მიმართების საკითხიც სათანადოდ ახსნილი არაა.

ქცევის კატეგორიის რაობა შემდგომში გაირკვა. სპეციალურ გამოკვლევაში²⁰⁰ თავდაპირველად ქცევის ხუთი ფორმა იყო გამოყოფილი. ეს ფორმები საბოლოოდ სამ ფორმაზე იქნა დაყვანილი²⁰¹. ეს უკანასკნელი გაგება ამჟამად საბოლოოდ დამკვიდრებულია საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

XIX საუკუნის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ქართული ზმნის აგებულების საკითხების ასე ფართოდ განხილვა საერთოდ ქართული ენის შესწავლისადმი ინტერესის დიდი გაცხოველების შედეგი იყო. ბევრ შემთხვევაში ზმნის ფორმათა კვლევის საქიროე-

²⁰⁰ ა. შანიძე, ქართული ზმნის საქცევი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1926.

²⁰¹ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, მორფოლოგია, ტფილისი, 1930.

ბას მართლწერის ამოცანები განსაზღვრავს: მართებული ფორმების დადგენა მხოლოდ გრამატიკული საკითხების კვლევის საფუძველზე ხდება შესაძლებელი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ზმნის თავისებურებებს: პირთა მიმართებას, სუბიექტურ და ობიექტურ წყობას, მრავალპირიანობას. ამ მხრივ გამოირჩევა კ. დოდაშვილის წერილები. ყურადღებას იქცევს ზმნასთან დაკავშირებული ზოგიერთი მოვლენის შეჩჩნევა და ფაქტობრივი მასალის აღწერა-გადმოცემა, თუმცა თეორიული მსჯელობა და განზოგადება ხშირ შემთხვევაში არ ჩანს.

ქართული ენის შემდგომმა მეცნიერულმა კვლევამ დაადასტურა და გაამართლა, ამასთან, საბოლოოდ დააზუსტა და მეცნიერულად დაასაბუთა XIX საუკუნის ეურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოთქმული ზოგი მოსაზრება და დებულება, მაგრამ ამასთან ერთად საბოლოოდ უკუაგდო კიდევ უფრო მეტი დაუსაბუთებელი და ზოგჯერ პრიმიტიული მტკიცება. ამ რიგის მოსაზრებათა შემცველ ბევრ წერილს ამჟამად მხოლოდ ისტორიული ინტერესი ახლავს.

V სინტაქსის საკითხები

სინტაქსის საკითხებზე XIX საუკუნის ქართულ პრესაში მხოლოდ მცირეოდენი შენიშვნები გვხვდება. ეს შენიშვნები უმთავრესად ქართული ენის გრამატიკათა შესახებ გამოქვეყნებულ რეცენზიებშია გამოთქმული. სპეციალური წერილები სინტაქსის ცალკეული საკითხების შესახებ არ გამოქვეყნებულა. იმ პერიოდში უმთავრესად მორფოლოგიაზე (სახელთა ბრუნებასა და ზმნის უღვლილებაზე) ამახვილებდნენ ყურადღებას და ამის მიხედვით ცდილობდნენ მიეკვლიათ ქართული ენის თავისებურებებისათვის. ქართული ენის სინტაქსური თავისებურებები მხედველობის გარეშე რჩებოდა.

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში გამოცემული ქართული ენის გრამატიკები სინტაქსის მხრივ არსებითად განსხვავდება ანტონის გრამატიკისაგან. ანტონის გრამატიკაში სინტაქსის ობიექტად შესიტყვებაა მიჩნეული და ამასთან დაკავშირებით განხილულია სიტყვათა სინტაქსური ურთიერთობები, წინადადება და მისი წევრები კვლევის გარეშე რჩებოდა²⁰². მეცხრამეტე საუკუნის ქართულ გრამატიკებში სინტაქსის ობიექტი უკვე წინადადება და მისი წევრები ხდება. ამ ხანებში ქართული ენის გრამატიკებში დამკვიდრებულია ლოგიკიდან შემოსული ცნებები: ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება. მათი გაგება არსებითად ლოგიკისტურია²⁰³. წინადადება მსჯელობად (ან აზრად) არის გამოცხადებული, ქვემდებარე—მსჯელობის საგნად.

²⁰² არნ. ჩიქობავა, რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? IV, „კულტურული აღმშენებლობა“, 1930, № 5; მ. მაჭავარიანი, XIX ს. ქართველ გრამატიკოსთა შეხედულებანი სინტაქსზე ანტონ პირველის შეხედულებებთან შეპირისპირებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წ. III, 1948.

²⁰³ არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, ტფილისი, 1928; მისივე, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 288—209; მისივე, ზოგადი ენათმეცნიერება, II, ძირითადი პრობლემები, თბილისი, 1945.

წინადადების ლოგიკისტური გაგება დავას არ იწვევდა ქართულ პრესაში, მაგრამ ქვემდებარის ლოგიკისტურად განსაზღვრის უპერხულობას მაინც გრძნობდნენ. სწორედ ამ საკითხებს ეხებდა რეცენზიები, რომლებიც თ. ჟორდანიასა და ა. ქუთათელაძის გრამატიკის წესახებ გამოქვეყნდა.

თ. ჟორდანიას განმარტებით „თვით საგანი, რომელზედაც ესჯით ანუ მოვუთხრობთ, იწოდება ქვემდებარედ“²⁰⁴. ამის შესახებ განეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ რეცენზიაში მ. ნასიძე შენიშნავს: „განა «თვით საგანია» ქვემდებარე? განა გრამმატიკას «თვით საგნებთანა» აქვს საქმე, თუ სიტყვებთან? «თვით საგნებს» ბუნების მეცნიერება იკვლევს და სწავლობს და არა გრამმატიკა, რომლის საგანს ენა, სიტყვა და მისი ფორმები შეადგენენ“²⁰⁵. რეცენზენტი არ იძლევა ქვემდებარის საკუთარ განსაზღვრას. შენიშნიდან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ, რეცენზენტის აზრით, ქვემდებარე არის სიტყვა და არა საგანი.

ამავე რეცენზიაში ავტორი წინადადების ზოგიერთი სახეობის საკითხსაც ეხება.

თ. ჟორდანიას მიხედვით, გაერთებული (ე. ი. შერწყმული) წინადადება ისეთი წინადადებაა, რომელშიც ორი ან მეტი ქვემდებარეა და ერთი შემასმენელი, ან პირიქით. მ. ნასიძეს არ აკმაყოფილებს ამგვარი განმარტება და ასახელებს გაერთებული წინადადების სხვაგვარ შემთხვევებს, მაგალითად, ასეთს: „ერთმა ბრძენმა დასწერა გრამმატიკა და ისტორია“. ეს წინადადება გაერთებულია, აღნიშნავს მ. ნასიძე, — თუმცა აქ ერთი ქვემდებარეა და ერთი შემასმენელი. „ვანომ და ნიკომ ითამაშეს და ისწავლეს“ — ესეც გაერთებული წინადადებაა, თუმცა ორი ქვემდებარე და ორი შემასმენელია. მაშასადამე, მართო ქვემდებარისა და შემასმენლის რაოდენობით არ განისაზღვრება გაერთებული წინადადება. რეცენზენტი ითვალისწინებს, რომ შესაძლებელია ერთი ქვემდებარე და ერთი შემასმენელი გვქონდეს, მაგრამ ახვა ერთნაირი წევრების მიხედვით (მხედველობაშია ერთნაირი დამატებები) წინადადება მაინც გაერთებული იყოს. მეორე შენიშვნევაშიც გაერთებული (ე. ი. შერწყმული) წინადადების მარჯვე მაგალითი მოჰყავს რეცენზენტს. ორი ქვემდებარე ორივე შენიშნულს უკავშირდება. მ. ნასიძის შენიშვნები მართებულია,

²⁰⁴ თ. ჟორდანიას, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1889, გვ. 33.

²⁰⁵ პაატა [მ. ნასიძე], ქართული გრამმატიკა თხზული და გამოცემული თ. ჟორდანიასაგან, „ივერია“, 1893, № 53, გვ. 3.

თუმცა რეცენზენტი მხოლოდ მაგალითების დამოწმებით კმაყოფილდება და შერწყმული წინადადების განსაზღვრას და დახასიათებას არ იძლევა. რეცენზენტი შენიშნავს აგრეთვე, რომ თ. ჟორდანიას გრამატიკაში არაა გათვალისწინებული რთული შეკავშირებული წინადადების მაგალითები, „ეტყობა ავტორს ყურადღება არ მიუქცევია, რომ არიან წინადადებანი ეგრედ წოდებული составные по способу сочинения“, — წერს იგი. როგორც ჩანს, შესაფერი ტერმინი რეცენზიის ავტორს ვერ მოუქებნია.

მეორე რეცენზენტი მიხ. ზაალიშვილი ა. ქუთათელაძეს ეკამათება იმავე ქვემდებარის განსაზღვრის შესახებ. ა. ქუთათელაძის განსაზღვრით, „ქვემდებარე არის საგანი, რომელზედაც არის ლაპარაკი წინადადებაში“²⁰⁶. რეცენზიამ²⁰⁷ დაუაა იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ქვემდებარედ „საგანი“ გამოვაცადოთ. მ. ზაალიშვილი ასე მსჯელობს: რადგანაც ქვემდებარე შეიძლება საგანი არ იყოს (მაგ., „ვაი მოისმის“, „მთელი ნახევარზე მეტია“ და სხვ.), ამიტომ ა. ქუთათელაძის განსაზღვრა არაა ზუსტიო. ამის ნაცვლად ავტორი ასეთ განსაზღვრას გვთავაზობს: „ქვემდებარე არის ის, რაზეც ლაპარაკია წინადადებაში“.

შენიშვნა პრინციპული ხასიათის არაა. რეცენზენტი ქვემდებარის გაგებაში არსებითად იმავე თვალსაზრისზე დგას, რომელიც გრამატიკის ავტორს აქვს. რეცენზენტის მიხედვით, სავსებით დასაშვებია, რომ ქვემდებარე საგანს აღნიშნავდეს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ქვემდებარე სავანს არ განიხატავს. მ. ზაალიშვილი უფრო ზოგად ფორმულირებას იძლევა და არ მიუთითებს, თუ რას გამოხატავს კონკრეტულად ქვემდებარე. ა. ქუთათელაძემ, როგორც ჩანს, მიიღო რეცენზენტის შენიშვნა, მისი გრამატიკის შემდეგ გამოცემებში ქვემდებარის ასეთი განსაზღვრაა წარმოდგენილი: „ქვემდებარე არის ის, რაზედაც ლაპარაკია წინადადებაში“²⁰⁸.

როგორც ხედავთ, ქვემდებარე ერთნაირადაა განსაზღვრული გრამატიკის ავტორთა და რეცენზენტების მიერ. ქვემდებარის ეს განსაზღვრა ლოგიკისტურია. რეცენზენტები ცდილობენ ქვემდებარის განსაზღვრის გარეგნულ მხარეში მაინც დაიცვან გრამატი-

²⁰⁶ ა. ქუთათელაძე, პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1889.

²⁰⁷ მიხ. ზაალიშვილი, საბიბლიოგრაფიო შენიშვნა, „ივერია“, 1890, № 126, გვ. 1.

²⁰⁸ ა. ქუთათელაძე, პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა, გამოცემა, III, ტფილისი, 1894, გვ. 11.

კის გეზი და თავი დააღწიონ წინააღმდეგობას. მ. ნასიძე სამარ-
თლიანად მიუთითებს, რომ საგანი არ შეიძლება იყოს გრამატი-
კის შესასწავლი ობიექტი, და ამიტომ ქვემდებარის გამოცხადება
საგნად დაუშვებლად მიაჩნია. ასე რომ, რეცენზიებში ქვემდებარის
ლოგიკისტური გაგება უფრო შერბილებული სახითაა წარმოდგე-
ნილი.

ყურნალ-გაზეთებში წინადადების სხვა წევრების შესახებაც
გვხვდება ზოგიერთი შენიშვნა.

ა. ქუთათელაძის გრამატიკის მიხედვით, დამატება არის
სიტყვა, რომელიც წინადადებაში მარტო შემასმენელს განეკუთვნე-
ბა და უპასუხებს კითხვებზე: ვინ? რა? ვისი? რისი? რას? ვისით?
რით? რად? დამატების ასეთი განმარტება არაა გაზიარებული
ს. ხუნდაძისა და მ. ზაალიშვილის რეცენზიებში.

ს. ხუნდაძის აზრით, ნათესაობით ბრუნვაში დასმული
სახელი წინადადებაში მხოლოდ განსაზღვრების ფუნქციით იხმა-
რება. ამიტომ კითხვები ვისი? რისი? რომელზეც ნათესაობითი
ბრუნვა უპასუხებს, არ შეიძლება დამატების კითხვებად ჩავთვა-
ლოთ²⁰⁹.

ა. ქუთათელაძის მეორე რეცენზენტი მიხ. ზაალიშვილიც
არ დაკმაყოფილდა დამატების ქუთათელაძისეული განსაზღვრით. იგი
აღნიშნავს, რომ ამხსნელი სიტყვა შესაძლოა შემასმენელს უკავ-
შირდებოდეს, მაგრამ მაინც არ იყოს დამატება. მაგ., „მტრელი
მშვიდი ფრინველია, ვარდი მშვენიერი ყვავილია“. როგორც
ვხედავთ, ავტორს შედგენილი შემასმენელი აქვს მხედველობაში.
ამით ავტორს იმის თქმა უნდა, რომ მარტო ის პირობა, რომ
ამხსნელი სიტყვა შემასმენელს უკავშირდება, არაა საკმარისი იმი-
სათვის, რომ ეს სიტყვა დამატებად მივიჩნიოთ; დამატება მოქმე-
დების აღმნიშვნელ სიტყვას, ზმნას, უკავშირდება: „დამატება არის
ისეთი ამხსნელი სიტყვა, რომელიც წინადადებაში მარტო მოქმე-
დებას (ზმნას) ეკუთვნის და მიუგებს ავტორისაგან (ე. ი. ა. ქუთათ-
ელაძისაგან—ნ.ა.) ჩამოთვლილ საკითხავებზე. მაგალითად, ზღვა
კოვზით დაიღვეა, ძალა აღწასათსა ხნავს და სხვ.“²¹⁰.

რეცენზენტი მაინც არსებით მხარეზე ამხსვილებს ყურადღე-
ბას, გახაზავს, რომ დამატება ზმნას უკავშირდება, მაგრამ მის

²⁰⁹ ს. ხუნდაძე, ბიბლიოგრაფია (პირველ-დაწყებითი ქართული გრამმა-
ტიკა შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან), „ივერია“, 1889, № 12.

²¹⁰ მიხ. ზაალიშვილი, საბიბლიოგრაფიო შენიშვნა, „ივერია“, 1890,
№ 126.

ზუსტ და ამომწურავ განსაზღვრას ვერ ახერხებს, კერძოდ, არა აქვს გათვალისწინებული დამატების სახეები.

ერთ-ერთ სინტაქსურ საკითხს (ქვემდებარესთან შემასმენლის შეთანხმებას) ეხება ი. გოგებაშვილის წერილი, რომელშიც რაფ. ერისთავის ლექსების კრებულია განიხილული. ი. გოგებაშვილს გრამატიკის კანონის ერთ-ერთ დარღვევად მიაჩნია ქვემდებარესთან შემასმენლის რიცხვში შეუთანხმებლობა. იგი წერს: „ქართულს ენაში შესმენილი ხშირად მხოლოდობით რიცხვზედ ბოლოვდება, როდესაც ქვემდებარე მრავლობითის რიცხვისაა, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც ქვემდებარე ნიშნავს უსულო საგანს. მაგალითად, ვამბობთ: ხეები აწყვია და არა აწყვიან... ნაგრამ თუ ქვემდებარე სულიერ საგანსა ნიშნავს, მაშინ კი სრული გრამატიკული თანხრობა უნდა იყოს მის და შესმენილს შუა, და თუ პირველი მრავლობითის რიცხვისაა, მეორეც ამ რიცხვზედ უნდა იყოს დაბოლოებული. მაგალითად, არ შეიძლება ვსთქვათ: კაცები მოდის, ფრინველები ფრინავს, ძროხები ბლავის, უნდა ითქვას: კაცები მოდიან, ფრინველები ფრინავენ, ძროხები ბლავიან“²¹¹. როგორც ვხედავთ, ი. გოგებაშვილს სავსებით მართებულად ესმოდა ქვემდებარესთან შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხი.

პრესაში გაჩაღებული პოლემიკის დროს, რომელიც მართლწერის საკითხებს ეხებოდა, სხვათა შორის სიტყვათა რიგის საკითხიც წამოიჭრა. კერძოდ, წინადადებაში შემასმენლის ადგილის საკითხი დადგა.

ამ საკითხს პირველად აკაკი წერეთელი შეეხო ეურნალ „კვალში“. მისი შეხედულებით შემასმენელი წინადადების ბოლოში უნდა დაისვას, რადგან ქართული ენის მობოცინილებით წინადადება შემასმენლით უნდა თავდებოდეს: „ქართული ენის თვისებაა, რომ ფრაზა შესმენილით დაბოლოვდეს ხოლმე და არა ქვემდებარით“²¹².

წინადადებაში სიტყვათა რიგის საკითხს უფრო ვრცლად შეეხო ი. გოგებაშვილი აკაკის საპასუხო წერილში. მისი აზრით, შემასმენლით ბოლოვდება მხოლოდ მარტვი და მოკლე ფრაზები, გრძელს, ვრცელ ფრაზებში კი შემასმენელს შუა ადგილი უჭირავს

²¹¹ ი. ს. [ი. გოგებაშვილი], ახალი წიგნები, „ივერია“, 1881, № 12, გვ. 162.

²¹² აკაკი, „არ ცოდნა, არა ცოდვა“, „კვალი“, 1894, № 30, გვ. 3.

და არა ბოლო, და ამას ავტორი ჩვენი ენის დიდ ღირსებად თვლის. ავტორი თავისებურად ასაბუთებს ამას და გამოთქვამს თავის შეხედულებებს წინადადების წევრთა შესახებ: „წინადადებაში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს შესმენილს, რომელიც ამ მხრივ სჭარბობს თვით ქვემდებარესაცა. შესმენილი ხშირად მარტოდ მარტო აღგენს წინადადებას, ქვემდებარეს-კი ეს არ შეუძლიან. ამის გამო რამდენიც უფრო ზევით არის მოქცეული შესმენილი წინადადებაში, იმდენი უფრო ადრე იგებ აზრსა, რამდენიც ქვემოღ, იმდენი უფრო მეტს ხანს რჩება თქვენი გონება განუსაზღვრელს მდგომარეობაში“²¹³.

ავტორი კონკრეტული მაგალითების ჩვენებით მიუთითებს, თუ წინადადების როგორი წყობაა მართებული ქართული ენისათვის: „აკაკიმ, სახელოვანმა პოეტმა საქართველოსამ, დასწერა მოკლე ხნის განმავლობაში პოემა, საესე მალალი აზრით და გრძობითა“. ი. გოგებაშვილის შეხედულება წინადადებაში სიტყვათა რიგის შესახებ ასეთია: „პირველი ადგილი უჭირავს ქვემდებარეს, რომელსაც მისდევნ მხლებელი სიტყვები, მეორე ადგილას ვხედავთ შესმენილს თავისი გასამზღვრელებით და მესამე ადგილი დათმობილი აქვს შემავსებელს შესმენილისას, რომელსაც თან ახლავს თავისი განმარტებითი სიტყვები“²¹⁴. ავტორის აზრით, აღნიშნული წინადადება წმინდა ქართული აგებულებისაა და „სტილის ფილოსოფაის“ მიხედვით სიტყვები იდეალური წესითა და რიგითაა დალაგებული.

ი. გოგებაშვილი არ იზიარებს აკაკის შეხედულებას იმის შესახებ, რომ წინადადების დამთავრება შემასმენლით კეთილხმოვანების მოთხოვნილებით აიხსნება. „მოკლე წინადადებაში ქართველები შესმენილს ბოლოში ვაძლევთ ადგილს არა კეთილხმოვანებისათვის, არამედ ენის ბუნების მოთხოვნილებითო“, — დაასკვნის იგი.

ამგვარად, ი. გოგებაშვილის შეხედულებით, ვრცელ წინადადებაში აზრის სწრაფი გაგებინებისა და სტილისტიკური მოთხოვნილებით შემასმენელს შუა ადგილი უნდა ექიროს, მოკლე წინადადებაში კი მას ბოლო ადგილი ეთმობა.

იმდროინდელი ქართული გრამატიკების სინტაქსური ნაწილი ლოგიცისტურად იყო აგებული. ეს ნათლად ვლინდებოდა წინადა-

²¹³ ი. სიმონიძე [ი. გოგებაშვილი], პასუხად ბ-ნს აკაკის, „ივერია“, 1894, № 171, გვ. 4.

²¹⁴ იქვე.

დებისა და მისი წევრების განსაზღვრაში. არსებითი ხასიათისა არც პრესაში გამოქვეყნებულ რეცენზიებში წარმოდგენილი შესწორებები იყო. ავტორები გარეგნულად თითქო უფრო დახვეწილ განმარტებას იძლეოდნენ, მაგრამ ქვემდებარის გაგება მაინც ლოგიკისტური რჩებოდა. *

სინტაქსის თეორიული საკითხების საფუძვლიანი დამუშავების მოთხოვნილება ჯერ კიდევ არ იგრძნობოდა. სინტაქსის საკითხები სასკოლო-პრაქტიკულ საჭიროებათა მიხედვით წყდებოდა.

სამიგებლები

I. პირთა სამიგებელი

ანტონ I 7—11, 13—15, 25, 42, 45,
68, 81, 95
ბაკრაძე დ. 11, 12
ბერიძე ვუკ. 53
ბროსე მ. 44
ბუნაკოვი ნ. (Бунаков Н.) 90
გაიოზი მ. 18
გიგინეიშვილი ივ. 10
გოგებაშვილი ი. 6, 18, 20—22, 26,
29—32, 42—44, 46—48, 56, 86, 87,
99, 100
გოვოროვი კ. (Говоров К.) 90
ლოდაშვილი კ. 6, 33—37, 41—44, 51—
53, 58—63, 65—67, 69—71, 73—78,
81—84, 89, 92—94
დოდაშვილი ს. 8, 11, 25, 45
დონდუა კ. (Дондуа К.) 62
ერისთავი რ. 17, 99
ერისთავი ვარლამ მ.
ვინოგრადოვი ვ. (Виноградов В. В.) 90
ჯალიშვილი მ. 97, 98
თოფურია ვ. 36, 38, 42, 62, 67
იოსელიანი პლ. 8, 11, 25, 43, 45, 47, 66
ქარიკაშვილი დ. 5, 17, 18, 22, 53
ჟიქელიძე კ. 51
კვიციანიძე პ. 5, 55, 79—81, 88, 89
ჭარი ნ. (Март Н.) 40, 53, 61, 68, 82
მარტიროსოვი ა. 48
მაკეფარიანი მ. 95
მთვარელიშვილი ნ. 18
მირიანაშვილი პ. 61
ნასიძე მ. 18—21, 25—31, 42—47, 56,
71—73, 81, 82, 84—86, 89, 96, 98
ორბელიანი ა. 10, 11
ორბელიანი გრ. 53
შორდანია თ. 43, 77, 81, 96

უმიკაშვილი პ. 18
უშინსკი კ. 21
ფირალოვი გ. 8, 45
ფურცელაძე ანტ. 12, 13
ძავთარაძე ივ. 21, 91, 92
ქართველიშვილი ი. 8
ქუთათელაძე ა. 77, 81, 87, 96—98
ლლონტი შ. 18
ჭიფიანი დავ. 14—17
ყიფიანი დიმ. 5, 10, 18, 25—27, 31, 41,
45, 47, 50, 53, 54, 59—61, 84, 85
ყიფშიძე ი. (Кипшидзе И.) 38
შანიძე ა. 42, 50, 68, 70, 85, 91, 93
შანშოვანი ხ. 45
შარაძენიძე თ. 55
ჩიქობავა არნ. 7, 10, 13, 14, 23, 28, 37,
38, 44, 53, 57, 60, 62, 68, 82, 95
ჩუბინაშვილი დ. 9, 11, 25, 31, 40—42,
44, 45, 47, 64, 73, 81, 91, 93
ცაგარელი ა. (Цагарели А.) 9, 22, 37,
41, 59, 74
ცერცვაძე ი. 25
ცქიტიშვილი ნ. 41
წერეთელი ა. 6, 99
წერეთელი გ. 48, 49, 68, 70
წერეთელი ვ. 54
ძაგევაძე ი. 6, 13, 14, 17
პარაია პ. 6, 37—39, 42—44, 69, 70,
78—84, 88, 91—93
კიტიანიძე ხ. 18
ხახანაშვილი ა. 40, 49, 51, 54, 65, 67
ხუნდაძე ს. 5, 18, 69—71, 78, 81, 87,
88, 98
ჯანაშვილი დ. 18
ჯანაშვილი მ. 5, 6, 18, 22, 39, 64, 77, 81
ჯორჯაძე ბ. 13, 14

აბსოლუტური ფორმები 61
 აგლომერაცია 33, 36, 52
 ადგილობრივი (= მიმართულებითი)
 ბრუნვა 34, 35, 42, 44
 ანბანი 9
 ასოები 16
 ასპექტი 71, 72, 73. 80; სრული ასპექტი
 80; უსრული ასპექტი 80. იხ. აგრეთ-
 ვე სახე
 აფიქსი 63, 71
 აწმდგომი (= აწმყო) დრო 86 /
 აწმყო დრო 58, 63, 64, 71, 72, 74, 75,
 78—80. იხ. აგრეთვე აწმდგომი

ბრალდებითი ბრუნვა 43. იხ. აგრეთვე
 შემასმენლობითი
 ბრუნება 6, 25, 29, 32, 33. 37—39, 44,
 45, 56
 ბრუნვა 25, 26, 29, 31, 32, 34, 36, 40,
 42, 44, 47, 54, 56; ბრუნვის ნიშნე-
 ბი 25—29, 34—37, 39, 43, 45—47
 ბრძანებითი დახრა 70, 72, 74, 77, 82,
 84; ბრძანებითი კილო 66. 79. იხ.
 აგრეთვე გავლენითი სახარი.
 ბრძანებითი დახრის პრეფიქსები
 იხ. პრეფიქსი

გაერთებული (= შერწყმული) წინადა-
 დება 96
 გავლენითი სახარი (= ბრძანებითი კი-
 ლო) 79
 გათავებული სახე (= სრული ასპექტი) 84
 გამთავე სახე (= სრული ასპექტი) 55. 89
 განსახლვრება 98
 გარდაქმნითი (= მიმართულებითი)
 ბრუნვა 44
 გარდაქცევითი (= მიმართულებითი)
 ბრუნვა 38. 39, 42, 44
 გარემოება 30
 გაუთავებელი სახე (= უსრული ასპექტი)
 88. 89
 გვარი 74. იხ. აგრეთვე ხმა

ღაბოლოვებითი სახე (= სრული ასპექტი)
 84
 დამატება 65. 67, 98, 99. იხ. აგრეთვე
 შეიავსებელი

დანიშნულებითი ბრუნვა 38
 დაწყებითი ბრუნვა 25, 26
 დახრა (= კილო) 71, 72. იხ. მოთბრო-
 ბითი, ნატვრითი, სახლვრებითი,
 სათუო, ჩვენებითი
 დედა-ფორმები (= ძირითადი ფორმები)
 ხნისა 74
 დრო 63, 68, 71—73. 83. 86, 87

მღუმენტები 33, 35, 36, 43, 65, 66, 84,
 88, 89; აგლომერაცია ელემენტე-
 ბისა 33
 ერთგზისი სახე 88
 ერთგზობითი სახე (= წყვეტილი) 89
 ეტიმოლოგია 8, 9, 10, 34

ვნებითი გვარი 58, 78, ენებითი ხმა
 (= ენებითი გვარი) 74

ჯედსართავი სახელი 30, 47. იხ. აგრეთ-
 ვე ზედშესრული
 ზედშესრული (= ზედსართავი) სახელი
 30, 32
 ხნა 50, 57, 58, 62, 65, 67, 69, 71, 76,
 77. 81, 98
 ხნი/სხუნა 26, 28, 30—32, 45, 46, 56

თავსართი (= პრევერბი) 87, 88
 თანდებული (= პრევერბი) 49, 50, 55,
 56, 86
 თანდებული 6, 26, 27, 29, 30, 45. 46,
 47—56; თანდებულიანი ბრუნვები
 25, 26, 28, 40, 45—47, 49, 56
 თანხმოვანუძიანი 34, 35, 37
 თემა 73—76
 თურმეობითის ჯგუფი 78
 თურმეობითი 172, 75, 76, 78, 80, 85, 88
 თურმეობითი II 75, 76, 80
 თხრობითი კილო 72, 79, 81, 83. 84. იხ.
 აგრეთვე მოთხრობითი დახრა, ჩვე-
 ნებითი დახრა, ჩვენებითი სახარი,
 სახლვრებითი დახრა, სახლვრებითი
 სქესი

იმპერფექტი 83
ინფინიტივი 76

კავშირებითი კილო 72, 79, 81, 83, 84.
ეს. აგრეთვე სათუო დახრა, სათუო სქესი, ნატვრითი დახრა. აწმელს კავშირებითი 75, 80, 84; მყოფადის კავშირებითი 75, 80; კავშირებითი II 75, 76, 80, 84; კავშირებითი III 75, 76, 80

კანკლედობა (= ბრუნება) 33

კეთილზმოვანება 26, 69, 71

კილო 71, 72, 77, 79—84, 86. ეს. აგრეთვე დახრა, სახარი, სქესი. ეს. ბრძანებითი კილო, თხრობითი კილო, კავშირებითი კილო

მართლწერა 8, 9, 10, 16, 22, 31, 54, 68, 69, 78

მარცვალი 9, 30, 31

მასდარი 74, 76. ეს. აგრეთვე სახელზმნა მეტყველების ნაწილები 16. ეს. აგრეთვე სიტყვის ნაწილები

მიმართება პირისა 57—59, 61, 73

მიმართებითი ფორმები 58, 60, 61, 71. ეს. აგრეთვე მიმართულებითი ფორმები მიმართულებითი ბრუნება 25, 26, 28, 30—32, 35, 38—40, 42, 44, 50. ეს. აგრეთვე ადგილობითი, გარდაქმნითი, გარდაქცევითი, ცვალებადი, ცვლილებითი

მიმართულებითი (= მიმართებითი) უღვლილება, მიმართ. ფორმები 58—61

მიმართული (= მიმართებითი) ფორმები 61

მიუმართავი უღვლილება 59—61

მიუმართველი (= მიუმართავი) ფორმები 61

მიმღვობა 76, 77

მიჩემებითი (= ქცევის ფორმები) 91

მიცემითი ბრუნება 25—27, 32, 34—36, 38—40, 42, 45, 46, 50—55

მოთხრობითი ბრუნება 25, 27, 32, 34, 35, 37—43

მოთხრობითი დახრა (= თხრობითი კილო) 75, 82

მოშავალი დრო 71, 72, 75, 82, 83, 85, 86

მოაფოლ ოგია 8, 16

მოქმედებითი ბრუნება 25—30, 32, 34, 35, 38, 40, 42, 45—47, 49

მოქმედებითი მეორე (= მიმართულებითი) ბრუნება 40

მოქმედებითი გვარი 58, 78, მოქმედებითი ხმა (= მოქმედებითი გვარი) 74

მრავალ-გზითი 82

მრავალგზისი 88

მრავალ-გზობითი (= ხოლმეობითი) 89

მრავალპირიანობა 57

მყოფადი 75, 78, 80, 83; მყოფადი სრული 79; მყოფადი უსრული 79, 80

ნათესავი (= სქესი) 38

ნათესაობითი ბრუნება 25, 27, 32, 34—36, 38, 39, 42, 43, 45, 47, 51, 52, 55

ნამყო 72, 78, 82, 83

ნამყო-მრავალგზითი (= წყვეტილი) 75, 78

ნამყო-ოდეს (= თურმეობითი I) სრული, ნამყო-ოდეს უსრული 79

ნამყო სრული (= წყვეტილი) 75, 78, 79, 88

ნამყო უსრული (= უწყვეტელი) 75, 78—80, 82, 83, 87, 88

ნამყო უსრულესი (= თურმეობითი) 75, 78, 83, 87, 88

ნამყო უსრულესი (= კავშირებითი III) 75

ნამყო I (= უწყვეტელი) 78, 88

ნამყო II (= წყვეტილი) 78, 88

ნამყო III (= თურმეობითი I) 78, 89

ნატვრითი დახრა 75, 82, 84

ნაცვალსახელი 35, 42, 43, 64, 65

ობიექტი 58—60, 65, 68, 77

ობიექტური პირი 60, 62, 65, 67, 69, 70;

ობიექტური უღვლილება 60, 61;

ობიექტური წყობა 58, 59, 61, 71

ორთოგრაფია 8

ორში ტრიალი 59

ჰერფექტი 83

პირი 57—63, 67, 69—71, 74, 75; პირთა კომბინაციები 58—60

პლუსკუამპერფექტი 83

პრევერბი 49, 50, 55, 56, 86, 88. ეს. აგრეთვე თავსართი, თანდებული

პრეფიქსი 58, 62, 64, 68—70, 73, 74, 76. ბრძანებითი დახრის პრეფიქსები 58, 70, 74

რელატიური ფორმები 60, 61
რთული შეკავშირებული წინადადება 97
რიცხვი 25, 32, 38, 58, 59, 62—65, 67,
71, 75, 79

სახლერებითი დახრა (= თხრობითი
კილო) 72, 84, სახლერებითი სქესი
(= თხრობითი კილო) 79

სათუო დახრა (= კავშირებითი კილო)
72, 75, 82, 84, სათუო სქესი (= კავ-
შირებითი კილო) 79, სათუო სახა-
რი 83

საიქვი სახარი (= კავშირებითი კილო)
79, 84

სამში ტრიალი 59

საქვემდებარო ბრუნვა 27

სახარი (= კილო) **ახ.** გავლენითი, სა-
იქვი, ჩვენებითი

სახე (= ასპექტი) 71, 72, 84, 85, 86,
ახ. განთავსე, გაუთავებელი, დაბო-
ლოვებითი, ერთგზობითი, მრავალ-
გზობითი, ზწირობითი. სრული სახე
71, 72, 80, 83—89; უსრული სახე
71, 72, 80, 83, 84—89, უსრულესი
სახე 71, 72, 85

სახელი 25, 30, 32, 38, 43, 46, 47, 50—55,
67, 71, 98

სახელზნა (= მასდარი) 74, 76, 77, 86

სახელობითი ბრუნვა 25 — 27, 32—35,
37—39, 42—45, 54, 55, 68

სინტაქსი 6, 8—10, 16, 95

სიტყვის (= მეტყველების) ნაწილები 16
სრული ასპექტი **ახ.** ასპექტი; სრული
სახე **ახ.** სახე

სუბიექტი 58—60

სუბიექტური პირი 60, 70; სუბიექტური
ულვლილება 60, 61; სუბიექტური
წყობა 58, 59, 61, 71

სუფიქსი 58, 62, 64, 67, 73, 74

სქესი 32, 38. **ახ.** აგრეთვე ნათესავი

სქესი (= კილო) **ახ.** სათუო, სახლერე-
ბითი

ტემა (= თემა) 33, 38, 65, 74, 76

უსრულესი 72

უსრული ასპექტი **ახ.** ასპექტი; უსრული
სახე **ახ.** სახე

ულვლილება 6, 38, 57, 60, 71—75,
78—82, 84, 86, 88

უწყვეტელი 72, 75, 78, 80, 83, 88

ჟონეტია 33, 68

ფუჟე 30, 73, 75, 77

ქვემდებარე 27, 97—101

ქმნილ-სრული, ქმნილ-უსრული (= თურ-
მეობითი II) 79

ქცევა **ახ.** მიჩნეებითი ფორმები

შემავსებელი (= დამატება) 65

შემასმენელი 98, 99. **ახ.** აგრეთვე შესმე-
ნილი

შემასმენლობითი (= ბრალდებითი) ბრუნ-
ვა 25, 27, 28, 34, 35, 37, 42, 43

შერწყმული წინადადება 97. **ახ.** აგრეთ-
ვე გაერთებული წინადადება

შესმენილი (= შემასმენელი) 99, 100
შორისდებული 30

ჩვენებითი დახრა (= თხრობითი კილო)
75, ჩვენებითი სახარი (= თხრობი-
თი კილო) 79, 81, 83, 84

ცვალებადი (= მიმართულებითი) ბრუნ-
ვა 34, 35

ცვლილებითი (= მიმართულებითი)
ბრუნვა 26, 30, 32, 42, 44

ძირითადი ფორმები ზნისა **ახ.** დედა-
ფორმები

წარსული 71, 72; წარსული სრული 72;
წარსული (უსრულესი) 72

წინადადება 27, 30, 51, 98—100

წინდებული 26

წოდებითი ბრუნვა 25—27, 30, 32, 35,
38, 42, 44. **ახ.** აგრეთვე ხმობითი

წყვეტილი 63, 72, 75, 76, 78, 80, 83,
85, 88

ზმა (= გვარი) 74

ხმობითი (= წოდებითი) ბრუნვა 34,
35, 42, 44

ხმოვანფუძიანი 37

ხოლმეობითი 75, 80, 84

ხწირობითი სახე (= ხოლმეობითი) 89

ს ა რ ჩ მ ვ ი

წინასიტყვაობა	5
I. გრამატიკის საგნის საკითხი XIX საუკუნის პერიოდულ პრესაში	7
II. სახელთა ბრუნების საკითხები	25.
III. თანდებულების საკითხი	45
IV. ზმნის უღვლილების საკითხები	<hr/>
პირის მიმართების საკითხი	57
პირისა და რიცხვის ნიშნები	62
ზმნის უღვლილება	71
დროისა და კილოს შესახებ	82
ასპექტის საკითხი	84
ქცევის ფორმები	90
V. სინტაქსის საკითხები	95
საძიებლები	
I. პირთა საძიებელი	102
II. ტერმინთა საძიებელი	103

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ხარედ.-საგამომც. ხაზის დადგენილებით

რედაქტორი ი. ვ. გიგინეიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი გ. გოგიავა
ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე
კორექტორი ლ. გელოვანი

გადაეცა წარმოებას 4.4.1960; ანაწყოების ზომა 6×10 ; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 13.7.1960; ქალაქის ზომა $60 \times 92 \frac{1}{16}$;
ქალაქის ფურცელი 3,4; საბეჭდი ფურცელი 6,8; სააქტორო
ფურცელი 5,47; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 5,57;
შეკეთა 509; უე 03902; ტირაჟი 1000
ფასი 3 მან. 70 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5